# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 8 ოქტომბერი 2002 №190 (1712) | ფასი 50 თეთრი

# გაზაევის პოლიტიკა

## არავითარი პოლიტიკა, შეუტიე და გაიტანე



რუსეთის ნაკრების მწვრთნელთან, ვალერი გაზაევთან სასაუბროდ ადრევე ვიყავით შეთანხმებულნი. უეფას თასზე „პარმასთან" შეხვედრას მოვილევ და მერე დამიკავშირდითო, გვითხრა ეროვნული გუნდისა და ცსკა-ს თავკაცმა. საშინაო ფრის შემდეგ ხუთშაბათს მოსკოველმა არმიელებმა სტუმრად პარმელებს დიდი პრობლემები შეუქმნეს და მხოლოდ ბოლო წუთზე გაშვებული გოლით დამარცხდნენ. ცსკა უეფას თასს დაემშვიდობა, ვალერი გაზაევი კი გუნდს დროებით დაშორდა და დღეიდან მოსკოვის მახლობლად ქვეყნის ნაკრებს საქართველოსთან 12 ოქტომბერს სათამაშოდ მოამზადებს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ რუსთა ეროვნულ გუნდში ფეხბურთელების უმრავლესობა არმიელია.

გუშინ კი ვალერი გაზაევი, ვიდრე რჩეულ რუსებს პირველ ვარჯიშიზე უხმობდა, „სარბიელს" მომავალ მატჩზე ესაუბრა.

**— საქართველოსთან შეხვედრისთვის 24 ფეხბურთელი გამოიძახეთ. როგორ ფიქრობთ, ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარეთ თავი?**

— დიახ, ნაკრებში ისინი მოვიწვიე, ვინც ამ ეტაპზე სხვებზე უკეთესად იყვნენ მომზადებული.

**— ესე იგი, სადღეისოდ უძლიერესი შემადგენლობით მოემგზავრებით?**

— შეგიძლიათ, ასე ჩათვალოთ. თბილისში კი ვინ ითამაშებს, მატჩის წინა ღამეს გადავწყვეტ.

**— თბილისში რუსეთის ნაკრებს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი ელის?**

— რა თქმა უნდა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩია. მთელი სერიოზულობით მომზადება გვმართებს.

**— თქვენთვის საქართველო — რუსეთი ერთ-ერთი რიგითი შესარჩევი თამაშია?**

— არა. რომც ვთქვა, ასეა-მეთქი, მაინც არავინ დამიჯერებს. როგორც საქართველოს ნაკრებისთვის, ეს შეხვედრა ჩვენთვისაც განსაკუთრებულია. მეტოქეობაზე რომ აღარაფერი ვთქვა, თბილისში, ჩემთვის უსაყვარლეს ქალაქში მოვემგზავრები. ვღელავ. ქართველი ქომაგი, უამრავი ახლობელ-მეგობარი დამხვდება. მე და ჩემი გუნდი მათი მეტოქე უნდა ვიყოთ, თუმც სულ 90 წუთი. ამის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა, დარწმუნებული ვარ, არ შეიცვლება.

**— საქართველო — რუსეთს შორის ბოლო დროს გამწვავებული პოლიტიკური ვითარება მატჩზე რაიმე გავლენას მოახდენს?**

— პოლიტიკა ფეხბურთელისა და მწვრთნელის საქმე არ არის. მგონია, რომ დაძაბულობა ხელოვნურადაა შექმნილი. ჩვენ პროფესიონალები ვართ და პოლიტიკური ამინდი თამაშში ხელს ვერ შეგვიშლის. მით უმეტეს, რომ რუსეთის ნაკრების მწვრთნელი მე ვარ, გაზაევი, რომელსაც თბილისის „დინამოშიც" უთამაშია და „ალანიას" მწვრთნელობისას გუნდი უქართველებოდ ვერ წარმოედგინა.

**— თქვენი ქართველი კოლეგის ამ მატჩისთვის გამოცხადებულ შემადგენლობას უკვე გაეცანით?**

— დიახ, გავეცანი.

**— მათგან ყველას იცნობთ?**

— ყოველ შემთხვევაში, ბევრს.

**— თქვენთვის მოულოდნელი იყო, რომ ჩივაძემ ნაკრები ასე გადაახალისა?**

— დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, მე რას ვფიქრობ. მთავარია, ალექსანდრე ჩივაძემ ის ფეხბურთელები ჩათვალა ნაკრებში თამაშის ღირსად და მომზადებულად, რომლებიც გამოიძახა.

**— საქართველოს ნაკრებიდან ვის გამოარჩევთ?**

— კალაძეს, კობიაშვილს, დემეტრაძეს, შოთა არველაძეს... გნებავთ, ყველას ჩამოვთვლი. საქართველოს ნაკრებს საკმაოდ კარგად ვიცნობ. რომ არა ჩვენი მეტოქეობა, საქართველოს ქომაგად ჩამთვალეთ.

**— შვეიცარია — საქართველოს მატჩის ფირი ნანახი გაქვთ?**

— დიახ, რამდენჯერმე ვნახე. შემიძლია ვთქვა, რომ შვეიცარიასთან ქართველებმა დაუმსახურებლად წააგეს. ჩივაძის გუნდი რამდენჯერმე უხეშად შეცდა და მეტოქემ არ აპატია. შეცდომისგან დაზღვეული არავინაა. საქართველოს კარგი გუნდი ჰყავს.

**— კომპლიმენტები...**

— არა, რატომ? დარწმუნებული ვარ, საქართველოს შვეიცარიასთან წაგება შემთხვევითობა იყო.

**— თბილისური მატჩისგან რას ელით?**

— ძალიან დაძაბულ, ქომაგთათვის საინტერესო, ლამაზ თამაშს.

**— თქვენი გაწვრთნილი გუნდები ყოველთვის შემტევ ფეხბურთს თამაშობდნენ. თბილისშიც ასე იქნება?**

— მეტოქეს თუ არ შეუტიე, გოლს ვერ გაუტან. გოლისთვის და მოსაგებად შეტევაა აუცილებელი.

**— საქართველოსთან ფრე დაგაკმაყოფილებთ?**

— უკეთესი იქნება, თუ მოვიგებთ.

**კობა ინასარიძე**



ფედერაციის მოთხოვნით გუშინ ვახტანგ კოპალეიშვილმა მალხაზ ასათიანი ქუთაისში გააბრუნა

# შეკრება გამოკლებით

## გუშინ მალხაზ ასათიანი ახალგაზრდული ნაკრებიდან მოკვეთეს

საქართველოში რუსული კვირეული დაიწყო თანმხლები საქმიანი ფაციფუცით, ოღონდ ამ საქმიდან რა გამოვა, მომავალ უქმეებზე ვნახავთ.

ამ უქმეებზე კი ალექსანდრე ჩივაძემ ნაკრების საბოლოო შემადგენლობა გამოაცხადა ძველი და ახალი სახელებით.

დებიუტანტი ერთია, ოფიციალურ შეხვედრაში პირველად გამოძახებული დინამოელი ალექსანდრე გოგობერიშვილი, ლამის დავიწყებულები – ცოტა მეტნი. ძველი გვარდიის გამწყრალ წევრებთან კი ჩივაძე ბოლომდე მწყრალად დარჩა.

ახალგაზრდული ნაკრებიდან მოკვეთეს მისი კაპიტანი და გამთამაშებელი, ტორპედოელი მალხაზ ასათიანი. მოკვეთა ფედერაციის ნებით მოხდა და საქმე იმ შემთხვევასთან გვაქვს, ფედერაციისგან მწვრთნელის საქმეში ჩარევა გამართლებული რომ არის.

ეს ამბავი საქართველოს ჩემპიონატში მომხდარ ინციდენტს უკავშირდება – „სიონთან" მატჩისას ასათიანს ხელი გაურტყამს მწვრთნელ ალექსანდრ შტელინისთვის. ასათიანის საქმეს სადისციპლინო კომიტეტი გაარჩევს და სასჯელიც ვინძლო მკაცრი იყოს. ჯერჯერობით კი ფეხბურთელი ნაკრებიდან მოკვეთით დაისაჯა. ოღონდ ისიც აღვნიშნოთ, რომ ასათიანი ამტკიცებს, შტელინს არ შევხებივარო. ამას მისი რამდენიმე თანაგუნდელიც ადასტურებს. თავად შტელინი ამჟამად საქართველოში არ არის.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

## საქართველო — რუსეთი

თბილისი. ლოკომოტივი. 12 ოქტომბერი. 20 საათი

# ჩივაძემ რემონტი დაასრულა



საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ ამ უქმეებზე ის შემადგენლობა დაასახელა, რუსებთან 12 ოქტომბრის მატჩისთვის რომ მოამზადებს.

ეროვნული გუნდი საკმაოდ გადახალისებულია. თბილისის „დინამოს" 25 წლის ნახევარმცველი ალექსანდრე გოგობერიშვილი მწვრთნელის ყურადღებას ადრეც იპყრობდა, თუმცა წინასწარ შემადგენლობაში ახლაღა მოხვდა, რაც მეტწილად ხუთშაბათს, „ლიბერეცთან" მისმა ჩინებულმა თამაშმა განაპირობა. ეროვნულ გუნდში მოხვდა ავსტრიული „შტურმის" შემტევი ნახევარმცველი დავით მუჯირიც, ვისაც ნაკრებში მხოლოდ ერთი, ისიც ამხანაგური მატჩი აქვს ჩატარებული. ჩივაძემ გუნდში დააბრუნა ქუთაისის „ტორპედოს" ლიდერი გივი დიდავა, რომელიც კარგა ხანს ნაკრებს მიღმა იყო. მწვრთნელს, როგორც ჩანს, ეიმედება თითქმის უთამაშებელი დანდელი ზურაბ ხიზანიშვილის, ვინც ტრავმა ახლახან მოიშუშა, თუმცა გუნდის ძირითად შემადგენლობაში ჯერ ვერ ხვდება. ჩივაძის სიაშია გოჩა ჯამარაული, მაგრამ გაურკვეველია, ის ნაკრების შეკრებაზე იქნება თუ არა. ფეხბურთელს, მოგეხსენებათ, მამა გარდაეცვალა და, შესაძლოა, ვერ ითამაშოს.

ეროვნული გუნდი სასტუმრო „საირმეში" გუშინ არასრული შემადგენლობით შეიკრიბა. ლეგიონერები აქაურებს ამ დილით უნდა შეუერთდნენ. ნაკრები მატჩამდე ყოველდღე „დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ივარჯიშებს, ერთხელ ან ორჯერ „ლოკომოტივის" სტადიონზეც, სადაც მატჩი გაიმართება.

**კობა ინასარიძე**

## სარუსეთო საქართველო

**მეკარეები**

დავით გვარამაძე („დინამო"), გიორგი ლომაია („ლოკომოტივი")

**მცველები**

გიორგი შაშიაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი (ორივე „დინამო"), კახა კალაძე („მილანი", იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი („დანდი", შოტლანდია), გივი დიდავა („ტორპედო")

**ნახევარმცველები**

ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი (ორივე „ფრაიბურგი", გერმანია), ლადო ბურდული, ვიტალი დარასელია, ალექსანდრე გოგობერიშვილი (სამივე „დინამო"), დავით მუჯირი („შტურმი", ავსტრია), მამია ჯიქია („ამიცა", პოლონეთი), გოჩა ჯამარაული („მეტალურგი", დონეცკი, უკრაინა), ალექსანდრე რეხვიაშვილი („სკონტო", ლატვია)

**თავდამსხმელები**

ალექსანდრე იაშვილი („ფრაიბურგი"), შოთა არველაძე („რეინჯერსი", შოტლანდია), გიორგი დემეტრაძე („ალანია", რუსეთი)



„ლიბერეცთან" კარგმა თამაშმა ალექსანდრე გოგობერიშვილს (მარცხნივ) ნაკრების კარი გაუღო

# შეკრება გამოკლებით

## მალხაზ ასათიანი მოკვეთეს, პატარა ჩივაძე ნებით წავიდა



ვარჯიშის დაწყებამდე ვახტანგ კოპალეიშვილმა სიტყვა თქვა

გუშინ, შუადღის პირველ საათზე, სასტუმრო „მესახლვრეში" ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა ვახტანგ კოპალეიშვილმა სარუსეთოდ შეგულებული 20 ფეხბურთელი იწვია

*მეკარეები:* ზურაბ მამალაძე (მილანი), ირაკლი ბალაძე (ბათუმი);

*მცველები:* რამაზ სვანაძე (კოლხეთი), თენგიზ სულაქველიძე (დინამო), ალექსანდრე ინწკირველი (ვიტ ჯორჯია), ლაშა სალუქვაძე (ლოკომოტივი), დავით უგრეხელიძე (ტორპედო მაზი, ბელარუსი), ედიკ სადჟაია (ტორპედო, რუსეთი), დავით ზაზაშვილი (გორდა), ილია კანდელაკი, ოთარ ხიზანეიშვილი (ორივე დინამო);

*ნახევარმცველები:* რომან ახალკაცი (ტორპედო), გიორგი ლეკანოსიძე (ფიურტი გერმანია), დავით სირაძე (ლოკომოტივი), ირაკლი შენგელია (მერანი), გიორგი ციმაკურიძე (შახტარი, უკრაინა);

*თავდამსხმელები:* გიორგი ადამია (ვიტ ჯორჯია), რევაზ გოცირიძე (გორდა), ირაკლი მოდებაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე უკრაინა), ლადო ახალაია (დინამო).

ახალგაზრდულ ნაკრებში მწვრთნელებმა ცვლილებები ბოლო წამს შეიტანეს. კოპალეიშვილის უპირველესი საფიქრალი გუნდში გამთამაშებლის და კაპიტნის, მალხაზ ასათიანის არყოლა გახლავთ. ტორპედოელი შეკრებაზე დროულად და ყოველმხრივ მომზადებული გამოცხადდა, მაგრამ ქუთაისური კლუბისა და ფეხბურთის ფედერაციის დაჟინებული მოთხოვნით, ასათიანი შუადღისას შეკრებიდან დაითხოვეს. ის რუსეთთან ვერ ითამაშებს და თუ ფედერაციიდან გამოსულ ხმებს ვერწმუნებით, ისიც საკითხავია, საერთოდ ითამაშებს თუ არა.

ახალგაზრდული გუნდის კაპიტანს დისკვალიფიკაციით ემუქრებიან. ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში „ტორპედო" — „სიონის" მატჩისას ასათიანს მწვრთნელ შტელინთან კონფლიქტი მოსვლია. ამბობენ, მწვრთნელ-ფეხბურთელი ერთმანეთისკენ გაიქაჩნენ და ხელითაც შეეხნენ ერთმანეთსო. ასათიანის თქმით, სასკანდალო არაფერი მომხდარა და მწვრთნელისთვის ხელი არ დაუკარებია. ამას ამტკიცებს იმ ინციდენტის შემსწრე რამდენიმე ტორპედოელიც. შტელინის კომენტარზე უკაცრავად, უკრაინელი გუშინ ადრიანად მოსკოვს გაფრენილა, იქიდან ბელგიაში აპირებს გამგზავრებას და ქუთაისში ერთ კვირაში დაბრუნდებაო.

ასათიანის საქმეს ხვალ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე განიხილავენ. როგორც გავიგეთ, „ტორპედო" — „სიონის" წყალტუბოში ეროვნული გუნდის თავკაცი ალექსანდრე ჩივაძეც ესწრებოდა და ფედერაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად იმ ინციდენტის შემსწრეც ყოფილა. რა და როგორ მოხდა, ამას ხვალ უფრო დაწვრილებით შევიტყობთ, მანამდე კი ასათიანი გუშინვე შინ, ქუთაისში გაემგზავრა.

შეკრებაზე უმცროსი ჩივაძეც იყო გამოძახებული. ისიც დროულად გამოცხადდა, ბიჭები და მწვრთნელები მოიკითხა, ყველას მადლობა მოახსენა, მე უმჯობესია ტრიბუნიდან გიქომაგებთ, ასეთი დონის თამაშისთვის მზად არ ვარო. დამხვდურებს დაემშვიდობა და თავის გზას დაადგა.

„მესახლვრეში" თავიდან რკინიგზელი მცველი სერგო ორბელაძე დავლანდეთ. ცოტა ხანში ორბელაძემ ჩანთა ზურგზე მოიგდო და იქაურობას წყნარად გაეცალა. კოპალეიშვილის თქმით, სერგო შეკრებაზე არ იქნება. მის ნაცვლად თავიდან ეროვნული ნაკრებისთვის შეგულებული ოთარ ხიზანეიშვილი მოემზადება რუსთა დასახვედრად.

გუშინ ნაშუადღევს ოცი გამოძახებული ფეხბურთელიდან მწვრთნელთა განკარგულებაში 16 იყო. ფიურტელ გიორგი ლეკანოსიძეს, დინამოელებს — ახალაიას, კანდელაკს და ხიზანეიშვილს კოპალეიშვილი გუშინ საღამოსთვის ელოდა. გიორგი გერმანიიდან მოფრინავდა, ხოლო კვირას ბათუმში ნათამაშევი დინამოელები ნაკრების თავკაცებმა პირველი ვარჯიშისგან გაათავისუფლეს.

წვრთნა საღამოს ექვსის ნახევარზე „ნორჩი დინამოელის" ბალახის საფარიან მოედანზე დაიწყო. კოპალეიშვილმა 15 შეგირდი გაიყვანა მინდორზე. რუსთაველი დავით ზაზაშვილი, მარცხენა ხელშეხვეული მოედნის კიდიდან ადევნებდა თვალს ვარჯიშს.

დიდხანს არც უშრომიათ. ვარჯიში ერთ საათში დასრულდა. ფეხბურთელებთან ერთად ნაკრების თავკაციც ვარჯიშობდა. კოპალეიშვილმა ჯერ მეკარეებს, მამალაძეს და ბალაძეს გაუშრო სისხლი, ხოლო შემდეგ გუნდთან ერთად ორკარაც ისე ითამაშა, თქვენი მოწონებული. ბოლოს ფეხბურთელებს ფეხზე გახდა უბრძანა და ხუთიოდ წუთით ფეხშიშველი აქეთ-იქით დაარბენინებდა.

პირველი დღე საწუხაროც გამოდგა, მხიარულიც და ნაყოფიერიც. სამ დღეში „ეროვნულზე" რუსეთის შეჭიდებიან ქართველი ახალგაზრდები. სადღეისოდ წინასამატჩო განწყობას არა უშავს. არც პირობებია ურიგო. ბიჭები კვებისა და დასვენების მხრივ კმაყოფილებას გამოთქვამენ, მაგრამ ერთ საყვედურს ფედერაციის მისამართით მაინც ვიტყვით. მუშტაიდში ახალგაზრდული ნაკრები ვარჯიშობს, ქართული ფეხბურთის მომავალი, ჰოდა, არ ეკადრება იმ გუნდს განსხვავებული ტრუს-მაისურით წვრთნა. სხვა თუ არაფერი, ათას გამვლელზე რომ არაფერი ვთქვათ, ნაკრების წევრებს ნორჩი დინამოელები ადევნებდნენ თვალს და მათ არ უნდა იკითხონ, რომელი გუნდი ვარჯიშობს, გარჩევა გვიჭირსო. ალავერდიც ფედერაციას, „ლოტო" ხომ გვამარაგებს?

**გაგუნა ძგანტალიანი**

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართვა ქართული ფეხბურთის ქომაგებისადმი

ძვირფასო ქომაგებო! ყველას კარგად მოგვეხსენება, თუ რაოდენ დიდ ინტერესს იწვევს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველოსა და რუსეთის ნაკრებებს შორის, რომელიც 12 ოქტომბერს თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება. თითოეულ ჩვენგანს უნდა ახსოვდეს, რომ ქვეყნებს შორის ბოლოდროინდელი გართულებული პოლიტიკური ურთიერთობის ფონზე თუნდაც ერთი დაუშვებელი ქმედება დიდად ავნებს ქართულ ფეხბურთს.

უმორჩილესად გთხოვთ, საქართველო — რუსეთის მატჩამდე, მატჩისას თუ შემდგომ არ ავყვეთ პროვოკაციებს, არ ჩავაგდოთ ქართული ფეხბურთი გამოუვალ ვითარებაში და არ მივცეთ სხვებს ჩვენი გაკიცხვის საბაბი. სტუმარ-მასპინძლობაში ხომ ქართველები ოდითგან სამაგალითონი ვიყავით.

გთხოვთ, მობრძანდეთ სტადიონზე და შეძლებისდაგვარად მხარში ამოგვიდგეთ პროვოკაციული გამოხტომების თავიდან ასაცილებლად.

ნუ ვისვრით ქვებს, ბოთლებს და სხვა ნივთებს. უეფა ასეთი ქცევისთვის მკაცრად დაგვსჯის და შესაძლოა, ევროთასების მასპინძლობა აგვიკრძალოს, რაც სწორედ რომ მტრის წისქვილზე დაასხამს წყალს.

ნუ გავიმეორებთ „დინამო" — „ლიბერეცის" მატჩისას მომხდარ უმსგავსობას.

ვუქომაგოთ ფეხბურთს ქართულად, ისე როგორც შეგვეფერება.

**გერმანია**

II ბუნდესლიგა. VIII ტური

კიოლნი 7:0 უნიონი

**ინგლისი**

პრემიერლიგა. IX ტური

მანჩესტერი 3:0 ევერტონი

**შვედეთი**

XXIII ტური

ელფსბორგი 1:0 კალმარი

გიოტებორგი 0:1 ჰელსინგბორგი

იორგრიტე 0:1 აიკ

იურგორდენი 2:1 ჰამარბი

**ნორვეგია**

XXIII ტური

ვიკინგი 0:3 ოდ გრენლანდი

**პოლონეთი**

IX ტური

ლეგია 4:1 პოლონია

**ჩეხეთი**

X ტური

ჟიჟკოვი 2:0 სიგოტი

სლავია 1:0 ლიბერეცი

პრადიც კრალოვე 0:2 სპარტა

**ფინეთი**

პლეი ოფი

ლაჰტი 0:4 ჰაკა

ინტერი 0:1 ჰიკ

**პორტუგალია**

I ლიგა. VI ტური

სპორტინგი 3:0 მორეირენსე

ბეირა მარი 1:1 პორტუ

საქართველოს უმაღლესი ლიგის პირველი ჩემპიონატი ეტაპი 14 — 10 ტური

# ნავაძემ მერანი დააბა, მერანმა ლოკომოტივი

თბილისი. 6 ოქტომბერი. 16.20 საათი. სინათლე. 400 (ტევადობა 3 000)

## მერანი 3:2 ლოკომოტივი

1:0 ფირცხალაიშვილი (38), 2:0 კოშკაძე (55), 3:0 ჩილვინაძე (61), 3:1 ბურნაძე (78), 3:2 ონიანი (89)

მერანი: ნაჭყეპია, გუჯაბიძე, ადუაშვილი, ჩილვინაძე, გ. ილურიძე, მესხი, კოშკაძე, ფირცხალაიშვილი (ბაჯელიძე 74), ი. შენგელია (ბარათია 88), ქინქარაული, გ. მ. რევაზიშვილი (ბ. ნოზაძე 64)
სათადარიგონი: გ. გაბელია, თუთარაშვილი, გრიგორიევი, ქადაგიძე
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, ორბელაძე, ლ. მიქაძე, მ. ბურნაძე, ლაცაბიძე (გელა ქორიძე 46), სირაძე (რუსია 46), ზ. ჯანაშია, კვარაცხელია (რ. ონიანი 72), დავითაშვილი
სათადარიგონი: ივარდავა, ქიქვიშვილი, გილაური, გოგინაშვილი
მწვრთნელი: ლუის ცაკარიასი

გაფრთხილება: კვარაცხელია (27), ფირცხალაიშვილი (68)

მსაჯები: მ. მალაღურაძე, მ. ელიაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიტოგაძე (სამტრედია), მ. მაისურაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხიზანაგაშვილი

ჯარიმა: 17-18; კუთხური: 1-1; კარისკენ დარტყმა: 3-6; კარში დარტყმა: 5-5; თამაშგარე: 3-0



ნუგზარ ნავაძე

მამუკა კვანტალიანი

**ლუის ცაკარიასმა** „გორდასთან" გაჭირვებით მოგებული მატჩით „ლოკომოტივში" წარმატებული დებიუტი მოიწყო. მომდევნო ტურში მისმა დარიგებულმა რკინიგზელებმა თვით ჩემპიონი „ტორპედო" დაამარცხეს. კვირასაც ყველა წინაპირობა არსებობდა იმისთვის, რომ უცხოტომელ სპეციალისტს წარმატებული სერია გაეგრძელებინა, მაგრამ ბერძენ-პერუელ-გერმანელ ცაკარიასს ავჭალაში დაუცდა ფეხი. იქაურმა „მერანმა", ვისაც თითქმის ყველანაირი ამქვეყნიური სიკეთე აკლია და ბოლო დღეებია, არც უვარჯიშია, მამლარი და ნაპატივები სტუმარი შინ დამწუხრებული გაისტუმრა.

არადა, „ლოკომოტივს" ოთხ საათზე თავისუფლად შეეძლო მატჩის ოქმში უშრომელი სამი ქულა გაეფორმებინა და შინ დაარხეინებული გამგზავრებულიყო. უფულობით გატანჯული ავჭალელები პროტესტის ნიშნად სათამაშოდ არ გადიოდნენ.

რკინიგზელთა კლუბის ხელმძღვანელებს წაგებული თამაშის მერეც გაახსენდათ მასპინძლებს „პატივი რომ სცეს" და ოცი წუთი მოიცადეს მოედანზე. აქეთ-იქით მიდგნენ, მატჩის ინსპექტორი შეაწუხეს, მაგრამ მიხვდნენ, გაპროტესტების მორალური უფლება რომ არ ჰქონდათ და ბედს შეურიგდნენ.

„ლოკომოტივი" მატჩამდე 45 წუთით ადრე გავიდა მოედანზე მოსათელად. ავჭალელთა „გაფიცვამ" იოლ გამარჯვებაში დაარწმუნა რკინიგზელები. ხუთის ოც წუთამდე, ანუ თამაშის დაწყებამდე ოფლიც ორჯერ შეაშრათ, მაგრამ საჩემპიონოდ მებრძოლ გუნდს მსგავსი გარეგა, როგორც „სინათლეზე" შეკრებილმა ქომაგმა იხილა, მაინც არ ეკადრება.

„მერანი" კი მისმა საპატიო პრეზიდენტმა, ფეხბურთიდან სკანდალურად წასულმა, პარლამენტარმა ნუგზარ ნავაძე დაიყოლია. აეროპორტიდან ავჭალაში მოსულმა ნავაძემ ფეხბურთელებს ათ დღეში პრობლემების მოგვარება აღუთქვა, მათ პროტესტსაც სამართლიანი აქცია უწოდა, თუმც იქვე დაამატა, სხვა ხერხითაც შეიძლებოდა უკმაყოფილების გამოხატვაო.

ნავაძის დაპირებით ფრთაშესხმულმა „მერანმა" გასახურებლად ხუთი წუთი იკმარა, ლოდინით გულგაწვრილებულ მეტოქეს მიესალმა და დიდი სიურპრიზიც შესთავაზა. ავჭალელები ჯიგრიანად იბრძოდნენ, რკინიგზელთა კარისკენაც უფრო მონდომებით იწევდნენ და მოწინააღმდეგეს ჟინითაც სჯობდნენ.

სტუმართა გუნდი მოშვებულ სიმს წააგავდა. ზაზა ჯანაშიას ქვინტით დარტყმულს და ძელსმოხვედრილ ბურთს თუ არ ჩავთვლით, თამაშის ბოლო წუთებამდე მასპინძელთა მეკარეს სანერვიულოც არაფერი ჰქონია.

გაბელიამ ჯანმაგარი და მკვირცხლი ილურიძე დავითაშვილს მიუჩინა მეურვედ. ათლეტური, ცოტა მოუხეშავი, მაგრამ თავდაუზოგავი ადუაშვილი — ჯანაშიას და სტუმართა წინა ხაზიც უმოქმედო შეიქნა.

შუაში კოშკაძე უნარიანად ანაწილებდა პასებს, ფლანგებზე შენგელია და რევაზიშვილი აქტიურობდნენ, ხოლო ფირცხალაიშვილი და ჩილვინაძე წინ თავისას ცდილობდნენ.

„ლოკომოტივს" თამაშის გამწევვებელი ფეხბურთელი აკლდა „სინათლეზე". კვირას სტუმართაგან ასეთი არავინ აღმოჩნდა, არადა, ავჭალაში ტრიბუნაზე იჯდა კახა გოგიჩაიშვილი. რკინიგზელთა კაპიტანყოფილის უთამაშებლობის მიზეზს კი ვერავინ გვეუბნება. კლუბის წარმომადგენლის თქმით, კახას ღვიძლი აწუხებს, მაგრამ ფაქტია, გოგიჩაიშვილს ავადმყოფისა არაფერი ეტყობა.

სტუმართათვის განგაშის ზარმა პირველი ტაიმის ბოლოსკენ შემოჰკრა. კოშკაძის ჯარიმიდან ჩაწოდებული დაბალი პასის შემდეგ ბურთი ფირცხალაიშვილს ისე მიუვიდა, რკინიგზელთაგან არავინ გატოკებულა. დიმიტრიმაც ბურთს ფეხი დაუხვედრა და ხელებაღმართული თანაგუნდელებისკენ გაიქცა. თამაშის განახლებიდან ათ წუთში კოშკაძემ სტუმართა საჯარიმოში თანაგუნდელის პასი შეიშნო, მცველს გაუსწორდა და ლომაიას მარცხნივ, დაბალ კუთხეში გაუტანა.

კიდევ ხუთ წუთში ანგარიში რკინიგზელთათვის კატასტროფული გახდა. მორიგი ფლანგური ჯარიმის შემდეგ ჩილვინაძემ კუთხე სწორად ჩაკეტა და ლომაიას თავურით ახლო კუთხეში გაუტანა.

მატჩის ბოლოს მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ. „მერანის" დალაგებული უკანა ხაზიც სულ უფრო ხშირად სცოდავდა. სტუმრებმაც ათი წუთის ინტერვალში ორი გოლი გაქვითეს. ჯერ ბურნაძემ დაუხვედრა ფეხი ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს, მერე კი ონიანმა. მეტის გასაკეთებლად „ლოკომოტივს" დრო არ ეყო. „მერანმა" გაძლო და ჩემპიონატში გვარიანი სენსაციაც გამოაცხო.

ნამატჩევს ლუის ცაკარიასს ის ვერ გაეგო, რატომ შეფერხდა თამაშის დაწყება, თან ის აკვირვებდა, „მერანმა" ჩვენი ყველა შეცდომა როგორ გამოიყენაო.

ოთარ გაბელიამ თავისი ბიჭების ბრძოლისუნარიანობა და თავდადება გამოარჩია, გუნდში არსებული კრიზისული ვითარების ფონზე ფეხბურთელებმა მობილიზება მოახერხესო. „ლოკომოტივის" დამარცხების მიზეზად კი მეტოქის შეუფასებლობა დაასახელა.



„ლოკომოტივის" პირველი გოლი დიმიტრი ფირცხალაიშვილმა (შუშა) გაიტანა

ბათუმი. 6 ოქტომბერი. 16 საათი. დინამო. 800 (ტევადობა 6 000)

## ბათუმი 1:3 დინამო

0:1, 0:2 ახალაია (16, 30), 1:2 ხუჯაძე (42), 1:3 გოგობერიშვილი (80)

ბათუმი: ტოგონიძე, ჩიჩუა, მინდაძე, მახარაძე, თურმანიძე, ქაცარავა, ხუჯაძე, კობიძე (სიჭინავალაძე 65), დარჩიძე (ტულუში 52), რომანაძე, მაჭუტაძე (ბეჟანიძე 84)
სათადარიგონი: ი. ბალაძე, გალოგრე, მოდებაძე, დუმბაძე
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

დინამო: გვარამაძე, კარლოსი (ხიზანეიშვილი 76), ვაშაკიძე, შაშიაშვილი, სახვაძე, ამისულაშვილი, ბურდული, გოგობერიშვილი, აჩბაბაძე, დარასელია (კანდელაკი 62), ახალაია (გ. ვ. მიქაძე 65)
სათადარიგონი: ზოიძე, კვირკველია, მ. ბობოხიძე, ი. სამხარაძე
მწვრთნელი: ივო შუშაკი

გაფიცვება: სახვაძე (44), ჩიჩუა (44)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირეკიძე (გულრიფში), გ. ძაგნიძე (ქარელი)

სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია

ჯარიმა: 10-15; კუთხური: 0-5; კარისკენ დარტყმა: 3-8; კარში დარტყმა: 3-7; თამაშგარე: 0-3

# შუშაკის სამადლობელი

## საჩუქარი კარგი იყო, მაგრამ უკეთესს ვისურვებდი

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

**ჩემპიონატის ლიდერმა** მორიგი სამი ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში, დინამოელებს მიზნის მისაღწევად სულ მცირე, ორი მიზეზი ჰქონდათ. ჯერ ერთი, წლეულს ბათუმში ვინც ჩავიდა, სამი თუ არა, ერთი ქულა ყველამ წაიღო. მეორე კი ის, რომ კვირას ივო შუშაკის დაბადების დღე იყო და შეგირდებს უკეთესი საჩუქარი აბა, რა უნდა ეძღვნათ.

ნამატჩევს იუბილარი გახარებული ჩანდა. ხორვატმა ბიჭებს მადლობა გადაუხადა. დაბადების დღე კი გამილამაზეთ, თუმც ისე ვერ ითამაშეთ, როგორც საჭირო იყოო. მიზეზად „ლიბერეცთან" მატჩის შემდეგ დაღლილობა და ბათუმური სიცხე დაასახელა. მიუხედავად ყველაფრისა, „დინამომ" მაინც იოლად მიაღწია მიზანს და ეს ამბავი ბევრს არც გაკვირვებია.

მატჩის პირველი 15 წუთი აბსოლუტურად თანაბარ ბრძოლაში გაილია. მასპინძლებმა საკმაოდ უნარიანად გააგორეს ბურთი და მეტოქეს ტოლ-სწორადაც დაუხვდნენ. ივო შუშაკის საშწყსოდ ერთი ხანი თამაში ვერ დაალაგა, თუმცა, ეს რომ დროებითი ამბავი იყო, მალე დადასტურდა.

დინამოელთა პირველივე შეტევა შედეგიანი გამოდგა. საგოლე კომბინაცია გვარამაძემ დაიწყო, რომელმაც მარცხნივ სახვაძე მოძებნა. ამან მკერდით მოხელთებული ბურთი ბურდულს დაუგდო, ლადომ კი უმალ ორ მცველს შუა გამძვრალ ახალაიას გაუჭრა. როგორც უნაკლო იყო ეს კომბინაცია, ისეთივე დარტყმა მიაყოლა „დინამოს" ფორვარდმა და ტოგონიძეც უსაქმოდ დატოვა.

ორიოდ წუთში „დინამოს" არანაკლებ სილამაზის გოლით შეეძლო ანგარიშის გაზრდა. სახვაძის გრძელი პასი იმავე ახალაიამ საჯარიმოს წინ მკერდით გააჩერა და მიწაზე დაუშვებლად ბურთს აზრავანიც ამოსცხო. მასპინძელთა ბედად ტოგონიძის ზურგს უკან ჩაშვებულმა ბურთმა კარის ჩარჩოში მოხვედრა არ ინება.

ზღვისპირელებმა თამაშის გადარჩენა კი მოიწადინეს, მაგრამ დაცვის ხაზის შეცდომამ ყველაფერი წყალში ჩაუყარათ. ხელოვნური თამაშგარის მცდელობაში ჩაიჭრნენ ისინი და ერთბაშად ორი თბილისელი ტოგონიძესთან პირისპირ შერჩა. ბურთთან ახლოს ახალაია აღმოჩნდა, რომელმაც მშვიდად გადაუგდო ბურთი მეკარეს თავზე.

ამ ეპიზოდმა ნამატჩევს დიდი მითქმამოთქმა გამოიწვია ბათუმელ ქომაგებში. მათი აზრით, „დინამოს" კონტრიერიშამდე კვარაცხელიას პენალტი უნდა დაენიშნა „ბათუმის" სასარგებლოდ, ხოლო თანამსაჯ ცირდავას ახალაიას თამაშგარეში ყოფნა უნდა დაეფიქსირებინაო.

ამ გაშვებულმა გოლმა მასპინძლები არ დააბნია და მალე ერთი ბურთის გაქვითვაც შეძლეს. ტაიმის დასრულებას სამი წუთი უკლდა, მაჭუტაძემ დარჩიძესთან კედელი რომ გაითამაშა და საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილმა ცენტრში ხუჯაძე მოძებნა. შალვამ ბურთი გაისწორა და გვარამაძის კარის მარჯვენა ცხრიანშიც შეჭედა.

სიტუაცია დაიძაბა და ფეხბურთელებსაც ნერვებმა უმტყუნა. ჩიჩუას და სახვაძის მუშტი-კრივი კინაღამ ჯგუფურ ჩხუბში გადაიზარდა. ბედად ინციდენტი მალე ჩაცხრა და კვარაცხელიამაც ორივე მოჩხუბარი მოედნიდან მიაბრძანა.

მეორე ტაიმში „დინამომ" ყოველგვარი დაძაბვის გარეშე მოახერხა თამაშის გაკონტროლება და საწყის წუთებში ორჯერ გოლს გადაურჩა „ბათუმი". ჯერ გოგობერიშვილმა მოუსინჯა კარის ძელს სიმტკიცე, ხოლო ათ წუთში ახალაიას ხუთიოდ მეტრიდან დარტყმულს ტოგონიძე არ შეეპუა და ფეხით მოიგერია ძნელი ბურთი.

ზღვისპირელებს აშკარად დაეტყოთ დაღლილობა და შეტევის ორგანიზებაც კი არ გამოსდიოდათ. თავის მხრივ, „დინამოც" ზლაზვნით ირჯებოდა და იმდენი ორმხრივი წუნი შეინიშნებოდა სტუმარ-მასპინძლის ქმედებაში, მეტი რომ არ იქნება.

გვარამაძის კართან ხიფათი მხოლოდ ერთხელ შეიქნა. ხუჯაძემ ჩვეულად დააქუხა შორიდან, მაგრამ დინამოელთა მეკარემ შეძლო თითის წვერებით ბურთის მოგერიება.

მატჩის ბოლოს „ბათუმის" დაცვა სულ მოიშალა და სტუმრებს არაერთხელ შეეძლოთ გატანა, მე-80 წუთზე შეძლეს კიდეც. გოგობერიშვილი და აჩბაბაძე ეულად დარჩენილი მახარაძეს პირისპირ აღმოჩნდნენ. გოგობერიშვილმა თანაგუნდელს პასი არ დაამადლა, მაგრამ მას ბურთი გაექცა. თითქოს სიტუაციაც განიმუხტა, მაგრამ აჩბაბაძემ შეძლო ვალის დაბრუნება და გოგობერიშვილმაც დაუცველ კარში შეაგორა ბურთი.

წყალტუბო. 5 ოქტომბერი. 16 საათი. 26 მაისი. 1 500 (ტევადობა 12 000)

## ტორპედო 4:2 სიონი

1:0 პოროშინი (20), 1:1 დაუშვილი (25), 2:1, 3:1 პოროშინი (35, 44), 4:1 ჩიტაიანი (45), 4:2 შავგულიძე (81)

ტორპედო: ქანტურია (სტურუა 46), მახვილაძე, ქემოკლიძე, ხვადაგიანი, დიდავა, კვეტენაძე, ბაბუნაშვილი, ბუთიანი (ახალკაცი 56), გ. ჩიტაიანი, ჩომახიძე, პოროშინი (გამეზარდაშვილი 47)
სათადარიგონი: ასათიანი, ლილაძე, ონიანი, ზ. ქუთათელაძე
მწვრთნელი: ალექსანდრ შტელინი

სიონი: ჟოლკოვი, ირემაშვილი, ბაქრაძე (ისიანი 46), ზ. ცქიტიშვილი, გ. ჩხაიძე, კვაჩახკირი, გაბისკირია, დ. გოდერძიშვილი (მისიშვილი 68), დაუშვილი (გიორგი ქორიძე 28), კაცაშვილი, შავგულიძე
სათადარიგონი: ბათიაშვილი, გოგიტიძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

გაფრთხილება: კვაჩახკირი (34), ბაბუნაშვილი (55)

მსაჯები: ა. შილაკაძე, ო. ხეცაძე, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი), ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მქედლიშვილი

ჯარიმა: 19-13; კუთხური: 5-1; კარისკენ დარტყმა: 8-3; კარში დარტყმა: 11-4; თამაშგარე: 10-7

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავირჩიოთ ფეხბურთელები, გოლებს მაინც გაიტანენ

მცხეთა. 5 ოქტომბერი. 16 საათი. არმაზი. 100 (ტევადობა 3 000)

## დილა 3:1 მილანი

1:0, 2:0 ხორგუაშვილი (23, 59), 2:1 სამხარაძე (75), 3:1 სულთანიშვილი (83)

დილა: სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია, დავითაძე, რ. ხაჭაპურიძე, გ. ზ. რევაზიშვილი, ლომიძე, ჯობაძე, სიყვარულიძე (ლ. გოჩაშვილი 46), ფეხუაშვილი, ხორგუაშვილი (რაზმაძე 89), ა. ხმალაძე (სულთანიშვილი 61)
სათადარიგონი: თ. ილურიძე, სომხიშვილი, ძოძუაშვილი
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

მილანი: მამალაძე, აკობია, ჯაბუა, ტარუღაშვილი, ბარამიძე, მ. სამხარაძე, ქალიაშვილი (შელეგია 87), ქარჩავა (ვართაგავა 65), მეტონიძე, ქარდავა (ტარიელაშვილი 59), გაბედავა
სათადარიგონი: ბალანაძე, ეგაძე, დანელია, ლაშაშიძე
მწვრთნელი: ბერდია გვენცაძე

გაფრთხილება: ჩიტაია (11), ქარდავა (11), ქარჩავა (63), რევაზიშვილი (63)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ლ. სილაგავა, მ. ურუშაძე, ი. კახიანი (სამივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ჯარიმა: 19-13; კუთხური: 6-4; კარისკენ დარტყმა: 5-3; კარში დარტყმა: 9-2; თამაშგარე: 4-2



მილანელთა ამ შეტევას გორელთა მეკარე რამაზ სოლოლაშვილი გაუმკლავდა

კახა შალამბერიძე მცხეთიდან

ᲘᲚᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲐ გორის „დილასთვის“ მცხეთური სარბიელი. ქართლელებს ქვათა სროლა საკუთარი სტადიონის დისკვალიფიკაციად დაუჯდათ და კახელებსაც საქართველოს ოდინდელ სატახტო ქალაქში უმასპინძლეს, თუმც უხასიათოდ კი გაისტუმრეს შინ.

ვლადიმერ ხაჩიძის გუნდი უფრო მონდომებული ჩანდა და თითქმის მთელი მატჩი ეჭვი არავის შეპარვია „დილას“ გამარჯვებაში. მცირერიცხოვან მაყურებელს სამარჩიელოდ საქმე მხოლოდ ერთხელ, 75-ე წუთზე გაუხდა, როცა მირზა სამხარაძემ მოხდენილი თავურით ანგარიში შეამცირა, მაგრამ მალე საბა სულთანიშვილმა ყველაფერს წერტილი დაუსვა.

არადა, წნორელებისგან მეტს ველოდით. „მილანი“ ადრე უფრო მობილურად თამაშობდა, ახლა კი... გუნდში ყველასგან გამორჩეული მეკარე ზურაბ მამალაძე იყო.

კახელებს შეტევა რომ უჭირთ, ფაქტია. ყოველ შემთხვევაში, მცხეთაში ასე იყო. სტუმრებმა მხოლოდ ორჯერ დაარტყეს რამაზ სოლოლაშვილის კარში. ცხადია, ამას გორელთა დაცვის ხაზს მთლიანად ვერ დავაბრალებთ. უბრალოდ, თავად კახელები უტევდნენ მეტოქეს ერთფეროვნად.

მატჩის გმირი კი მშობლიური ქალაქის საკრებულოს წევრი ზურაბ ხორგუაშვილი გახდა. „დილას“ ვეტერანმა თავდამსხმელმა დუბლი გააკეთა და მატჩის ბოლოს თანაგუნდელსაც საგოლედ უპასა. ხორგუაშვილის ორივე გოლი გამოცდილების ნაყოფი იყო. სისწრაფედაკარგულმა გორელმა ორჯერვე ჭკვიანურად შეარჩია ადგილი მეტოქის საჯარიმოში და ბურთმაც თავად „მოძებნა“ ადრესატი.

პირველი ტაიმი „დილამ“ ერთბურთიანი უპირატესობით დაასრულა.

მეორე კი „მილანის“ აქტიურობით დაიწყო. კახელები თითქოს „მასპინძელთა“ საჯარიმოსაც მიაწყდნენ. თუმც მალე კონტრშეტევა გაეპარათ და... მატჩიც დაწყნარდა. გუნდები ოდნავ დამშვიდნენ, მერე ჩვეული ბურთაობა გაჩაღდა საჯარიმოდან საჯარიმომდე.

ბერდია გვენცაძემაც იფიქრა, ასე გაგრძელება არას გვარგებსო და თავდასხმა გააძლიერა. შედეგად „მილანმა“ ერთი ბურთი გაქვითა. თავდასხმის გაძლიერება მეც ვიციო და მალე ვლადიმერ ხაჩიძემ გაიხარა. მის მიერ მოედანზე შეშვებულმა სულთანიშვილმა შანსი არ დაუტოვა მეკარეს. მასვე კიდევ შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ კარში ვერა და ვერ მოარტყა. თუმც ეს უკვე ალარავის აინტერესებდა. მთავარი ხომ სამი ქულაა, რაც ასე მოენატრა გორის „დილას“.

„მილანი“ კი... სოსო ბარამიძით გაძლიერებული წნორელები ალბათ ბევრს გაამწარებენ მეთოთხმეტე ეროვნულში, მაგრამ მთავარი ხომ ქულებია.

# შუა გზაზე ნაპოვნი სამი ქულა

## ფედერაციამ შეყრილაძის მედლები არ დაიბრუნა

სამტრედია. 5 ოქტომბერი. 16 საათი. ეროსი მანჯგალაძე. 300 (ტევადობა 15 000)

## მეტალურგი 0:2 კოლხეთი

0:1 ფანჩულიძე (33), 0:2 სვანაძე (34)
სუხიაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (58, მეკარე)

მეტალურგი: მერკვილიშვილი, მებარნიშვილი, ორმოცაძე (მ. ლონლაძე 57), გაბრიჭიძე, ჩაჩუა, მალლაკელიძე, სუხიაშვილი (გურეშიძე 63), სულაკაძე, ი. ხაჭაპურიძე (ერდელაძე 46), ფოფხაძე, ვაჩიბერაძე
სათადარიგონი: მდინარაძე, კ. თავბერიძე, ნიშნიანიძე, გოგაძე
მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე

კოლხეთი: გრიშიკაშვილი, ნარსია, მ. ქობულაძე, შ. ლონლაძე, ქუტიძე (გოროზია 78), გაბიდაური, სვანაძე, ფანჩულიძე, ე. გვასალია, გოჩაროვი (კვერნაძე 83), წიტაიშვილი (კრასოვსკი 46)
სათადარიგონი: ჩემია, გურგენაძე, ჰ. ბაჩილავა, მ. ფილია
მწვრთნელი: სოსო ფილია

გაფრთხილება: გრიშიკაშვილი (89)

მსაჯები: ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, გ. კუკჩიშვილი (ყველა ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ჯარიმა: 13-20; კუთხური: 3-8; კარისკენ დარტყმა: 5-10; კარში დარტყმა: 3-8; თამაშგარე: 3-2

იუზა კაციტაძე სამტრედიიდან

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ, მოგეხსენებათ, ამ წლის ბოლომდეა დისკვალიფიცირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ „მეტალურგმა“ ექვსი საშინაო შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე უნდა გამართოს. ჰოდა, შაბათს ზესტაფონელები სამტრედიაში „ეროსი მანჯგალაძეზე“ დაუხვდნენ „კოლხეთს“.

„ვიტ ჯორჯიასთან“ სკანდალური მატჩის შემდეგ შავ დღეში აღმოჩნდა „მეტალურგი“. ნახსენებ უმკაცრეს სასჯელს რომ თავი დავანებოთ, გუნდი, ფაქტობრივად, უპატრონოდ დარჩა. კლუბის პრეზიდენტი ნუგზარ მდივანი თანამდებობიდან გადადგა და ჯერაც გაურკვეველია, ვინ შეცვლის მას და საერთოდ, საკითხავია, იკისრებს კი ვინმე კლუბზე ზრუნვას?

გაუმართლა „კოლხეთს“, ზესტაფონში ჩასვლა არ მოუწია, შუა გზაზე ეთამაშა ფსიქოლოგიურად დათრგუნულ მეტოქეს და ჩემპიონატში პირველი გასვლითი მატჩიც მოიგო. ზღვისპირელებმა პირველ ტაიმში აჯობეს „მეტალურგს“, როცა დიდ სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ და ამას აქტიური ნახევარდაცვის ხარჯზე მიაღწიეს. საწყის წუთებში ფოთელებმა ორი სახიფათო იერიში განახორციელეს, ორივე შემთხვევაში გაბიდაური აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში. იგი ჯერ დაახლოებით 15 მეტრიდან შეეცადა ზესტაფონელთა კარის დალაშქვრას, მაგრამ მერკვილიშვილმა უძნელესი ბურთი აუღო. მეორედ იყო და, გიორგიმ ოდნავ ააცილა მიზანს, „მეტალურგი“ იშვიათად კი უტევდა, მე-18 წუთზე მალლაკელიძის მიერ საჯარიმოს გარედან გასროლილი მცირედით ასცდა კოლხთა კარის ჯვარედინს. ეს იყო და ეს. შესვენებამდე გრიშიკაშვილი უსაქმოდ იდგა. სამაგიეროდ, მერკვილიშვილს ადგა ჯაფა და გარკვეულ დრომდე სანაქებოდაც ირჯებოდა ზესტაფონელთა კარის დარაჯი. მაგრამ კოლხებმა შეტევები გაამწვავეს და „მეტალურგმა“ დაცვაში შეცდომებს უხშირა. 30-ე წუთზე წიტაიშვილს „კოლხეთში“ თავის სადებიუტო თამაშში შეეძლო მეტოქის დამწუხრება, კუთხურის შემდეგ კარგად შეაგება ბურთს თავი, თუმცა კარის ჩარჩოს ააცილა. ამ ეპიზოდიდან სამ წუთში ფოთელებმა მაინც შეძლეს გატანა. ელდარ გვასალია კარგად გაისარჯა მარჯვენა ფლანგზე და საჯარიმოში ჩააწოდა, ფანჩულიძემ საჰაერო დუელში აჯობა ორმოცაძეს და კარისკენ უთავაზა ბურთს, მერკვილიშვილმა ეს დარტყმა კი გააუვნებლა, მაგრამ გადმოვარდნილთან ისევ კოლხი გაჩნდა და ანგარიშიც გაიხსნა. ნახევარ წუთში კოლხებმა მეორეც მიაყოლეს. სწრაფი კომბინაცია სვანაძე-წიტაიშვილი-სვანაძე და ბურთი ბადეში აფართხალდა.

0:2 გაბათილება, აბა, როგორია, მაგრამ წარმოიდგინეთ, ზესტაფონელები თამაშის განახლებისთანავე ამ საქმეს შეეჭიდნენ. „მეტალურგმა“ ცოცხლად შეუტია და 47-ე წუთზე ფოფხაძეს რომ არ ემარჯვა, ერთი გაქვითული იქნებოდა. 54-ე წუთზე კოლხნი სულაკაძის დარტყმულს გადაურჩნენ. აქედან ოთხ წუთში კი ზესტაფონელებს გატანის ყველაზე რეალური შანსიც მიეცათ. ფოთელებმა საკუთარ საჯარიმოში მალხაზ ლონლაძე წააქციეს. არბიტრმა უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი, მაგრამ რად გინდა — გრიშიკაშვილი სუხიაშვილს მიუხვდა, მარცხენა კუთხიდან გამოაძრო ბურთი.

გამოუყენებელი პენალტის შემდეგ ზესტაფონელებს მატჩის გადარჩენის იმედი გაუქრათ, ინიციატივას ისევ ფოთელები დაეუფლნენ. ქობულაძეს, გვასალიას, ფანჩულიძეს, გოჩაროვს გატანაც მართებდათ, თუმც ანგარიში ალარ შეცვლილა.

რეპორტაჟს აქ დავასრულებდით, მაგრამ ამის უთქმელობაც არ იქნება. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გამოუცხადებლობისთვის „მეტალურგის“ მწვრთნელ ზაურ ჩუბინიძეს აუცილებლად დავაჯარიმებთო (ესლა აკლდათ ზესტაფონელებს) — ბრძანა სფფ-ის ინსპექტორმა ნოდარ კაკულიამ. გვერდს ვერ ავუვლით სადისციპლინო კომიტეტის მიერ ამასწინათ ფეხბურთიდან ერთი წლით მოკვეთილი „მეტალურგის“ მცველის ალეკო შეყრილაძის საქციელსაც. ვეტერანი მტკივნეულად განიცდის სასჯელს და იქამდეც კი მივიდა, რომ სათამაშო კარიერის მანძილზე მოპოვებული ყველა ჯილდო, მათ შორის „ტორპედოში“ თამაშისას მოპოვებული ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები, პროტესტის ნიშნად, ჩასაბარებლად გაიმეტა. აკი, თხოვდა კიდეც შეყრილაძე ნოდარ კაკულიას, ეს ჯილდოები ფედერაციაში მიიტანეთო. კაკულიამ, ცხადია, უარით გაისტუმრა მთხოვნელი, ოღონდ ფეხბურთელმა უკან არ დაიხია, ხელებაკანკალებულმა მედლებიანი ქისა იქვე სკამზე დადო და სამსაჯოს გაეცალა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 9 | 8 | 1 | 0 | 19:1 | 25 |
| ტორპედო | 10 | 7 | 1 | 2 | 19:6 | 22 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 7 | 1 | 2 | 17:5 | 22 |
| ლოკომოტივი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:5 | 19 |
| კოლხეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 12:11 | 17 |
| სიონი | 10 | 4 | 1 | 5 | 10:15 | 13 |
| მეტალურგი | 10 | 4 | 1 | 5 | 7:15 | 13 |
| მერანი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:17 | 11 |
| დილა | 10 | 2 | 2 | 6 | 6:13 | 8 |
| მილანი | 10 | 1 | 3 | 6 | 4:17 | 6 |
| ბათუმი | 10 | 0 | 5 | 5 | 4:10 | 5 |
| გორდა | 10 | 1 | 0 | 9 | 3:18 | 3 |

პირველ ტურში „მერანს“, „მეტალურგს“, „გორდას“ და „მილანს“ ჩაეთვალათ 0:3 წაგება



გია გეგუჩაძე

# გორდა გეგუჩაძეს მეორედ ჩააბარეს

## ვეტერან გიორგი კილასონიას ახალმა მწვრთნელმა ახალგაზრდები ამჯობინა

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘᲡ ფსკერზე დალექილი „გორდა“ გია გეგუჩაძეს ჩააბარეს. არაბეთში ნამუშევარი ახალგაზრდა მწვრთნელი მეორედ დაბრუნდა „გორდაში“, დაბრუნდა ხანგრძლივი თანამშრომლობისთვის რუსთაველებთან.

ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ „გორდას“ დირექტორატის წარმომადგენელი მარლენ ლაბაძე ამბობდა, გეგუჩაძესთან დაკავშირებით სოლიდური გეგმები გვაქვს, თუმც მისი „გორდას“ მწვრთნელობა ამ ეტაპზე გამორიცხულიაო, ის კი არა, ვარლამ კილასონიას დაბრუნება გვსურსო.

ვარლამ კილასონიამ ერთხელ ნათქვამი არ გადათქვა, უსახსრო, უამბიციო გუნდში ალარ დაბრუნდა და „გორდაც“ იასონ ალადაშვილის მარიფათზე დარჩა. გეგუჩაძესთან თანამშრომლობა კი საფეხბურთო სკოლა „გორდა 2000“-ს უკავშირდებოდა, თუმც ბოლო წამს თბილისელ მწვრთნელს უმაღლესი ლიგის ლაბირინთებში ცხვირწამტვრეული გუნდი ჩააბარეს. გეგუჩაძე „გორდას“ საბაზო და ბავშვთა გუნდებსაც გაუწევს კურირებას, იქ სამუშაოდ მან თავისი ხალხი მიიყვან — „გორდა 2“-ს ჯემალ მახარაშვილი უთავკაცებს, თავად გეგუჩაძეს კი „გორდას“ გაწვრთნაში გია ჭყონია დაეხმარება. ამის გამო გეგუჩაძემ უარი თქვა იასონ ალადაშვილის თანაშემწეობაზე. გუნდში მისვლისთანავე კი ხმაურიანი ცვლილება მოახდინა, უარი თქვა თამაზ მეტრეველზე და გიორგი კილასონიაზე. კილასონია დიდი ძალა იყო რუსთაველთათვის, მაგრამ როგორც ჩანს, გეგუჩაძეს სხვა მიზნები აქვს, ამბობს: აქცენტს ახალგაზრდებზე ვაკეთებ და ვეტერანთა დახმარება არ მჭირდებაო. გეგუჩაძემ გარისკა და ვნახოთ, ეს რისკი რას მოუტანს. რადგან კლუბმა მეტრეველთან და კილასონიასთან კონტრაქტი თავად დაარღვია, ვალდებულიცაა ხელშეკრულების ბოლომდე ხელფასი უხადოს ამ ფეხბურთელებს.

ბაატა ძგანტალიანი

თბილისი. 6-9 ოქტომბერი

ევროპის ჩემპიონთა თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი.

FUTSAL CUP

6 ოქტომბერი

ნიკელი (რუსეთი) 4:1 ფრეიმერო (პორტუგალია)

იბერია 2000 (საქართველო) 3:0 ოლიმპი (ლატვია)

7 ოქტომბერი

ნიკელი (რუსეთი) 9:0 ოლიმპი (ლატვია)

იბერია 2000 (საქართველო) 2:4 ფრეიმერო (პორტუგალია)

# მადლი ჰქენით, გააჩერეთ არსენალი!

## ინგლისი

### პრემიერლიგა. IX ტური

**არსენალი 3:1 სანდერლენდი**

1:0, 2:0 კანუ (3, 9), 3:0 ვიეირა (45), 3:1 კრადოკი (82)
არსენალი: სიმენი, ლორენი, ს. კემპბელი, სიგანი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (კ. ტურე 78), ვიეირა, ჟილბერტო სილვა, უილტორდი (ედუ 77), ანრი (ჯეფერსი 77), კანუ
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
სანდერლენდი: სორენსენი (მაჩო 13), კრადოკი, ბები, კ. რეინა, ბელიონი, დ. უილიამსი, გ. მაკკანი, არკა, კილბეინი, ტორნტონი (მიბერი 58), ფლო (ნ. ქუინი 74)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
მსაჯი: ელერი
37 902 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:0 ლიდსი**

ასტონ ვილა: ენკელმანი, მელბერგი, სტონტონი, იონსენი (ლეონჰარდსენი 14; პ. ანჯელი 46), ბერი, დე ლა კრუზი, ჰენდრი, ჯ. სამუელი, კინსელა, დაბლინი, ვასელი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
ლიდსი: პ. რობინსონი, მილსი, ვუდგეიტი, მატეო, ჰარტე, ბოიერი, ბარმბი, მაკფაილი (ვიდუკა 67), ბაკე, კიუელი, სმიტი
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
გაფრთხილება: ვასელი, მილსი
მსაჯი: ჰელსი
33 506 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:2 ტოტენჰემი**

0:1 კინი (6), 1:1 ოსტენსტადი (59), 1:2 რედნაპი (89)
ბლექბერნი: ფრიდელი, მ. ტეილორი, ბერგი (გრესკო 46), ნ. იოჰანსონი, ნეილი, ტომპსონი, დ. დანი (გრაბი 69), თუგაი, ფლიტკროფტი, დაფი, ენდი კოული (ოსტენსტადი 46)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ტოტენჰემი: კელერი, ტარიკო (პერი 69), ბუნიევიჩი, რიჩარდსი, ტეილორი, ს. დევისი, რედნაპი, ფროინდი, აჩიმოგუ (ივერსენი 69), შერინგემი, რობი კინი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: ბერგი
მსაჯი: დურსო
26 203 მაყურებელი

**ლივერპული 1:0 ჩელსი**

1:0 ოუენი (90)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანშო (ტრაორე 40), ჰიუპია, რიისე, დ. მერფი (დიაო 75), ჰამანი, ჯერარდი, ბრუნო შეირუ (ბაროში 71), ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ჩელსი: კუდიჩინი, მელჩიოტი, დესაი, გალასი, ლე სო, სტანიჩი (ჯ. მორისი 46), ე. პეტი, ლამპარდი, გრონკიერი, ძოლა, ჰასელბაინკი (გუდიონსენი 46)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: სტანიჩი, გრონკიერი
მსაჯი: ბარბერი
43 856 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:0 ბოლტონი**

1:0 ეჰიოგუ (23), 2:0 ჯერემი (68)
მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი (კუპერი 81), ეჰიოგუ, საუთგეიტი, ქუდრუ, გრინინგი, ჯ. ბოატენგი, ჯერემი, ჟობი, მაკარონე (უილსონი 90), ბოკშიჩი (ნემეტი 73)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ბოლტონი: იასკელაინენი, ბერნესი, უიტლოუ, ბერგსონი, ჩარლტონი (ფარელი 46), ფრანდსენი (ოკოჩა 72), კამპო, ჯორკაეფი, ნოლანი, დ. ჰოლდსუორთი (რიკეტსი 46), პედერსენი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: კამპო, ნოლანი, ჯორკაეფი
მსაჯი: უილკისი
31 005 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:1 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 ბალიში (27), 1:1, 2:1 შირერი (45, 69)
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ობრაიენი, დაბიზასი, ა. ჰიუზი, სოლანო (ჯენასი 82), დაიერი, სპიდი, რობერი (ბერნარი 89), შირერი, ბელამი (ლუა ლუა 82)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ვესტ ბრომვიჩი: ჯ. მერფი, დ. მური, ჯილქრისტი, გრეგანი, ბალიში, კლემენტი, ე. ჯონსონი, მაკინესი, ლ. მარშალი (კუმასი 77), რობერტსი, დობი (ბ. ჰიუზი 69)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: ობრაიენი, რობერტსი, გრეგანი
მსაჯი: ფოი
52 142 მაყურებელი



ასტონ ვილა — ლიდსი. სტუმარი ალან სმიტი ოლოფ მელბერგს წელში შეუვარდა

REUTERS

**საუთჰემპტონი 2:0 მანჩესტერ სიტი**

1:0, 2:0 ორმეროდი (2, 43)
საუთჰემპტონი: ნიმი, ბრიჯი, მაიკლ სვენსონი, ლუნდეკვამი, დოდი, ფერნანდესი, ა. სვენსონი (ოკლი 80), მარსდენი, დელაპი, ორმეროდი (პაჰარსი 53), ბიტი (ტესემი 87)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
მანჩესტერ სიტი: შმაიხელი, ნ. იენსენი, დუნი, ჰოუი (მეტომო 37), დისტინი, ფოე, ჰორლოკი, ბენარბია, ბერკოვიჩი, ანელკა, რაიტ-ფილიპსი (მაკენი 73)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: მარსდენი, პაჰარსი, იენსენი, პაჰარსი
გაძევება: პაჰარსი (85)
მსაჯი: მესიასი
31 009 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 1:2 ბირმინგემი**

0:1 ჯონი (4), 1:1 კოული (17), 1:2 ჯონი (43)
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, შინელი (ი. პირსი 72), ბრინი, რეპკა, მინტო, ჯ. კოული (ტ. კამარა 72), კარიკი, ლომასი, ტ. სინკლერი, დი კანიო, დეფო
მწვრთნელი: გლენ როედერი
ბირმინგემი: ვესენი, კენი, კანინგემი, პარსი, დ. ჯონსონი, დევლინი, ა. ხიუზი, სევიჯი, ლაზარიდისი (გ. ჰიუზი 84), ჯონი (ჰორსფილდი 83), მორისონი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: მინტო, კარიკი, ხიუზი
მსაჯი: დოუდი
35 010 მაყურებელი

**ფულემი 1:0 ჩარლტონი**

1:0 საჰა (36)
ფულემი: ვან დერ სარი, უადუ, ნაითი, მელვილი, ბრევეტი, ლეგვინსკი, შ. დევისი (გომა 67), მალბრანკი, ბოა მორტე (ინამოტო 64), მარლე, საჰა (ჰეილსი 74)
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
ჩარლტონი: დ. კილი, იანგი (ჯ. იოჰანსონი 83), რუფუსი, ფიში, კ. პაუელი, ჯ. რობინსონი, მასტო, კ. იენსენი, კონჩესკი (ლისბი 66), იუელი, ბარტლეტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ბრევეტი, რუფუსი, იუელი
მსაჯი: უინტერი
14 775 მაყურებელი

**მანჩესტერი — ევერტონი**

წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

ჯერჯერობით უცნობია, ვინ გააჩერებს ლონდონის „არსენალს“. გამჩერებელი ყველა პრემიერლიგური გუნდის მადლს მოისხამს, რადგან კვირას „მეთოფეებმა“ კიდევ ერთი რეკორდი დაამხეს — პრემიერლიგის ზედიზედ ოცდამეათე თამაში არ წააგეს და ცხრილშიც კვლავინდებურად პირველები არიან—ორი ქულით უსწრებენ „ლივერპულს“. არ წააგეს კი არა, „მეთოფეებმა“ კვლავ მოიგეს, საშინაო მატჩი „სანდერლენდთან“. თუმცაღა, ჩრდილოელთა მენეჯერი პიტერ რიდი ამბობდა, თუ თამაში ისე წავიდა, როგორც მე ჩავიფიქრე, „არსენალს“ გოლს არ გავატანინებთო.

თამაშის მეცხრე წუთისთვის „არსენალი“ უკვე 2:0 იგებდა ნვანკვო კანუს დუბლით. ტაიმის ბოლოს პატრიკ ვიეირამ მესამეც გააფორმა და სანდერლენდელი ჯოდი კრადოკის გვიან საპასუხოს რაღა უნდა შეეცვალა.

„ჩვენ ბრწყინვალედ ვთამაშობთ. დღეს ისე ჩანდა, რომ ფორა გვქონდა. ეს იმიტომ, რომ უკეთ ვართ მზად — თქვა მენეჯერმა არსენ ვენგერმა — პირველი ტაიმი საუცხოო იყო. პასი, დარტყმა, ეს ყველაფერი შეგვიძლია.“

ამ დროს კი „ენფილდზე“ „ლივერპული“ „ჩელსის“ ებრძოდა და ეს იყო დახურული, მძიმე, კარგი კლასის თამაში, სადაც დიდი ძალებით შეტევა არც ერთს გაუბედავს. და მაინც, ბოლო წუთზე ემილ ჰესკიმ გააღწია დასარტყმელ პოზიციაზე და დაბალი გაუშვა შორეული კუთხისკენ. ლონდონელთა მეკარე კარლო კუდიჩინი თითებით მისწვდა ბურთს, მაგრამ იქ იყო მაიკლ ოუენი, მთელი თამაში უიღბლოდ რომ დაჰქროდა აქეთ-იქით.

„ეს თავდამსხმელის გოლი იყო — თქვა ოუენმა — შენ ყოველთვის ელი მეკარისგან გადმოვარდნილ ბურთს. ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო თამაში, მაგრამ ბოლო წუთზე ყველაფერი გამოსწორდა.“

მართლაც მოულოდნელი დრამა გათამაშდა „ჩელსისთვის“, რომელმაც ზედიზედ მეორედ წააგო ისეთი თამაში, რომლის წაგებასაც არ იმსახურებდა.

წინა ტურში „ჩელსის“ დამმარცხებელმა „ვესტ ჰემმა“ კი მშობლიურ „აპტონ პარკზე“ წააგო. ბირმინგემელი სტერნ ჯონის ორმა გოლმა ცხრილში „ვესტ ჰემის“ ბოლო ადგილი კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ბირმინგემის კიდევ ერთმა გუნდმა, „ასტონ ვილამ“ შინ უგოლო ფრე გაახერხა „ლიდსთან“. ლიდსელთათვის ეს იყო სეზონში პირველი ფრე.

ამასობაში კი გაილაღა ალან შირერმა: მისმა ძველებურმა დუბლმა „ნიუკასლს“ მოაგებინა, ხოლო თავად ალანმა საკარიერო სამასგოლიან ნიშნულს უწია.

ბლექბერნში სტუმრობა ზოგადად ძნელი საქმეა, მაგრამ წინა ტურში შინ, „მიდლსბროსთან“ დამარცხებულმა „ტოტენჰემმა“ თავი არ დაუგდო და „ივუდ პარკიდან“ სამი ქულა წაიღო. რობი კინმა თავისი პირველი ტოტენჰემური გოლით გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმის შუისკენ ეგელ ოსტენსტადმა ანგარიში გაათანაბრა და თამაში ფრისკენ წავიდა. ორივე გუნდს შეეძლო კიდევ ერთის გატანა, მაგრამ იღბალი სტუმრებს დაუდგა — ჯეიმი რედნაპმა საჯარიმოს კუთხიდან ჩასვა ბურთი მასპინძელთა კარში მაშინ, როცა თამაშის დამთავრებამდე წუთი რჩებოდა.

„მოსაგებად ძალიან რთული ადგილია — განაცხადა ლონდონელთა მენეჯერმა გლენ ჰოდლმა — მაგრამ ღრმად ვთხარეთ და ოფლიც დავღვარეთ.“

„მიდლსბროს“ მორიგი გამარჯვება არავის გაკვირვებია. სტივ მაკლარენის გუნდი ნამდვილად საგაისო ჩემპიონთა ლიგას უმიზნებს. „საუთჰემპტონმა“ კი „მანჩესტერ სიტის“ აადინა ბოლი. პიტერ შმაიხელი რომ არა, ეგებ ანგარიში ექვსამდე მაინც ასულიყო, „სიტიმ“ ყველაზე ცუდი მატჩი ჩაატარა ამ სეზონში, „საუთჰემპტონმა“ კი საუკეთესო.

**ირაკლი ბამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 9 | 7 | 2 | 0 | 24:9 | 15 | 23 | 5 | 5 | 0 | 0 | 14:5 | 9 | 15 | 4 | 2 | 2 | 0 | 10:4 | 6 | 8 |
| 2 ლივერპული | 9 | 6 | 3 | 0 | 19:8 | 11 | 21 | 5 | 3 | 2 | 0 | 10:4 | 6 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 5 | 10 |
| 3 მიდლსბრო | 9 | 5 | 2 | 2 | 13:5 | 8 | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 13 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:3 | 1 | 4 |
| 4 ტოტენჰემი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:13 | 0 | 16 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:6 | 0 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 7 |
| 5 ფულემი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:8 | 5 | 14 | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 5 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 0 | 4 |
| 6 მანჩესტერი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:6 | 3 | 14 | 4 | 3 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 5 |
| 7 ჩელსი | 9 | 3 | 4 | 2 | 15:12 | 3 | 13 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:6 | 2 | 5 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 1 | 8 |
| 8 ნიუკასლი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:9 | 3 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 8:3 | 5 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 9 ლიდსი | 9 | 4 | 1 | 4 | 11:9 | 2 | 13 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 2 | 7 |
| 10 ბლექბერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:10 | 1 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | -1 | 5 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 |
| 11 ევერტონი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:11 | 0 | 11 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 3 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 3 |
| 12 ბირმინგემი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:11 | -1 | 11 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 1 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 5 |
| 13 საუთჰემპტონი | 9 | 2 | 4 | 3 | 6:8 | -2 | 10 | 5 | 2 | 3 | 0 | 4:1 | 3 | 9 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 1 |
| 14 ასტონ ვილა | 9 | 3 | 1 | 5 | 6:9 | -3 | 10 | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 10 | 4 | 0 | 0 | 4 | 0:6 | -6 | 0 |
| 15 ვესტ ბრომვიჩი | 9 | 3 | 0 | 6 | 7:15 | -8 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 6 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | -6 | 3 |
| 16 სიტი | 9 | 2 | 2 | 5 | 7:14 | -7 | 8 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 1:8 | -7 | 1 |
| 17 სანდერლენდი | 9 | 2 | 2 | 5 | 4:13 | -9 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | -3 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:8 | -6 | 4 |
| 18 ბოლტონი | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | -6 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 4 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 3 |
| 19 ჩარლტონი | 9 | 2 | 1 | 6 | 7:14 | -7 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | -7 | 0 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:4 | 0 | 7 |
| 20 ვესტ ჰემი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:16 | -8 | 5 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | -4 | 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:9 | -4 | 3 |

### X ტური

**19 ოქტომბერი**
ვესტ ბრომვიჩი — ბირმინგემი
ბლექბერნი — ნიუკასლი
ევერტონი — არსენალი
ფულემი — მანჩესტერი
სიტი — ჩელსი
სანდერლენდი — ვესტ ჰემი

**20 ოქტომბერი**
ჩარლტონი — მიდლსბრო
ტოტენჰემი — ბოლტონი

**21 ოქტომბერი**
ასტონ ვილა — საუთჰემპტონი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვილტორდი (არსენალი) | 6 |
| ანრი (არსენალი) | 6 |
| ძოლა (ჩელსი) | 6 |

### I დივიზიონი. XII ტური

**დერბი ქაუნთი 2:2 უოლსოლი**

1:0, 2:0 კრისტი (19, 53), 2:1 კორიკა (64), 2:2 არანალდე (90პ)
დერბი ქაუნთი: პოომი, ჰანტი, რიგოტი, კარბონარი (ევატი 46), ჰიგინბოთემი, ბოერტიენი, ბოლდერი, ლი, მორისი (კინკლაძე 83), კრისტი, მაკლეოდი (ტუდგეი 87)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
25 247 მაყურებელი

**ბრედფორდი 1:1 პრესტონი**

1:0 პროქტორი (20), 1:1 ალექსანდერი (39პ)

**ჯილინგემი 0:2 ქოვენტრი**

0:1 ბოტროიდი (46), 0:2 პიპე (53)

**გრიმსბი 0:3 რედინგი**

0:1 ჰიუზი (13), 0:2 ფორსტერი (32), 0:3 ჰენტონი (90ს.კ)

**მილუოლი 1:2 ნოტინგემი**

1:0 დევისი (44), 1:1, 1:2 ჯონსონი (65, 85)

**როტერჰემი 2:3 პორტსმუთი**

0:1 პერიკარი (16), 0:2 ტოდოროვი (23), 1:2 ბიფოლდი (34), 1:3 მერსონი (45პ), 2:3 ლი (73პ)

**შეფილდ უენსდი 1:3 ბარნლი**

0:1 ტეილორი (8), 0:2 ლიტლი (57), 0:3 მური (60), 1:3 დონელი (67)

**სტოუკი 1:1 კრისტალ პალასი**

0:1 ადებოლა (77), 1:1 აიველუმო (85)

**უოტფორდი 1:0 ბრაიტონი**

1:0 ჰელგუსონი (40)

**ვულვზი 1:3 შეფილდ იუნაიტედი**

1:0 ულატოვსკი (38ს.კ), 1:1 ტონგი (45), 1:2 ელისონი (48), 1:3 ტონგი (60)

**ნორვიჩი 0:0 ლესტერი**

**უიმბლდონი 0:1 იფსვიჩი**

0:1 ამბროზი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 12 | 10 | 1 | 1 | 28:10 | 31 |
| ლესტერი | 12 | 8 | 3 | 1 | 19:10 | 27 |
| ნორვიჩი | 12 | 7 | 4 | 1 | 21:7 | 25 |
| ნოტინგემი | 12 | 7 | 2 | 3 | 24:13 | 23 |
| შეფილდი | 12 | 6 | 3 | 3 | 18:14 | 21 |
| ქოვენთრი | 12 | 6 | 3 | 3 | 17:15 | 21 |
| უოტფორდი | 12 | 6 | 3 | 3 | 18:18 | 21 |
| როტერჰემი | 12 | 5 | 3 | 4 | 22:17 | 18 |
| რედინგი | 12 | 5 | 2 | 5 | 14:12 | 17 |
| დერბი ქაუნთი | 12 | 5 | 1 | 6 | 15:17 | 16 |
| ბარნლი | 11 | 4 | 3 | 4 | 13:17 | 15 |
| ბრედფორდი | 12 | 3 | 6 | 3 | 13:17 | 15 |
| ჯილინგემი | 12 | 4 | 3 | 5 | 13:18 | 15 |
| ვულვზი | 11 | 4 | 2 | 5 | 21:16 | 14 |
| სტოუკი | 12 | 3 | 5 | 4 | 15:17 | 14 |
| უოლსოლი | 12 | 4 | 2 | 6 | 15:18 | 14 |
| კრისტალ პალასი | 12 | 2 | 7 | 3 | 15:15 | 13 |
| პრესტონი | 12 | 2 | 7 | 3 | 15:18 | 13 |
| იფსვიჩი | 9 | 3 | 3 | 3 | 13:8 | 12 |
| მილუოლი | 12 | 3 | 3 | 6 | 11:21 | 12 |
| უიმბლდონი | 12 | 3 | 1 | 8 | 10:18 | 10 |
| უენსდი | 12 | 1 | 6 | 5 | 10:17 | 9 |
| გრიმსბი | 11 | 1 | 2 | 8 | 6:21 | 5 |
| ბრაიტონი | 12 | 1 | 1 | 10 | 9:21 | 4 |

### მეორე დივიზიონი

#### XII ტური

ბლეკპული — ჩელტენემი 3:1; ბრენტფორდი — ბარნსლი 1:2; ბრისტოლი — ჩესტერფილდი 4:0; კოლჩესტერი — უიკომბი 0:1; ქრიუ — ქუინზ პარკი 2:0; ჰადერსფილდი — პორტ ვეილი 2:2; მენსფილდი — ტრანმერი 6:1; ნოტსი — პიტერბორო 2:2; პლიმუთი — ნორთჰემპტონი 0:0; სტოკპორტი — ლუტონი 2:3; სუინდონი — ოლდემი 0:1; უიგანი — კარდიფი 2:2

### მესამე დივიზიონი

#### XII ტური

ბერი — საუთენდი 1:3; კემბრიჯი — რექსემი 2:2; კარლაილი — ტორკი 1:2; დარლინგტონი — როჩდეილი 1:0; ექსეტერი — იორკი 0:1; კიდერმინსტერი — ჰალი 1:0; ლინკოლნი — ბორნმუთი 1:2; მაკლსფილდი — ბოსტონი 2:0; ოქსფორდი — სკანთორპი 0:1; რაშდენი — ლეიტონი 2:0; შრუსბერი — ჰარტლპული 0:1; სუონსი — როჩდეილი 1:1

# ზანგურები

## ჩვეულებრივი გამოფენა მიუნხენიდან ჰანოვერამდე



REUTERS

ბაიერნი — ბოხუმი. სტუმართა მეკარე კრისტიან ვანდერი ამაოდ გაისარჯა, კლაუდიო პიზარომ (მარცხნივ) მაინც გაიტანა

## გერმანია

### ბუნდესლიგა. VIII ტური

**ჰერთა 2:1 ნიურნბერგი**

0:1 ჩირიჩი (42), 1:1, 2:1 მარსელინიო (75, 83)
ჰერთა: ფიდლერი, ა. ფრიდრიხი, რემერი, ვან ბურიკი (ლაპაჩინსკი 46), ჰარტმანი, მარქსი, ნოიენდორფი, მარსელინიო, პინტუ (კარვანი 66), გოორი, პრეცი (ლუიზაო 68)
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
ნიურნბერგი: კამპა, პეტკოვიჩი, კოში, სანე, ლარსენი, პოპოვიჩი, ნიკლი, ლ. მიულერი, იაროლიმი (დავიდი 87), დრილერი (ფრაი 66), ს. ჩირიჩი (ვილა 73)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: ნოიენდორფი, პინტუ, ფრიდრიხი, რემერი, პოპოვიჩი
მსაჯი: შტრამპე
38 568 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 2:0 ლევერკუზენი**

1:0 მარიჩი (6), 2:0 ეფენბერგი (74)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, რიტერი, მადსენი, შნოორი, რაუ, კარჰანი, შარპერი, პონტე (ტ. პეტროვი 73), ეფენბერგი, ტ. მარიჩი (ს. მიულერი 83), კლიმოვიჩი (ავონორი 73)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ჟივკოვიჩი, ლუსიო, რამელოვი, ბალიტში (პრონისი 73), ოჯიგვე, ბ. შნაიდერი, ბასთურქი, ბაბიჩი (ფრანსა 46), ნოივილი (შიმაკი 60), ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: კლიმოვიჩი, ეფენბერგი, მარიჩი, რამელოვი
მსაჯი: შიპელი
14 234 მაყურებელი

**ბაიერნი 4:1 ბოხუმი**

1:0 ელბერი (27), 2:0, 3:0 პიზარო (39, 66), 3:1 შინდცილორცი (77), 4:1 ელბერი (90)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, თ. ლინკე, ტარნატი (ლიზარაზუ 68), იერემისი, სალიჰამიჯიჩი (ჰარგრივსი 68), ბალაკი, ზე რობერტო (შოლი 77), ელბერი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ბოხუმი: ვანდერი, კოლდინგი, რაისი, ფარენჰორსტი, ბემბენი (ფრიზე 75), შინდცილორცი, ტაპალოვიჩი, გუდიონსონი (თ. კრისტიანსენი 46), ფრაიერი, ბაკლი (ჰაშემიანი 75), ვოში
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ბემბენი, ტაპალოვიჩი
მსაჯი: ფანდელი
63 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 0:3 დორტმუნდი**

0:1 ფრინგსი (42), 0:2 კოლერი (63), 0:3 ამოროზო (87)
სტაინერმა ვერ გაიტანა პენალტი (68, ააცილა)
ჰანოვერი: სივერსი, ჩერუნდოლო, ჯ. ლინკს დე დიუფი, შტეფულა, ლალა, დე გუზმანი (კაუფმანი 72), კრუპნიკოვიჩი (ნერბაუერი 87), შტენდელი, სტაინერი (კრისი 72), იდრისუ
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
დორტმუნდი: ლემანი, მადუნი, ვიორნსი, ევანილსონი, დედე, კელი, ფრინგსი, როსიცკი (ამოროზო 84), რიკენი (ჰაინრიხი 72), კოლერი, ევერტონი (შ. როიტერი 76)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ლინკს დე გუზმანი, სივერსი, შტეფულა, დედე, კელი
გაძევება: დიუფი (78)
მსაჯი: ალბრეხტი
48 696 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 3:0 არმინია**

1:0 აიდოო (32), 2:0 ვან ჰუდტი (45), 3:0 აიდოო (60)
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, ვიტეჩეკი, შტრასერი, მუნზი, კორელი, ასტეი (შტასინი 66), ულიში (დემო 13), აიდოო (კეტელაერი 72), ვან ჰუდტი, ვან ჰუტი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
არმინია: ჰაინი, ლუსიეი (მასენი 70), რაინჰარდტი, ალბაირაქი, კაუჩი, მურავსკი (დიაბანგი 46), დაბროვსკი, დამაიერი, ბრინკმანი, ვატა, ბოგდანოვიჩი (ჩა 46)
მწვრთნელი: ბენო მიოლმანი
გაფრთხილება: კორელი, დემო, ალბაირაქი, ჩა
მსაჯი: მაიერი
26 600 მაყურებელი

**შალკე 3:0 ჰამბურგი**

1:0 აგალი (9), 2:0 სანდი (16), 3:0 ასამოა (45)
შალკე: ფ. როსტი, უდე კამფსი, ჰაიტო, ვან ჰოგდალემი, როდრიგესი, პოულსენი, ასამოა, მიოლერი, გ. ვარელა (ვატელანი 83), სანდი, აგალი (მანკე 63)
მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ბაური, ფუკალი, ჰოოგმა, მეიერი (კრისტენსენი 77), კლინგი, ვიკი, უიფალუში, მაჰდავიკია, ბარბარეზი (რანი 82), რომეო
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: ვიკი
მსაჯი: შტარკი
60 601 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 4:0 კოტბუსი**

1:0 კლოზე (18), 2:0 ქნავსი (49), 3:0 კლოზე (72), 4:0 მუიჟოროვიჩი (76ს.კ.)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი, ჰენგენი, ქნავსი, ტებერი (ტიმი 52), რიდლი, ბასლერი (ბიელიცა 77), გრამოზისი, ლინკოლნი (რატინიო 68), კლოზე, ლოკვენცი
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
კოტბუსი: პიპლიცა, და სილვა, ბეკი, ბერჰალტერი, ლიოვი (მუიჟოროვიჩი 26), აკრაპოვიჩი (იუნგნიკელი 58), გებჰარდტი (ტ. როსტი 76), ტილემანი, რეგეკამპფი, რინკი, ტოპიჩი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ბერჰალტერი, ტილემანი, მუიჟოროვიჩი
მსაჯი: კრუგი
33 246 მაყურებელი

**შტუტგარტი 4:1 მიუნხენ 1860**

0:1 შროთი (22), 1:1, 2:1 კურანი (46, 49), 3:1, 4:1 განეა (60, 90)
სოლდომ ვერ გაიტანა პენალტი (34, მეკარე)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, გერბერი, სოლდო, გლები, ტიფერტი (განეა 46), ბალაკოვი (მაისნერი 69), ზაიცი, კურანი (ამანატიდისი 83)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
მიუნხენ 1860: იენში, ჩერნი, რაფაელი (მეუდერი 52), როდრიგო კოსტა, რ. მაიერი, ჰოფმანი, კურცი (ბორიმიროვი 29), ვაისენბერგერი, ჰესლერი (აგოსტინო 55), ლაუთი, შროთი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
გაფრთხილება: კურანი, განეა, კურცი, რაფაელი, მაიერი, ჩერნი
მსაჯი: იანსენი
23 000 მაყურებელი

**ვერდერი 0:0 ჰანზა**

ვერდერი: ბორელი, სტალტერი, ვერლაატი, კრსტაიჩი, ფ. ერნსტი, ბოროვსკი, სკრიპნიკი, ლისტეში (დაუნი 79), მიკუ, ხარისტეასი, აილტონი (კლასნიჩი 74)
მწვრთნელი: თომას შააფი
ჰანზა: შობერი, ვიმერი, იაკობსონი, კოვარი, მაული, ჰირში, რიდლევიჩი, ლანცი, პერსონი (მოროში 87), ვორბეკი (ვიბრანი 90), პრიცა (სალუ 79)
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
გაფრთხილება: სკრიპნიკი, კრსტაიჩი, პერსონი, ვიმერი
მსაჯი: ვაკი
32 300 მაყურებელი

**გიხაროდეთ!** მხემ ღრუბლები გადადენა და „კაიზერსლაუტერნმა“ მოიგო. თანაც მიროსლავ კლოზემ დუბლი შეასრულა — გასაყიდად გამზადებულმა თავი ლამაზად შეიფუთა. ახლა „ლაუტერნი“ ბოლო აღარაა, ფსკერს „კოტბუსი“ ჩაესო.

საერთოდ, ეს ტური ზედმიწევნით ლოგიკური გამოდგა. მოიგო იმან, ვისაც უნდა მოეგო, თუმც ზოგს ცოტა ზედმეტი მოუვიდა და დიდ ანგარიშს გამოჰკრა ხელი.

ოტმარ ჰიცფელდის გუნდი, როგორც ჩანს, ახალ, შემტევ სტილს ამუშავებს — „ბაიერნმა“ კვლავაც ის აქტიური ფეხბურთი ითამაშა, რითაც ჩემპიონთა ლიგაში შინ „დეპორტივოსთან“ და „მილანთან“ დამარცხდა. მაგრამ ის, რაც ყოფნის „ბოხუმს“, „სან სიროზე“ „მილანს“ ეყოფა? საკითხავი აი, ეს არის. კლაუდიო პიზარომ კი ორივე გოლი თავურით გაიტანა, ორიც ჯოვანი ელბერმა შეაგდო, ვინაც ჩემპიონთა ლიგის მატჩებში ძველებურად ჯერაც ვერ ბრწყინავს, ბუნდესლიგაში კი მთავარმეგოლეა.

გელზენკირხენში აყლაყუდა ნიგერიელმა ვიქტორ აგალიმ იმდენი მოახერხა, სამ მცველს გასცდა და „ჰამბურგს“ პირველი გოლი მიართვა. დანიელმა ებე სანდმა ახლოდან შეაგდო, ხოლო ჯერალდ ასამოასი წერტილი იყო — მეორე ტაიმი გუნდებმა ოდენ მცონარობისთვის გამოიყენეს.

ლოურენს აიდოო კი განელი შემტევი გახლავთ, რომელმაც ორჯერ უთავაზა „მიონხენგლადბახს“ — ზანგური გოლები ბუნდესლიგას სულაც არ აშავებენ და არც არაფერს უშავებდნენ.

ჰანოვერში ჯერ დორტმუნდელთა ყველაზე ძვირადღირებული ახალშენაძენი ტორსტენ ფრინგსი გამოირჩა, მერე ზორბა იან კოლერმა ახლოდან გაიტანა, ხოლო მარსიო ამოროზომ კონტშეტევაზე დასაჯა „ჰანოვერ 96“.

„ვოლფსბურგისთვის“ პირველი გოლი შტეფან ეფენბერგმა პენალტით გაიტანა, ხოლო ახლა, „ლევერკუზენთან“, თამაშიდან შეაგდო. კლაუს ტოპმიოლერს ტოპ-გუნდი რომ აღარ ჰყავს, უკვე ძველი ამბავია — წინა ტურში თუ „ბაიერნს“ მოუგო, ახლა პირწმინდად დაეჩაგვრინა „მგლებს“.

იჯახირა და იწვალა ბერლინის „ჰერთამ“, მაგრამ მაინც გაიმარჯვა, არადა, „ნიურნბერგი“ მთელი 75 წუთი უძალიანდებოდა დედაქალაქელებს, მაგრამ ხორვატი ფორვარდის საშა ჩირიჩის გოლი [illegible] „ნიურნბერგი“ მე-10 ადგილიდან მე-7-ზე ალზევდა.

სტუმრებმა კარგად დაიწყეს შტუტგარტშიც. მარკუს შროტის გოლის შემდეგ მიუნხენელთა მეკარე საიმონ იენჩმაც იყოჩაღა — კრასიმირ ბალაკოვს 11-მეტრიანი აუღო, მაგრამ რაც გინდა — მეორე ტაიმში მასპინძლებმა მიუნხენურ პროლეტარიატს რეტი დაასხეს, რომელთაც „ლომებისა“, თუნდაც „ცისფერის“, აღარაფერი ეტყობოდათ.

ბრემენში, გერმანიის იმ უკიდურეს ჩრდილოეთში, სადაც ეს ტური გაიმართა, „ვერდერმა“ მოულოდნელად ვერ მოიგო — მიუნხენიდან დაწყებული ჩვეულებრივი ამბები ჰანოვერს ვერ გასცდა.

**დავით თავართქილაძე**

### მეორე ბუნდესლიგა

#### VIII ტური

**ფრაიბურგი 4:1 ვალდჰოფი**

1:0 დიარა (12), 1:1 კურნი (16), 2:1 ბაირამოვიჩი (18), 3:1 რამდანე (24), 4:1 ბერნერი (87)
ფრაიბურგი: გოლცი, რაიტერი, კონდე, ბ. დიარა, ბერნერი, ბაირამოვიჩი, ა. ცაიერი, ვ. ბუტი (ანიჩი 77), ქობიაშვილი, კულიბალი (ტანკო 58), რამდანე (იაშვილი 69)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
22 000 მაყურებელი

**ბურგჰაუზენი 4:2 ბრაუნშვაიგი**

1:0 კონეცკე (14), 2:0 ფრიუბისი (37), 2:1 ორუმი (50ს.კ.), 3:1 კონეცკე (52), 4:1 მოხტარი (73), 4:2 რიშე (90)

**ზანქტ პაული 0:0 ობერჰაუზენი**

**ალემანია 1:0 აინტრახტი**

1:0 ივანოვიჩი (42)

**დუისბურგი 2:1 ალენი**

0:1 მიკოლაიჩაკი (14), 1:1 მ. ცაიერი (22), 2:1 ვოლტერსი (60)

**ფიურტი 2:0 მაინცი**

1:0 ბირკი (58), 2:0 ბურხარდტი (90)
ფიურტელი გიორგი დეკანოიძე განაცხადში ვერ მოხვდა

**კარლსრუე 2:1 ლიუბეკი**

1:0 ლაბადია (45), 1:1 ვაისჰაუპტი (81), 2:1 ბარფელდი (88)

**როიტლინგენი 3:2 ტრირი**

1:0 ა. გარსია (17), 2:0 ოგუნგბურე (45), 3:0 სპანიერი (54), 3:1 ლაბაკი (83), 3:2 ჟ. აზიზი (87)

**კიოლნი — უნიონი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფრაიბურგი | 8 | 6 | 1 | 1 | 16:5 | 19 |
| ლიუბეკი | 8 | 5 | 0 | 3 | 18:9 | 15 |
| ტრირი | 8 | 5 | 0 | 3 | 17:9 | 15 |
| აინტრახტი | 8 | 5 | 0 | 3 | 14:7 | 15 |
| კიოლნი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:7 | 15 |
| ობერჰაუზენი | 8 | 4 | 2 | 2 | 8:4 | 14 |
| მაინცი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:7 | 13 |
| ბურგჰაუზენი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:10 | 12 |
| ფიურტი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:7 | 12 |
| როიტლინგენი | 8 | 4 | 0 | 4 | 13:15 | 12 |
| უნიონი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:11 | 11 |
| ალემანია | 8 | 2 | 4 | 2 | 9:10 | 10 |
| ალენი | 8 | 2 | 3 | 3 | 12:12 | 9 |
| დუისბურგი | 8 | 2 | 3 | 3 | 11:14 | 9 |
| ზანქტ პაული | 8 | 2 | 1 | 5 | 16:25 | 7 |
| ბრაუნშვაიგი | 8 | 1 | 1 | 6 | 9:23 | 4 |
| კარლსრუე | 8 | 0 | 3 | 5 | 4:13 | 3 |
| ვალდჰოფი | 8 | 1 | 0 | 7 | 9:22 | 3 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

#### XI ტური

დინამო — იურდინგენი 1:1; ბაბელსბერგი — პადერბორნი 2:2; კიოლნი (მ) — ვერდერი (მ) 1:1; ჰამბურგი (მ) — კილი 0:3; ფერლი — დრეზდენი 0:2; ქემნიცი — ოსნაბრიუკი 0:2; ვატენშაიდი — აუე 2:1; მიუნსტერი — ლევერკუზენი (მ) 1:2; ესენი — დორტმუნდი (მ) 4:1

### სამხრეთ რეგიონალლიგა

#### XIII ტური

აინტრახტი (მ) — ზიგენი 0:0; ჰოფენჰაიმი — შვაინფურტი 1:0; რეგენსბურგი — ერფურტი 3:0; ვეჰენი — ოფენბახი 1:1; ელვერსბერგი — ზაარბრიუკენი 0:1; კაიზერსლაუტერნი (მ) — ნოინკირხენი 3:0; კიკერსი — აუგსბურგი 1:1; უნტერჰახინგი — პფულენდორფი 3:0. ბაიერნი (მ) — აალენი 29 ოქტომბერს გაიმართება

| № | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბაიერნი | 8 | 6 | 1 | 1 | 22:8 | 14 | 19 | 4 | 4 | 0 | 0 | 16:5 | 11 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 |
| 2 დორტმუნდი | 8 | 4 | 4 | 0 | 12:5 | 7 | 16 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 3 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 4 | 8 |
| 3 ვერდერი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:11 | 3 | 16 | 4 | 3 | 1 | 0 | 9:4 | 5 | 10 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | -2 | 6 |
| 4 შალკე | 8 | 4 | 3 | 1 | 12:6 | 6 | 15 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 10 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 5 |
| 5 ჰანზა | 8 | 4 | 1 | 3 | 11:6 | 5 | 13 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | -2 | 3 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:0 | 7 | 10 |
| 6 ვოლფსბურგი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:7 | 1 | 13 | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 4 |
| 7 ჰერთა | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 2 | 12 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 0 | 5 |
| 8 გლადბახი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:6 | 4 | 11 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:1 | 6 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | -2 | 3 |
| 9 ბოხუმი | 8 | 3 | 2 | 3 | 16:14 | 2 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:5 | 1 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 10:9 | 1 | 7 |
| 10 მიუნხენი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:12 | -1 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 4 |
| 11 შტუტგარტი | 8 | 2 | 4 | 2 | 14:11 | 3 | 10 | 4 | 2 | 2 | 0 | 9:3 | 6 | 8 | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | -3 | 2 |
| 12 არმინია | 8 | 3 | 1 | 4 | 9:15 | -6 | 10 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 9 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:13 | -10 | 1 |
| 13 ნიურნბერგი | 8 | 3 | 0 | 5 | 10:14 | -4 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 0 | 6 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | -4 | 3 |
| 14 ჰამბურგი | 8 | 3 | 0 | 5 | 9:15 | -6 | 9 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:6 | 1 | 9 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | -7 | 0 |
| 15 ლევერკუზენი | 8 | 2 | 2 | 4 | 12:16 | -4 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 4 |
| 16 ჰანოვერი | 8 | 2 | 1 | 5 | 11:18 | -7 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:11 | -7 | 1 | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 0 | 6 |
| 17 ლაუტერნი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:11 | -4 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | -6 | 1 |
| 18 კოტბუსი | 8 | 1 | 1 | 6 | 5:20 | -15 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | -6 | 1 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:13 | -9 | 3 |

**IX ტური**

20 ოქტომბერი

კოტბუსი — ჰერთა
ნიურნბერგი — შტუტგარტი
მიუნხენ 1860 — შალკე
ჰამბურგი — გლადბახი
ჰანოვერი — ვერდერი
ჰანზა — ბაიერნი
ბოხუმი — ვოლფსბურგი
ლევერკუზენი — ლაუტერნი
დორტმუნდი — არმინია

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ელბერი (ბაიერნი) | 8 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 6 |
| ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 6 |
| აილტონი (ვერდერი) | 6 |
| კურანი (შტუტგარტი) | 6 |
| პიზარო (ბაიერნი) | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. V ტური

**უელვა 1:2 ბილბაო**

0:1 გურპეგი (61), 0:2 ტიკო (83), 1:2 ხისკო (86)
უელვა: სუზარი, ქამინოლა, ალექს ფერეირა, იაგო, არმონი, იკერ ბეგოინია, ბენიტესი (ვიკერა 71), ლორენი, რაულ მოლინა, ბერმეხო (ხისკო 62), ხოსე მარი (კუბილიო 62)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
ბილბაო: ლაფუენტე, ლარაინსარი, ლარასაბალი, ოსკარ ვალესი, მურილიო, ხუსარი, იესტე (დელ ჰორნო 82), ტიკო, გურპეგი, ხ. ეჩებერია (აიტორ ოკიო 89), ურსაისი (ესკერო 76)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: ლორენი, ლაფუენტე
მსაჯი: ფერნანდეს მარინი
18 000 მაყურებელი

**მალაგა 3:1 ატლეტიკო**

1:0 დელი ვალდესი (44პ), 2:0 სანსი (65), 3:0 მანუ (72), 3:1 ხოსე მარი (90)
დელი ვალდესმა ვერ გაიტანა პენალტი (66, მეკარე)
მალაგა: კონტრერასი, როტეტა (ლიტოსი 80), ვალკარსე, ფ. სანსი, ხერარდო, ხოსემი, მუსამპა, რომერო, სანდრო (მანუ 66), დელი ვალდესი (მიგელ ანხელი 66), დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ატლეტიკო: ესტებანი, კონტრა (ხოსე მარი 53), ჰიბიჩი, გარსია კალვო, სერხი (ბურგოსი 64), მოვილია, ალბერტინი, აგილერა, ემერსონი, ფ. ტორესი, ლუის გარსია (ხავი მორენო 61)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: ალბერტინი, როტეტა, აგილერა, სანსი, მოვილია, ხოსე მარი, ალბერტინი, ემერსონი, მიგელ ანხელი, ემერსონი
გაძევება: ესტებანი (61), ალბერტინი (90), ემერსონი (90)
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
20 000 მაყურებელი

**სოსიედადი 2:1 ვალიადოლიდი**

1:0 ნიჰატი (65), 1:1 კოლსა (66), 2:1 კარპინი (68)
კოვაჩევიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (80, ააცილა)
სოსიედადი: ვესტერველდი, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, ხაუეგი, დე პედრო (გაბილონდო 77), კარპინი, კოვაჩევიჩი, არანბურუ (ბორისი 77), ნიჰატი
მწვრთნელი: რეინალდ დენუ
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, მარკოსი, მარიო, ტორეს გომესი, კოლსა, ჩემა (პაჩონი 75), რიკეტი (კამინერო 81), ფერნანდო სალესი, აგანზო, ოლივერა (ოსკარი 61)
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: აგანზო, ლოპეს რეკარტე, არანსაბალი, კარპინი
მსაჯი: პუენტეს ლეირა
23 000 მაყურებელი

**რეალი 5:2 ალავესი**

1:0 ზიდანი (1), 2:0 ფიგუ (31), 2:1 მაგნო (36), 3:1 რონალდო (65), 4:1 ფიგუ (70), 5:1 რონალდო (78), 5:2 ივან ალონსო (85)
ივან ალონსომ ვერ გაიტანა პენალტი (6, მეკარე)
რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი, იერო, მინამბრესი, ა. ელგერა, მაკელელე (მაკმანამანი 74), კამბიასო, ფიგუ, ზიდანი, პორტილიო (რონალდო 63), გუტი (სოლარი 63)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ალავესი: დუტრუელი, ტელიესი, ლორესი, აბელარდო, ოჩოა (რ. ნავარო 69), პაბლო (ლ. ელგერა 67), ედსონი, ედუ ალონსო, ასტუდილიო, მაგნო (ა. ილიე 70), ივან ალონსო
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ მარდო
გაფრთხილება: ა. ელგერა, ტელიესი, ასტუდილიო, ლ. ელგერა
მსაჯი: უნდიანო მალენკო
71 316 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 2:2 ვილიარეალი**

0:1 ბელეტი (20), 0:2 სენა (21), 1:2 ბოლო (41), 2:2 ხულიო ალვარესი (67პ)
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, კორინო, გრაფი, ონოპკო, მარიო, მინგო, ალკორტა, ხულიო ალვარესი (მორა 85), პერაგონი (ფ. მარკესი 84), ბოლიჩი (მიჩელ II 67), ბოლო
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, ბელეტი, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, უნაი, ხორხე ლოპესი, სენა, რიესი (გაიარე 58), პალერმო, ვიქტორი (კალეხა 77)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: უნაი, ხორხე ლოპესი, მინგო, ბელეტი
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
14 500 მაყურებელი

# ასე იცის კავალიერომ



REUTERS მადრიდიდან

რეალი — ალავესი. რა დრო დადგა: ზიდანი და რონალდო დაიმეგობრდნენ

**მალიორკა 2:0 ესპანიოლი**

1:0 აროლდ ლოზანო (58), 2:0 ეტოო (86პ)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინო, კორტესი, პოლი, ნადალი, იბაგასა, რიერა, აროლდ ლოზანო, რობლესი (ოლაიზოლა 46), ეტოო (ტურუ ფლორესი 88), პანდიანი (მარკოსი 69)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ესპანიოლი: არგენსო, სოლდევილა, რიკარდო კავასი (ალექს ფერნანდესი 66), ნავასი, დომორო, მორალესი (ველამაზანი 66), რობერი, ფრედსონი (მილოშევიჩი 60), მაქსი, რაულ ტამუდო
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: რიკარდო კავასი, ნინო, იბაგასა, პანდიანი, ლეო ფრანკო, სოლდევილა, მაქსი, ნინო
გაძევება: ნინო (90)
მსაჯი: მედინა კანტალეხო
17 000 მაყურებელი

**ვალენსია 0:1 სელტა**

0:1 ვაგნერი (90)
ბარახამ ვერ გაიტანა ორი პენალტი (40, მეკარე; 80, მეკარე)
ვაგნერმა ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, აიალა (მარჩენა 59), კარბონი, კურრო ტორესი, ალბელდა, ბარახა, რუფეტე, აიმარი (ხუან სანჩესი 84), კარეუ (მისტა 65), ვისენტე
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
სელტა: კავალიერი, ველასკო (კოუდეტი 82), სილვინიო, კასერესი, ბერიზო, ჯოვანელა (ხოსე იგნასიო 60), ვაგნერი, მოსტოვოი, ლუკინი, კატანია, ხესული (ედუ 63)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: კარბონი, მოსტოვოი, ლუკინი, კატანია, ველასკო, ბერიზო, ბარახა, კასერესი, კანისარესი, ვაგნერი
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
48 000 მაყურებელი

**დეპორტივო 0:2 რასინგი**

0:1, 0:2 გერერო (27, 71)
დეპორტივო: მოლინა, სეზარი, კაპდევილა, დონატო, მაურო სილვა, ფრანი, სკალონი, სერხიო (დუშერი 46), მაკაი, ტრისტანი (ლუკე 64), ვიქტორი (მანუელ პაბლო 88)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
რასინგი: სებალიოსი, სიეტესი, ნაფტი, მორა, ხუანმა, ისმაელი, პაბლო ლაგო (პაბლო სიერა 39), პინედა, ხ. გერერო (ბოდიპო 75), რეგეირო, მუნიტისი (ბენაიუნი 87)
მწვრთნელი: მანოლო პრეციადო
გაფრთხილება: პინედა, მუნიტისი, მაურო სილვა, კაპდევილა
მსაჯი: ესკვინას ტორესი
30 000 მაყურებელი

**ბარსელონა 2:2 ოსასუნა**

0:1 რივერო (1), 1:1 მოტა (38), 1:2 განსედო (44), 2:2 კლუივერტი (45)
ბარსელონა: ვალდესი, ფ. დე ბური, პუიოლი, ფ. ნავარო, ხავი (რიკელმე 46), კოკუ, მენდიეტა, მოტა (გაბრი 71), ლუის ენრიკე, კლუივერტი, საბიოლა (ხერარდი 74)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
ოსასუნა: სანზოლი, მატეუ, კრუჩაგა, ხოსერო რივერო (ალფრედო 85), ანტონიო ლოპესი, პუნიალი, პაბლო გარსია, განსედო, ივან როსადო (მუნიოსი 90), ალოიზი (გორკა 88)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: ხოსერო, დე ბური, ივან როსადო, კრუჩაგა, პაბლო გარსია, გაბრი, მენდიეტა
მსაჯი: კარმონა მენდესი
80 000 მაყურებელი

**სევილია 1:1 ბეტისი**

0:1 ხოაკინი (17), 1:1 ხუანიტო (68ა.გ.)
სევილია: ნოტარიო, კასტედო, პაბლო ალფარო, ოსკარი, ნიეგუესი, გალიარდო (ბ. რედონდო 82), მარკოს ვალესი, სუმეისი, კასკერო (ანტონიტო 46), რეიესი, ტოედტლი (მოისესი 67)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, ასუნსაო, ვარელა, კაპი, იტო, არზუ, ალფონსო (კასასი 76), დენილსონი (ფერნანდო 69), ხოაკინი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ვარელა, ნიეგუესი, არზუ, სუმეისი, ოსკარი, მარკოს ვალესი, ხოაკინი
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
40 000 მაყურებელი

**განა** ყოველ კვირა ნახავთ თამაშებს, სადაც ფეხბურთელები ისე წაზდებიან, რომ სამ პენალტს აფუჭებენ? მეორე მხრივ, ქება და დიდება მეკარეებს — სამი პენალტის მოგერიება ხუმრობა საქმე არ არის. და ისიც ხომ იშვიათობაა, ლიდერი უეცრად მეხუთე ადგილამდე რომ ეცემა.

სწორედ ასეთი ამბები დატრიალდა ლიდერების, „ვალენსიასა“ და „სელტას“ მატჩისას. საცოდავ რუბენ ბარახას სირცხვილით თავი გარეთ აღარ გამოეყოფა, რაკი ორი თერთმეტმეტრიანი ააცილა, ერთიც მასპინძელთა გოლკიპერს დაინახა პაბლო კავალიეროს და გმირად აქცია. ერთიც მასპინძელთა გოლკიპერმა სანტიაგო კანისარესმა მოიგერია, თან ეს მატჩის წამატებულ დროში მოახერხა, მაგრამ ვაი, რომ ვიგოელმა ვაგნერმა, ვინაც პენალტი უხეიროდ დაარტყა, დამატებაზე მაინც ივარგა და ბარახასებრ რისხვა არ დაიტეხა თავს.

ამგვარად, „სელტა“ კვლავ დაუბრუნდა ცხრილის პირველ საფეხურს, ოღონდ იქ ეულად ყოფნა არ დასცალდა. მისებრ 13 ქულა დააგროვა ამ სეზონში გასაოცრად მოთამაშე „რეალ სოსიედადმა“, რომელმაც ამ ჯერზე ნიჰათისა და კარპინის სამწუთიან მონაკვეთში გატანილი გოლებით, „ვალიადოლიდი“ დაამარცხა.

აჰა, როგორც იქნა, რონალდომ ითამაშა და უბრალოდ კი არ ითამაშა, დუბლიც მიითვალა. „ელ ფენომენომ“ ნამატჩევს აღიარა, სანამ სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი, მუხლები მიკანკალებდა, მოედანზე გასულს კი უსიამო გრძნობა გამიქრა, რადგან ბურთის გორება არ მესწავლებაო. „რეალის“ სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ დასძინა, ეგ რაა, რონალდო საუკეთესო ფორმაში ჯერაც არ არის, თქვენ მერე ნახეთ, რა ამბებს დაატრიალებსო.

ბოროტი ენები ამბობენ, ანგარიში მადრიდელთა სასარგებლო რომ არ ყოფილიყო, ვისენტე დელ ბოსკე არ გარისკავდა რონალდოს შეშვებასო, რაზეც მწვრთნელმა დაიფიცა, ნებისმიერ ვარიანტში ვათამაშებდიო. არადა, ივან ალონსოს პენალტი რომ არ გაეფუჭებინა, რონალდოს შესვლისას ანგარიში „რეალის“ სასარგებლო არ იქნებოდა. რონალდოს თანაგუნდელებმა კი ერთხელაც დაამოწმეს, ამ ბიჭმა, თავისი სიალალით, ყველას თავი შეგვაყვარაო.

„რასინგმა“ ლა კორუნიაში, ქარი ლემეკუშურად რომ ვთქვათ, რვიანი კუში დასვა (პრიმერადივიზიონის ათივე თამაშის შედეგი რომ გამოგეცნოთ 2131 4,3-იანი კოეფიციენტი გამოგივიდოდათ). „დეპორტივოსთვის“ ეს უკვე მეორე საშინაო მარცხია და საქმეს ისეთი პირი უჩანს, „რიასორმა“ მეტოქეებზე მომნუსხველობა დაკარგა. გალისიელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ როი მაკაიმ მეორე ტაიმში ძელს გაარტყა, მაგრამ ეს, აბა, რა ანგარიშში ჩასათვლელია. სანტანდერელმა ხავი გერერომ კი ორჯერ აღმოაჩინა ხვრელი მასპინძელთა დაცვაში.

„ბარსელონა“ ვერც დღეს ვერ შეიმართა საჩემპიონოდ. „ოსასუნა“ რა უძლეველი გუნდია, ცხრილის ფსკერზე ბოგინობს და, ისიც ვერ დაამარცხა. თუ გაიხსენებთ, შარშან „კამპ ნოუზე“ სულაც „ოსასუნამ“ იმარჯვა. და ერთიც — კიდევ კარგი, პატრიკ კლუივერტმა გამთანაბრებელი გოლი პირველი ტაიმის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე გაიტანა, თორემ შესვენების მერე კატალონიელებს მომენტი ფაქტობრივად არც ჰქონიათ.

უცნაური რამ დაემართა მადრიდის „ატლეტიკოს“. აქამდე დაუმარცხებელი გუნდი მალაგაში თერთმეტი ფეხბურთელით ვერაფერს გახდა და მაშინღა გაიტანა, სამი კაცი რომ გაუძევეს. თუმცა „მალაგამაც“ აღარ შეიწუხა თავი, მატჩი უკვე მოგებული ჰქონდა. ამგვარად მალაგელები მათთვის ფრიად საპატიო მესამე ადგილზე ალხევდნენ.

„ტერეზა რივეროზე“ პირველ გამარჯვებას ეშურებოდა „ვილიარეალი“ და 60 წამში გატანილი ორი გოლის წყალობით ახლოსაც იყო მიზანთან. მერე კი ბევრჯერ მომხდარი ჭკუის სასწავლებელი რამ მოხდა: „რაიო ვალეკანომ“ ანგარიში გაათანაბრა.

კაცნაკლულობამ შემართება შემატა „მალიორკას“, რომელიც საშინელი სტარტის შემდეგ ორი მოგებით ცხრილის შუაში აცოცდა. კუნძულელები მთელი მეორე ტაიმი ათნი ეთამაშნენ „ესპანიოლს“ და ორივე გოლიც მეორე ტაიმში გაუტანეს.

სევილიურ დერბიში ფრით სტუმრები, ბეტისელები, ფრიად გულმოკლულნი დარჩნენ. ერთი იმიტომ, რომ მთელი პირველი ტაიმი ბურთს თავად აკონტროლებდნენ და ხოაკინის თავურით დაწინაურდნენ და მეორეც იმიტომ, რომ გამარჯვება ავტოგოლით დაკარგეს. ხუანიტომ ხოსე ანტონიო რეიესის პასი საკუთარ კარში ჩაჭრა.

ამ მატჩს უწესობის გარეშე არ ჩაუვლია — „სევილიას“ მავანი ფანი მოედანზე შეიჭრა და სტუმართა მეკარის, ტონი პრატსის ცემა დააპირა. დაცვამ იყოჩაღა.

**გიორგი დარჯანია**

### სეგუნდადივიზიონი

### V ტური

**ლას პალმასი 2:0 ოვიედო**
1:0 ორლანდო (26), 2:0 პედრო ვეგა (86)

**ხერესი 1:0 ალბასეტე**
1:0 კალე (90)

**ხეტაფე 2:0 კომპოსტელა**
1:0, 2:0 ბორხა (57, 87)

**ტერასა 1:1 ლევანტე**
1:0 კაპო (1), 1:1 ფელიქსი (90)

**ნუმანსია 1:0 სალამანკა**
1:0 სუფო (36პ)

**სარაგოსა 2:2 ფეროლი**
1:0 დრულიჩი (13), 1:1 კუელიარი (32), 2:1 სორიანო (42პ), 2:2 დიეგიდო (67პ)

**ეიბარი 1:1 მურსია**
1:0 მიგელი (57), 1:1 მასიელი (64)

**ელჩე 3:0 პოლი ეხიდო**
1:0 მეკა (49), 2:0 სერანო (79), 3:0 ნინო (87)

**ბადახოსი 2:0 კორდობა**
1:0 ნენე (28), 2:0 მოლისტი (40)

**სპორტინგი 1:1 ლეგანესი**
1:0 მანელი (29), 1:1 ვილია (36)

**ალმერია 1:1 ტენერიფე**
1:0 ხუანლუ (39), 1:1 პაუროვიჩი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 5 | 4 | 1 | 0 | 7:3 | 13 |
| ტერასა | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| მურსია | 5 | 3 | 1 | 1 | 7:2 | 10 |
| ლას პალმასი | 5 | 2 | 3 | 0 | 7:3 | 9 |
| ლევანტე | 5 | 2 | 3 | 0 | 11:8 | 9 |
| ალბასეტე | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| ფეროლი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 8 |
| ხეტაფე | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ბადახოსი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:3 | 7 |
| პოლი ეხიდო | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| ელჩე | 5 | 1 | 3 | 1 | 5:3 | 6 |
| ტენერიფე | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 6 |
| ლეგანესი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ნუმანსია | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| ეიბარი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:4 | 6 |
| სარაგოსა | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| კორდობა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| სალამანკა | 5 | 1 | 1 | 3 | 2:4 | 4 |
| ოვიედო | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| სპორტინგი | 5 | 1 | 0 | 4 | 1:3 | 3 |
| კომპოსტელა | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | 3 |
| ალმერია | 5 | 0 | 2 | 3 | 4:11 | 2 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 სელტა | 5 | 4 | 1 | 0 | 10:3 | 7 | 13 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 9 |
| 2 სოსიედადი | 5 | 4 | 1 | 0 | 15:9 | 6 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:6 | 3 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 6 |
| 3 მალაგა | 5 | 3 | 2 | 0 | 12:8 | 4 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 3 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 1 | 4 |
| 4 რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 12:4 | 8 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 11:3 | 8 | 9 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 5 ვალენსია | 5 | 3 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:1 | 5 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 |
| 6 დეპორტივო | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 0 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 |
| 7 ბეტისი | 4 | 2 | 2 | 0 | 11:6 | 5 | 8 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 3 | 1 | 2 | 0 | 8:6 | 2 | 5 |
| 8 ბარსელონა | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 1 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 5 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 9 რასინგი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 0 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 6 |
| 10 ვალიადოლიდი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 |
| 11 ატლეტიკო | 5 | 1 | 3 | 1 | 9:7 | 2 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 4 |
| 12 მალიორკა | 5 | 2 | 0 | 3 | 5:9 | -4 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 |
| 13 რაიო ვალეკანო | 5 | 1 | 2 | 2 | 8:10 | -2 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 7:5 | 2 | 5 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 14 სევილია | 5 | 0 | 4 | 1 | 3:4 | -1 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 15 ალავესი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | -4 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:7 | -2 | 4 |
| 16 ბილბაო | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | -5 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | -1 | 4 |
| 17 ვილიარეალი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:7 | -2 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 |
| 18 ოსასუნა | 5 | 0 | 2 | 3 | 8:13 | -5 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 0 | 3 | 0 | 2 | 1 | 5:8 | -3 | 2 |
| 19 უელვა | 5 | 0 | 1 | 4 | 4:12 | -8 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 |
| 20 ესპანიოლი | 5 | 0 | 1 | 4 | 1:9 | -8 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | -6 | 0 |

**VI ტური**

**20 ოქტომბერი**

სელტა — რაიო ვალეკანო
ატლეტიკო — ვალენსია
ბილბაო — მალაგა
ესპანიოლი — უელვა
ბეტისი — მალიორკა
ოსასუნა — სევილია
ვალიადოლიდი — ბარსელონა
ალავესი — სოსიედადი
რასინგი — რეალი
ვილიარეალი — დეპორტივო

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხულიო ალვარესი (რაიო ვალეკანო) | 6 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 5 |
| მაკაი (დეპორტივო) | 5 |
| მუსამპა (მალაგა) | 5 |

# ტურინმა იცახცახა

## კომოსთან ფრე რომ გაგიხარდება...



REUTERS ტურნიკიძე

იუვენტუსი — კომო. დავიდ ტრეზეგემ იმდენი მომენტი შექმნა, ზარე ორ მატჩს ეყოფოდა, გოლი კი ვერ გაიტანა

## იტალია

### სერია A. V ტური

**მილანი 6:0 ტორინო**

1:0 პირლო (21პ), 2:0 ინძაგი (31), 3:0 სერჯინიო (41), 4:0 ინძაგი (79), 5:0 ფატორი (84ს.კ.), 6:0 ინძაგი (86)

მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო (დალა ბონა 76), პირლო (ბროკი 68), ზეედორფი, რუი კოშტა, ფ. ინძაგი, სერჯინიო (ბორიელო 54)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

ტორინო: ბუჩი, დელი კარი, ფატორი, გალანტე, კომოტო, ფრეცა (სკარჩილი 56), ვერგასოლა, დე აშენტისი, ბალძარეტი (მ. კასტელინი 56), ლუკარელი, მაგალიანესი (ვანინი 68)

მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე

გაფრთხილება: დელი კარი, კომოტო

გაძევება: ლუკარელი (86)

მსაჯი: ტრენტალანჯე

60 000 მაყურებელი

**პიაჩენცა 1:4 ინტერი**

0:1, 0:2 დი ბიაჯო (34, 51), 0:3 რეკობა (69), 1:3 მარესკა (73), 1:4 კრესპო (85)

პიაჩენცა: გუარდალბენი, კრისტანტე, ლამაკა, მანგონე (ტრამეძანი 72), კამპანარო (კაჩი 57), რიჩი, მარესკა (მარკოლინი 67), დი ფრანჩესკო, ტოსტო, მონტანო, უბნერი

მწვრთნელი: ანდრეა აგოსტინელი

ინტერი: ტოლდო, ფ. კანავარო, კორდობა, ადანი, ხ. ძანეტი, დი ბიაჯო (ბეატო 57), ალმეიდა, კოკო (მასკუდელე 67), მორფეო (დალმა 81), კრესპო, რეკობა

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

გაფრთხილება: დი ბიაჯო, ტოსტო

გაძევება: უბნერი (57)

მსაჯი: პაპარესტა

15 500 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:1 კომო**

0:1 პეკია (66), 1:1 ზალაიეტა (88)

იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, იულიანო, მონტერო, მორეტი (ძამბროტა 65), კამორანეზი, დავიდსი, ბაიოკო (ჯ. ძენონი 46), დელ პიერო, ტრეზეგე, სალასი (ზალაიეტა 58)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

კომო: ბრუნერი, ტომაში, პადალინო, ბრევი, სტელინი, ბინოტო, კოუ, პეკია, ალეგრეტი, მ. როსი (მუსაჩი 62), გოდეაში (ბიელანოვიჩი 85)

მწვრთნელი: ლორის დომინისინი

გაფრთხილება: ტომაში, ალეგრეტი

მსაჯი: ბერტინი

37 112 მაყურებელი

**რომა 4:1 უდინეზე**

1:0 მონტელა (24), 1:1 სესინი (59), 2:1 ბატისტუტა (76), 3:1, 4:1 ტოტი (81, 89)

რომა: ანტონიოლი, ძებინა, ვ. სამუელი, პანუჩი, კაფუ (ბომბარდინი 73), ლიმა, კანდელა, ემერსონი, ტოტი, მონტელა (სარტორი 68), ა. კასანო (ბატისტუტა 68)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

უდინეზე: დე სანქტისი, ჯემიტი, სესინი, კაბალერო, თ. მანფრედინი (პიერი 67), ალბერტო (ტ. მარტინესი 68), პინცი, დ. პიზარო, იანკულოვსკი, იორგენსენი (ვარლეი 65), იაკვინტა

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: ალბერტო, მანფრედინი, კაბალერო, ძებინა

მსაჯი: კოლინა

60 000 მაყურებელი

**ატალანტა 0:1 ლაციო**

0:1 სეზარი (24)

ატალანტა: ტაიბი, სალა, კარერა, ნატალი, ფოლიო, დ. ძენონი, ბერეტა, ძაური, გაუტიერი (ინაჩიო პია 46), პინარდი (ბიანკი 46), როსინი (დაბო 66)

მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი

ლაციო: მარკეჯანი, სტამი, ფ. კოუტო, მიხაილოვიჩი, სეზარი, ფიორე, სიმეონე (კასტრომანი 62), ჯანიკედა, დ. სტანკოვიჩი, კ. ლოპესი (ს. ინძაგი 90), კორადი (ფავალი 87)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: ჯანიკედა, დაბო, ძაური, კასტრომანი

მსაჯი: ტროისი

15 000 მაყურებელი

**პარმა 2:2 პერუჯა**

1:0 მუტუ (20), 2:0 დონატი (53), 2:1, 2:2 ტედესკო (64, 73)

პარმა: ფრეი, ბენარივო, ბონერა, ფერარი, გრეშკო, მატეო ბრიგი, დონატი (ბრეშიანო 66), ე. ფილიპინი, ნაკატა, ბონაცოლი (ჯილარდინო 78), მუტუ (მარკიონი 60)

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

პერუჯა: ს. როსი, რემზაი (ობოდო 27), დი ლორეტო, ვიალი, მილანესე, ზე მარია, ჯ. ტედესკო, ბლაზი, გროსო (ლ. პალიუკა 58), მიკოლი, ვრიზასი (ნ. ამორუზო 72)

მწვრთნელი: სერსე კოზმი

გაფრთხილება: ვიალი, გრეშკო, ობოდო, ბენარივო

მსაჯი: საკანი

14 000 მაყურებელი

**კიევო 2:0 მოდენა**

1:0 ფრანჩესკონი (32), 2:0 კორინი (47პ)

კიევო: ლუპატელი, მენსა, ლეგროტალიე, ლორენცი, ლანა, ლაზეტიჩი (დ. ანდერსონი 62), პეროტა (მეზარეზი 80), კორინი, დ. ფრანჩესკონი, ფ. კოსატო, მარაცინა (დელა მორტე 75)

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

მოდენა: ბალოტა, მ. მაიერი, ჩეველი, პავანი (ტარდო 54), პინცი, ჯ. კოლუჩი, მილანეტო, მაური, ბალესტრი (ძამბონი 75), ფაბრინი, სკული

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი

გაფრთხილება: სკული, პავანი, ძამბონი, მენსა, ლორენცი, პეროტა, კოსატო

მსაჯი: გაბრიელე

15 576 მაყურებელი

**ემპოლი 0:0 ბოლონია**

ემპოლი: ბერტი, ბელერი, კრიბარი, ატცორი (პრატალი 89), კუპი, ჯამპიერეტი, გრელა, როკა, ვანიგლი (კაპელინი 64), დი ნატალე (ტავანო 79), საუდატი

მწვრთნელი: სილვიო ბალდინი

ბოლონია: ჯ. პალიუკა, ძაკარდო, ძანეტი, მ. კასტელინი, პარამატი, ნერვო, კ. ამორუზო (ფრატელი 82), ოლივე, ლ. კოლუჩი, ბელუჩი, ლოკატელი (დელა როკა 82)

მწვრთნელი: ფრანჩესკო გუიდოლინი

გაფრთხილება: კრიბარი, კასტელინი, ატცორი, პარამატი

მსაჯი: მორგანტი

6 559 მაყურებელი

**რეჯინა 2:2 ბრეშა**

0:1 აპია (10), 1:1 პიერინი (43), 1:2 ბაჯო (45პ), 2:2 ნაკამურა (81)

რეჯინა: კასტელაცი, ტორანეკი, პიერინი, ვარგასი, მორაბიტო, კოცა (ლეონი 55), პარედესი, მოცარტი, ნაკამურა, რასტელი (ბოგდანი 55), სავოლდი (დი მიკელე 67)

მწვრთნელი: ბორტოლო მუტი

ბრეშა: სრნიჩეკი, ტ. მარტინესი, პეტრუცი, სტანკევიჩიუსი (მარეკო 46), შოპა, აპია (კორია 28), გუანა, მატუზალემი, სერამი, რ. ბაჯო, ტარე (ჯადიდი 86)

მწვრთნელი: კარლო მაცონე

გაფრთხილება: შოპა, პარედესი, მარეკო, კორია

მსაჯი: ტრენტალანჯე

27 000 მაყურებელი

„პიაჩენცამ" 57-ე წუთამდე იბრძოლა და მერელა დანებდა. ოქმს თუ ჩახედავთ, ნახავთ, რომ ეს დარიო უბნერის გაძევების დროა. დაკვირვებულმა მკვითხველმა შესაძლოა მოგვიგოს, კი მაგრამ, უბნერის გაძევებამდე მისი გუნდი უკვე 0:2-ს აგებდაო. ვპასუხობთ: 57-ე წუთამდე „პიაჩენცას" ბრძოლისუნარიანობა შევუქეთ, თორემ უბნერი რომ არ გაეგდოთ, მოიგებდაო, არ გვითქვამს. აქვე შევახსენებთ, რომ დარიო უბნერი სერია A-ს წინა სეზონის საუკეთესო ბომბარდირია.

„პიაჩენცა" ბევრს უტევდა და, კაცმა რომ თქვას, ექტორ კუპერსაც ეს უნდოდა — „ინტერი" კონტრშეტევებზე სათამაშოდ დამოძლვრა. ინტერელთაგან გამორჩეული მოთამაშე ალვარო რეკობა გახლდათ, რომელმაც საგოლე პასები მიართვა ლუიჯი დი ბიაჯოს და ერნან კრესპოს, თავად კი კრესპოს პასით გაიტანა. ამგვარად, ჩემპიონთა ლიგაში ჯერჯერობით შერცხვენილ „ინტერს" შინაურ პირველობაზე სასირცხვილო არაფერი აქვს, ოთხივე თამაში მოიგო.

ჩემპიონ „იუვენტუსს" მთელი 88 წუთი დასჭირდა „კომოსთვის" — გამარჯვებას ვინ დაეძებს — ერთი ქულის გამოსაგლეჯად. ოპ, უპ! — გმინავდა მთელი მატჩის განმავლობაში „დელე ალპი", რადგან სტუმართა მეკარე ალექს ბრუნერი ზედიზედ იგერიებდა დავიდ ტრეზეგეს მზაკვრულ დარტყმებს, მარსელო სალასმა კი ხარიხას გაარტყა. ყველაზე ხმამაღალი ვაი, კი „დელე ალპიმ" 66-ე წუთზე ამოიკვნესა, როცა ფაბიო პეკიამ ტურინელებს გაუტანა და ეგეც თქვენო, ალბათ მიაძახა. ფაბიო პეკია ყოფილი იუვენტუსელია. რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, ტურინელებმა მაშინღა ამოისუნთქეს, როცა შეხვედრის დასრულებამდე ორი წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა მარსელო ზალაიეტამ, როგორც იქნა, გაათანაბრა. თუმცა რა ამოსუნთქვაა, „იუვენტუსი" „კომოს" რომ ვერ დაამარცხებს.

„რომამ" იოლად მოუგო „უდინეზეს", მაგრამ უსიამოვნო ამბავი შეემთხვა — ფრანჩესკო ტოტი დაუშავდა. ტრავმა, პირველადი მონაცემებით, საგანგაშო არ არის, მაგრამ მომავალ უქმეებზე ფეხბურთელს „სკუადრა აძურას" მატჩს გამოატოვებინებს. აქვე დავძინოთ, რომ იტალიის ნაკრებს შაბათს ინტერელი კრისტიან ვიერიც არ ეყოლება. ტოტიმ კი თავისი საქმე მაინც გააკეთა, ორი გოლი გაიტანა და ბომბარდირთა ჭიდილში არ ჩამორჩა ფილიპო ინძაგის. ანგარიში ვინჩენცო მონტელამ გახსნა, რომელმაც შეცდომა არ აპატია უდინელ მცველ ნესტორ სენსინის. მეორე ტაიმში სენსინიმ შეცდომა კი გამოისყიდა — დავიდ პიზაროს საჯარიმოდან დაგორებული ბურთი გოლად აქცია, მაგრამ გაბრიელ ბატისტუტამ და ტოტიმ ვითარება კვლავ „რომას" სასარგებლოდ შეატრიალეს.

„პარმას" საქმე ისეა, რომ არც აგებს და ვერც იგებს. აგერ, ამ ტურში პარმელებს დიახაც, მართებდათ მოგება. მატჩის ორი მესამედი მასპინძელთა იყო, რაც ადრიან მუტუსა და მასიმო დონატის გოლებში აისახა. მაგრამ თამაში განა ერთ საათს გრძელდება? არა, რაც პერუჯელმა ჯოვანი ტედესკომ დაამტკიცა კიდეც. გამორჩეულად თვალსასეირო სტუმართა კაპიტნის მეორე გოლი გახლდათ — სებასტიან ფრეიმ ნიგერიელი კრის ობოდოს თავური მოიგერია და ტედესკომ მაკრატელათი დაამატა. ცხადია, რასაც ჩვენ თვალსასეიროს ვუწოდებთ, პარმელთათვის ასეთი არ იყო.

რობერტო მანჩინის ხელში მოყოჩაღებულმა „ლაციომ" სტუმრად სძლია „ატალანტას". ერთადერთი გოლი, დეიან სტანკოვიჩთან კედლის გათამაშების მერე, რომაელთა ბრაზილიელმა სეზარმა გაიტანა. „ლაციოს" მეტის გატანაც შეეძლო, მაგრამ არ მოინდომა. საქმე ის გახლავთ, რომ „ატალანტას" რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი აკლდა, მათ შორის გამთამაშებელი კრისტიანო დონი, გუნდში ამინდს რომ ქმნიან. უიმათოდ კი გუნდი დაბეჩავებულად გამოიყურებოდა, მეტოქის დაცვას ძვრა ვერ უყო და „ლაციომაც" რაკი იგრძნო, 1:0-ს საფრთხე არ ემუქრებოდა, შეტევით თავი აღარ შეიწუხა.

**კოტე კეკელია**

|  |  | სულ |  |  |  |  |  | შინ |  |  |  |  |  |  | სტუმრად |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ინტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 6 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 |
| 2 მილანი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:1 | 12 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 9:0 | 9 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 |
| 3 იუვენტუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 5 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 4 ბოლონია | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 2 | 8 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 |
| 5 ემპოლი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | -2 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 |
| 6 ლაციო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 6 |
| 7 რომა | 4 | 2 | 0 | 2 | 9:7 | 2 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 |
| 8 პარმა | 4 | 1 | 3 | 0 | 7:5 | 2 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 |
| 9 კიევო | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 |
| 10 პიაჩენცა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 11 მოდენა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:7 | -3 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 12 ბრეშა | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | -1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 |
| 13 პერუჯა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 |
| 14 უდინეზე | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |
| 15 რეჯინა | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | -3 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 16 კომო | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | -4 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 17 ატალანტა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 18 ტორინო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:10 | -9 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | -8 | 0 |

**VI ტური**

**20 ოქტომბერი**

| | | |
|---|---|---|
| ატალანტა | - | მილანი |
| ბოლონია | - | ბრეშა |
| კომო | - | პიაჩენცა |
| ემპოლი | - | რომა |
| ინტერი | - | იუვენტუსი |
| ლაციო | - | პერუჯა |
| მოდენა | - | პარმა |
| ტორინო | - | კიევო |
| უდინეზე | - | რეჯინა |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ფ. ინძაგი (მილანი) | 6 |
| ტოტი (რომა) | 6 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 5 |
| ვიერი (ინტერი) | 4 |

### სერია B

**VI ტური**

**ასკოლი 1:0 მესინა**

1:0 ბრუნო (47)

**კატანია 0:0 ანკონა**

**კოზენცა 0:2 ბარი**

0:1 საპატა (22), 0:2 კორდოვა (70)

**ჯენოა 3:0 სალერნიტანა**

1:0, 2:0 ნიკოლეტი (12, 45), 3:0 კარბონელი (74)

**ლეჩე 3:1 ვენეცია**

1:0 ჯაკომაცი (6), 1:1 როსი (45), 2:1 ჩევანტონი (84), 3:1 ციმეროტაჩი (90)

**ნაპოლი 1:1 სამპდორია**

0:1 ვოლპი (35), 1:1 მონტეძინე (54)

**პალერმო 1:0 ლივორნო**

1:0 მანიერო (56პ)

**სიენა 1:0 კალიარი**

1:0 ფლორარდელი (17)

**ტერნანა 1:0 ვერონა**

1:0 ბრევი (6)

**ვიჩენცა 1:1 ტრიესტინა**

0:1 ბაუ (40), 1:1 შეკა (54პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეჩე | 4 | 3 | 0 | 1 | 9:6 | 9 |
| სამპდორია | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 8 |
| ტერნანა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| ბარი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:1 | 7 |
| კალიარი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| სიენა | 4 | 2 | 1 | 1 | 2:1 | 7 |
| ანკონა | 4 | 1 | 3 | 0 | 6:4 | 6 |
| ლივორნო | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| პალერმო | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| კოზენცა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| ნაპოლი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| კატანია | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 5 |
| ვენეცია | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| ასკოლი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ჯენოა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:4 | 4 |
| ვერონა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:3 | 4 |
| ტრიესტინა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| ვიჩენცა | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |
| სალერნიტანა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:9 | 3 |
| მესინა | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |

### სერია C1/A. VI ტური

ჩეზენა — ალძანო 2:0; ჩიტადელა — არეცო 2:1; ლუმეცანე — კარარეზე 2:2; პიზა — ალბინოლეფე 0:2; რეჯანა — პრო პატრია 1:1; სპალ — პადოვა 0:2; სპეცია — ლუკეზე 0:0; ტრევიზო — პიაჩენცე 3:0; ვარეზე — პრატო 1:1

### სერია C1/B. VI ტური

აველინო — პატერნო 5:0; კროტონე — მარტინა 0:1; ბენევენტო 2:2; ფოჯა — ... 

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნეტარი სამი წუთი
## რომელიც შეიცავს ადრენალინს

### იტალიის ჩემპიონატი
მეხუთე ტურის მატჩი

**მილანი 6:0 ტორინო**

ახალი ქალაქი: 90 წუთი, საგოლე პასი



სილვიო ბერლუსკონიმ (შუაში) ადრიანო გალიანი და კარლო ანჩელოტი შეაქო

# არაფერი შეგვეშალოთ!
## ტორინოს 6:0 ბერლუსკონიმ მოუგო

**2001 წლის** 11 მაისს „მილანმა“ „სან სიროზე“ მარადიული მოძულე „ინტერი“ 6:0 გაბდღვნა, 2002 წლის 6 ოქტომბერს, „როსონერიმ“ იგივე დამართა „ტორინოს“. და რატომ გავიხსენეთ ერთი წლის წინანდელი მატჩი? მაშინაც და ახლაც, „სან სიროს“ იტალიის პრემიერ-მინისტრი და „მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი სტუმრობდა — ბერლუსკონი, რომელიც პოლიტიკით უფრო დაკავებული, ვიდრე მისი შეილობილი გუნდით. ეტყობა, დონ სილვიომ მშვენივრად უწყის, როდის უნდა უქომაგოს გუნდს, ეს ცხადია, ხუმრობით. შაბათს ბერლუსკონი მილანელის საწვრთნელ ბაზას ეწვია, გუნდი მოინახულა და ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანიდან დაწყებული, უბრალო მოსამსახურით დამთავრებული, ყველას კომპლიმენტები უძღვნა, მართალია, სათანადო ყურადღებას ვერ გაქცევთ, მაგრამ მუდამ თქვენს გვერდით ვარ, ბოლოს ნაჩვენები შედეგებით ძალიან მახარებთ, ასე უნდა გააგრძელოთო.

„ტორინოსთან“ მატჩის მერე, სილვიო ბერლუსკონიმ ჟურნალისტებს ეს უთხრა: „დღევანდელი „მილანი“ იმ გუნდს მაგონებს, 90-იანების დასაწყისში ყველაფერს რომ იგებდა. თამაშები რომ მოვიგოთ, ცხადია, ბევრი გოლი გვჭირდება, ასეცაა და გვაქვს. ამ გუნდს მომავალი პირლოს, ზეედორფის, შევჩენკოს და სხვათა სახით ნამდვილად აქვს. ჩვენ ახლო წარსულის დიდება უნდა დავიბრუნოთ.“

ჟურნალისტებს „მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი და ფეხბურთელებიც ესაუბრნენ. ალბათ, მათი ნათქვამი უფრო იქნება საინტერესო, ვიდრე ექვსივე გატანილი გოლის აღწერა, თუმცა, ერთი რომ არ აღვნიშნოთ, არ შეიძლება — მატჩში მეექვსე, თავისთვის მესამე გოლი ზებრწყინვალე ფორმაში მყოფმა ფილიპო ინძაგიმ თავურით კახა კალაძის მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებული პასის შემდეგ შეაგდო.

კარლო ანჩელოტი: „რა უნდა ვთქვა ამის მერე? „მილანი“ ძალიან მახარებს, გუნდი თამაშიდან თამაშამდე უმატებს, მომწონს თამაშის ხარისხიც. ცხადია, ასეც უნდა გავაგრძელოთ. რაც შეეხება ინძაგის, თავადაც ხედავთ როგორ ფორმაშია. პიპომ, შემდგომშიც ასე პანტაპუნტით თუ გაიტანა გოლები, „ოქროს ბურთი“ ულაპარაკოდ მისი იქნება.“

კახა კალაძე: „გულახდილად გეტყვით, არ მეგონა, თუ „ტორინო“ ასეთი სუსტი იქნებოდა. არადა, შარშან მათთან სწორედ „სან სიროზე“ გაგვიჭირდა, როცა 2:1 მოვუგეთ. მატჩისადმი საბრძოლო განწყობა სილვიო ბერლუსკონის საპატიო სტუმართა ლოჟაში ყოფნამაც განაპირობა, პრეზიდენტი წინადღით ბაზაზე გვეწვია, „სან სიროზე“ მოსვლაც არ დაიზარა და ჩვენც სტიმული მოგვცა.“

კლარენს ზეედორფი: „განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, „მილანმა“ მშვენივრად ითამაშა და დაგეგმილი 3 ქულაც მივითვალეთ. ყურადღებით და ფხიზლად ყოფნა გვმართებს, სიძნელეები ხომ ისეთ დროს მოდის, როცა არ ელი. ამ გუნდში მე ისე ვარ, როგორც საკუთარ სახლში.“

მანუელ რუი კოშტა: „გუნდის ქებას არ დავიწყებ, მაგრამ „მილანი“ რომ მაღაზეა მოსული, ფაქტია. ეს მხოლოდ დასაწყისია. მადლობა ტიფოზებს, მათ ყოველთვის სჯეროდათ ჩემი. სწორედ ქომაგების დამსახურებით ვუბრუნდები „ფიორენტინაში“ მოთამაშე რუი კოშტას.“

ფილიპო ინძაგი: „ზღაპარი გრძელდება და მსურს, იგი არასოდეს დასრულდეს — ყველანი ძალიან ბედნიერები ვართ. თავს ჩინებულად ვგრძნობ, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. რატომ და როგორ გამაქვს გოლები? იმიტომ, რომ „მილანმა“ ყოველთვის უნდა მოიგოს. ბიჭები მოედანზე და მის გარეთაც ჩინებულად ვუგებთ ერთმანეთს. უმთავრესი გუნდია, გატანილი ბურთებიც მისია და არა ჩემი.“

„ლა გაძეტა დელო სპორტმა“ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ულაპარაკოდ „სუპერპიპო“ დაასახელა და მისი პეთ თრიქი 8,5 ბალით შეაფასა. ჩვენებურმა კახა კალაძემ 6,5 მიიღო.

და ერთიც. კვირას „სან სიროს“ ტრიბუნაზე ერთი ბერიკაცი სიხარულისგან ცქმუტავდა, საჩუქარიც ჩინებული მიიღო — „მილანის“ ლეგენდა, სახელოვანი გრე-ნო-ლიდან ერთ-ერთი, შვედი ნილს ლიდჰოლმი 80 წლის მოყრილა. 50-იანი წლების „მილანის“ მეგოლეც საპატიო სტუმართა ლოჟაში იწონებდა თავს სილვიო ბერლუსკონის, ადრიანო გალიანისა და იტალიის ნაკრების თავკაც ჯოვანი ტრაპატონის გვერდით.

**გიორგი გუგაძიძე**



„მილანის“ ლეგენდა ნილს ლიდჰოლმი 80 წლისაა, ბიჭურად კი გამოიყურება

### შოტლანდია

**პრემიერლიგა. X ტური**

**დანდი 2:1 კილმარნოკი**

0:1 ბუტალი (66), 1:1 რაე (76), 2:1 კაბალიერო (90)

დანდი: სპერონი, მაკეი, სმიტი, უოლკი, ჰერნანდესი, ბრედი, რაე (რობბ 88), ნემსაძე (მილნი 72), ნოვო, სარა

ზურაბ ხიზანიშვილი სათადარიგო იყო

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

5 567 მაყურებელი

**დანფერმლაინი 4:1 პარტიკი**

1:0 ტომსონი (28), 1:1 მიტჩელი (61), 2:1 ნიკოლსონი (68), 3:1, 4:1 კროუფორდი (79, 90)

გაძევება: ლილეი (55, პარტიკი)

**ჰიბერნიანი 2:1 დანდი იუნ.**

1:0 გ. ოკონორი (29), 2:0 ი. მიურეი (51), 2:1 ს. ტომპსონი (76)

**მოზერუელი 1:2 აბერდინი**

1:0 მაკფადენი (41), 1:1 დ. იანგი (46), 1:2 დელომი (83)

**სელტიკი 3:3 რეინჯერსი**

0:1 არტეტა (6), 1:1, 2:1 ლარსონი (39, 53), 2:2 დე ბური (54), 2:3 არველაძე (76), 3:3 სატონი (78)

სელტიკი: დუგლასი, სილა (აგატი 59), ვალგაერენი, ჯ. ლაურსენი, ბალდე, ტომპსონი, ლამბერტი (მელოუნი 77), ლენონი, ს. პეტროვი (მარტსონი 74), ლარსონი, სატონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, კ. მური (კონტერმანი 46), ლ. ამორუზო, ნუმანი, ბ. ფერგიუსონი, რ. დე ბური (კანიჯა 84), მორის როსი, არტეტა, შ. არველაძე, ლოვენკრანდსი (ნ. მაკკანი 50)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: ტომპსონი, სილა, ბალდე, დე ბური, რიკსენი, არველაძე, როსი

59 027 მაყურებელი

**ლივინგსტონი 1:1 ჰარტსი**

1:0 ბ. უილსონი (41), 1:1 სტამპი (46)

**როგორც იქნა**, შოთა არველაძემ „სელტიკს“ გოლი გაუტანა — ეს პირველი „ოლდ ფირმი“ გახლდათ, სადაც ქართველმა ბურთი შეაგდო.

კრის სატონს სამ წუთში რომ არ გაეთანაბრებინა, არველაძის გოლი გამარჯვებისა იქნებოდა.

ამ ფრის შემდეგ ცხრილს კვლავაც „რეინჯერსი“ ლიდერობს, ხოლო ალექს მაკლიშის ხელში გუნდს ერთხელაც არ წაუგია „სელტიკთან“. მაკლიშმა ამით აიბროქსული რეკორდი დაამყარა — ზედიზედ ხუთი წაუგებელი „ოლდ ფირმი“.

მატჩი მთელმა ბრიტანეთმა ნახა BBC-ის ტელეარხით — ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ მხოლოდ ფასიანი ციფრული არხები მის ტრანსლაციას ვერ აუვიდოდნენ.

მიკელ არტეტამ ფერნანდო რიკსენის პასით გაიტანა, თუმც გოლი მაინც უფრო ინდივიდუალური გამოდგა — ახალგაზრდა ესპანელმა ლამაზად, ჭკვიანურად გაიტანაო, ირწმუნება „რეინჯერსის“ ვებ-გვერდი.

თუმც არტეტას დარტყმა აულებელი ნაღდად არ გახლდათ და „სელტიკის“ მეკარე რობერტ დუგლასს მისი მოგერიება შეეძლო, მაგრამ ჩაფლავდა.

„სელტიკი“, ცხადია, შეუტევდა და ჰენრიკ ლარსონის პირველი გოლიც სავსებით ლოგიკური გახლდათ. მეორე კი ფერადმა შვედმა სტილიან პეტროვის კუთხურს თავურით მიაყოლა.



სელტიკი — რეინჯერსი. მასპინძელმა კრის სატონმა ფერნანდო რიკსენი გზიდან ჩამოიცილა და და გოლითაც დააღონა

„რეინჯერსმა“ ასევე თავურით შეაგდო გამათანაბრებელი — ამორუზოდე ბურის კომბინაციის შედეგად.

მერე ისევ მასპინძლები ბატონობდნენ. ლარსონს შტეფან კლოსმა აუღო რთული ბურთი, ალან ტომპსონმა კი ხარიხა შეაზანზარა.

| 22.00 | 173 | რუმინეთი-ნორვეგია | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 23.00 | 174 | ესპანეთი-ჩრდ. ირლანდია | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| 23.45 | 175 | საფრანგეთი-სლოვენია | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 24.00 | 176 | იტალია-იუგოსლავია | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | -1,16 | 2,46 |

12 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 177 | მოლდოვა-ჩეხეთი | 6,5 | 3,6 | 1,45 | 2,31 | 1,18 | 1,03 |

ამხანაგური მატჩები

11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 198 | ბოსნია ჰერცოგოვინა-გერმანია | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |

12 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 199 | პორტუგალია-ტუნისი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |

ჰოკეი. რუსეთი

8 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12.30 | 601 | ამური-დინამო | 2,3 | 4,2 | 2,1 | 1,48 | 1,09 | 1,39 |
| 17.30 | 602 | მაგნიტოგორსკი-ლადა | 1,65 | 4,4 | 3,0 | 1,2 | 1,06 | 1,78 |
| 17.30 | 603 | მეჩელი-ს.იულაევი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 19.30 | 604 | ცსკა-მოლოტი | 1,45 | 4,7 | 3,8 | 1,1 | 1,04 | 2,1 |
| 19.30 | 605 | ლოკომოტივი-სევერსტალი | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |
| 19.30 | 606 | კრილია-ძკ | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |
| 19.30 | 607 | აკ ბარსი-ავანგარდი | 1,9 | 4,4 | 2,4 | 1,32 | 1,06 | 1,55 |
| 19.30 | 608 | ნეფტეხიმიკი-სპარტაკი | 1,55 | 4,7 | 3,3 | 1,16 | 1,05 | 1,93 |

9 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 609 | ნოვოკუზნეცკი-სიბირი | 1,45 | 4,7 | 3,8 | 1,1 | 1,04 | 2,1 |

ჰოკეი. ჩეხეთი

8 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 627 | ვსეტინი-ჰავირჟოვი | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |
| 20.00 | 628 | ვიტკოვიცე-პლზენი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 20.30 | 629 | პარდუბიცე-ტრჟინეცი | 1,6 | 4,4 | 3,2 | 1,17 | 1,06 | 1,85 |
| 20.30 | 630 | ზნოიმო-სპარტა | 2,3 | 4,2 | 2,1 | 1,48 | 1,09 | 1,39 |
| 20.30 | 631 | ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 21.00 | 632 | ლიბერეცი-ზლინი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 21.00 | 633 | სლავია-ბუდეიოვიცე | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |

ჰოკეი. შვეიცარია

8 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 648 | ფრიბურგი-რაპერსვილი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 22.30 | 649 | სერვეტი-ამბრი | 1,95 | 4,2 | 2,45 | 1,33 | 1,08 | 1,54 |
| 22.30 | 650 | ლუგანო-დავოსი | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 22.30 | 651 | ლანგნაუ-კლოტენი | 2,3 | 4,2 | 2,1 | 1,48 | 1,09 | 1,39 |
| 22.30 | 652 | ციურიხი-ლოზანა | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 22.30 | 653 | ცუგი-ბერნი | 2,25 | 4,2 | 2,15 | 1,46 | 1,09 | 1,42 |

ჰოკეი. გერმანია

8 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 666 | ჰანოვერი-კრეფელდი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |

10 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 667 | ნიურნბერგი-ჰამბურგი | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |

11 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 668 | კოლნი-შვენინგი | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 22.30 | 669 | ჰანოვერი-დიუსელდორფი | 2,15 | 4,2 | 2,25 | 1,42 | 1.09 | 1,46 |
| 22.30 | 670 | მანჰაიმი-ფრანკფურტი | 1,5 | 4,7 | 3,5 | 1,13 | 1,04 | 2 |
| 22.30 | 671 | კასელი-იზერლონი | 1,6 | 4,4 | 3,2 | 1,17 | 1,06 | 1,85 |
| 22.30 | 672 | ოგსბურგი-აისბარენი | 2,25 | 4,2 | 2,15 | 1,46 | 1,09 | 1,42 |
| 23.00 | 673 | კრეფელდი-ინგოლშტადი | 1,7 | 4,4 | 2,8 | 1,22 | 1,05 | 1,71 |

ჰოკეი. შვედეთი

8 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 680 | ლინჩიოპინგი-სოდერტელიე | 1,7 | 4,2 | 2,9 | 1,21 | 1,07 | 1,71 |
| 22.00 | 681 | ლეკსანდი-ტიმრე | 1,95 | 4,2 | 2,45 | 1,33 | 1,08 | 1,54 |
| 22.00 | 682 | მალმო-ჰვ 71 | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 22.00 | 683 | ლულეო-იურგორდენი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 22.00 | 684 | ფრიოლუნდა-მოდო | 1,45 | 4,7 | 3,8 | 1,1 | 1,04 | 2,1 |
| 22.00 | 685 | ბრიუნესი-ფერიესტადი | 2,45 | 4,2 | 1,95 | 1,54 | 1,08 | 1,33 |

ჰოკეი. ფინეთი

8 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 698 | ტაპარა-ესპო | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 20.30 | 699 | ტურკუ-ილვესი | 1,45 | 4,4 | 4,0 | 1,09 | 1,06 | 2,09 |

10 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 700 | ჰელსინკი-იუვესკიულე | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 20.30 | 701 | ილვესი-სეიპა | 1,85 | 4,2 | 2,6 | 1,28 | 1,08 | 1,6 |
| 20.30 | 702 | კერპეტ-ტაპარა | 2,1 | 4,2 | 2,3 | 1,39 | 1,09 | 1,48 |
| 20.30 | 703 | ტურკუ-ესპო | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |

ჰოკეი. NHL

9 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 712 | კაროლინა-რეინჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,45 | 1,33 | 1,1 | 1,51 |
| 05.00 | 713 | კოლორადო-დალასი | 1,65 | 4,2 | 3,1 | 1,18 | 1,07 | 1,78 |
| 07.30 | 714 | ლოს ანჯელესი-ფინიქსი | 1,85 | 4,2 | 2,6 | 1,28 | 1,08 | 1,6 |

10 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 715 | ბუფალო-აილენდერსი | 2,1 | 4,0 | 2,35 | 1,37 | 1,1 | 1,48 |
| 04.00 | 716 | ოტავა-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,2 | 2,4 | 1,35 | 1,09 | 1,52 |
| 04.00 | 717 | კოლუმბუსი-ჩიკაგო | 2,5 | 4,2 | 1,9 | 1,56 | 1,07 | 1,3 |
| 04.30 | 718 | პიტსბურგი-ტორონტო | 2,2 | 4,0 | 2,25 | 1,41 | 1,11 | 1,44 |
| 04.30 | 719 | ფლორიდა-ტამპა ბეი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 05.00 | 720 | სტ.ლუისი-ანაჰაიმი | 1,45 | 4,4 | 4,0 | 1,09 | 1,06 | 2,09 |
| 06.00 | 721 | კალგარი-ვანკუვერი | 2,2 | 4,0 | 2,25 | 1,41 | 1,11 | 1,44 |
| 06.00 | 722 | ედმონტონი-ფილადელფია | 2,3 | 4,0 | 2,15 | 1,46 | 1,11 | 1,39 |
| 07.30 | 723 | სან ხოსე-დეტროიტი | 2,45 | 4,0 | 2,0 | 1,51 | 1,1 | 1,33 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები

ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48, მელიქიშვილის ქ. №15

გამოვიდა სარბიელის დამატება

კროკო

პროფესიონალთათვის

ორშაბათობით ყველა შედეგი, ხუთშაბათობით კოეფიციენტები, ბადე-ცხრილები

ფასი 20 თეთრი

# მოულოდნელი კოცნები
## მოვიდა ფრანგი და აიღო კრემლი



REUTERS

კენეტ კარლსენი



REUTERS

პოლ-ანრი მათიო



REUTERS

მაგდალენა მალეევა

**კრემლის თასი**
მოსკოვი. ხალიჩა
საპრიზო 2,224 მილიონი $

**ვაჟები**

**ნახევარფინალი**

**პოლ-ანრი მათიო** (საფრანგეთი) — **მარატ საფინი** (1, რუსეთი) 7:6 (7:3), 6:4; **სხენგ შალკენი** (7, ჰოლანდია) — **ევგენი კაფელნიკოვი** (2, რუსეთი) 6:2, 6:4

**ფინალი**

**მათიო** — შალკენი 4:6, 6:2, 6:0

სკვითებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ კრემლის კაცთა თასს სატახტო ქალაქში ზედიზედ მეექვსედ დაიტოვებდნენ. თასის წინა ხუთი წლის განმავლობაში მომგები ევგენი კაფელნიკოვი ფრანგებთან ნოემბერ-დეკემბრის გზაგასაყარზე გასამართი დევისფინალის შემდეგ დიდი ჩოგბურთიდან წასვლას აპირებს და წასვლის წინ მორიგი მოსკოვური ჯილდოთი რომ ენუგბარა, ამის საწინააღმდეგო — ცხადია — არაფერი ჰქონდა. მისი უმცროსი ძოსტი და მემკვიდრე მარატ საფინი კი წლეულს ჯერაც უტიტულოდ ჩოგნაობს და საამსეზონო ტიტულყაბზობისგან განსაკურნად მშობლიურ ალაგზე უკეთესი, აბა, რაღა უნდა ენატრა. მოკლედ — მოსკოვქალაქელნი ტურნირზე პირველ-მეორე ნომრებად განთესილი სკვითჯილებისგან საფინალო განდაგანას გამოელოდნენ.

როგორც ამ შემთხვევაში ვამბობთ ხოლმე — აპრუწუწუნ, ვერ მიერთვათ! კაფელნიკოვს 1996 წლის ფინალში გორან ივანიშევიჩთან დამარცხების შემდეგ იქაურ სეფეხალიჩაზე ზედიზედ 28 გამარჯვება მიეთვალა და ტურნირზე მეშვიდე ნომრად განთესილ, 26 წლის ჰოლანდიელ სხენგ შალკენთან სათამაშოდაც მხოლოდ მოსაგებად გადიოდა. მაგრამ ხმელმა დაჩკაცმა მას პირველივე გეიმი გაუტეხა და უპირატესობა უკანასკნელ მოწოდებამდე აღარ დაუთმია. სოჭელს გაბრძოლების შანსი სწორედ უკანასკნელ გეიმში მიეცა, რომლის მოგების შემთხვევაშიც ანგარიში 5:5 გახდებოდა, თუმცა 4-მატჩბურთის გადამრჩენმა მეხუთის წინააღმდეგ ველარაფერი გააწყო...

კაფელნიკოვი: „ვიცოდი, რომ გამარჯვებათა სერია ადრე თუ გვიან უნდა შეწყვეტილიყო. ვინმეს 6 წლის წინ რომ ეთქვა, მომდევნო წლებში კრემლის თასს ზედიზედ 5-ჯერ მოვიგებდი, გიჟი მეგონებოდა... ასეა თუ ისე, მოსახდენი მოხდა. მე არ ვაპირებ ამ დამარცხების გამო ჩემი გადაწყვეტილება შევცვალო და დიდ ჩოგბურთს გაისამდე შევრჩე. არ მსურს, მსოფლიოში მე-20 და 30-ე ვიყო, თუკი ვგრძნობ, რომ აღარ შემიძლია, ძველებურად ზეპურთა შორის ვიბოგინო, ესე იგი, წასვლის დროც მოსულა".

შევახსენებთ, კაფელნიკოვს კრემლის თასზე ახლაც რომ ემარჯვა, 1968 წლიდან ანუ ღია პირველობათა ერაში პირველი მეჩოგნე შეიქნებოდა, ვინაც ერთი და იმავე ტურნირის ზედიზედ 6-ჯერ აოხრება მოახერხა.

რაც შეეხება საფინს, ეს უდავოდ ნიჭიერი, მაგრამ ასევე უდავოდ ტლუ და ტლანქი სკვითმუსლიმი იმ დღეს მსოფლიოში 83-ე ჩოგნის მქნეველმა პოლ-ანრი მათიომ გატყაპა.

დანარჩენი აბზაცები ჩვენც სწორედ ამ 20 წლის პარიზელ ჭაბუკს უნდა მივუძღვნათ, რაკიღა ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოხვედრილმა კარიერის პირველივე დიდფინალი ტიტულიანად მოიგვირისტა. შალკენი მას მხოლოდ პირველ სეტში ედავა, მერე კი მატჩის სადავეები დაუთმო და ბოლო სეტებში მხოლოდ ორი გეიმიღა მიითვალა. მართალია, პირველი სეტი მე მოვიგე, მაგრამ პოლ-ანრი უკვე მაშინაც მჯობდაო, ამბობდა მერე.

მთელი კრემლაობის მსვლელობისას მათიოს 8 შეხვედრის გამართვა და 22 სეტის თამაშის მოუხდა. ის პირველი ფრანგია და ასევე პირველი ნაკვალიფიკაციევი მოთამაშე, ვინაც კრემლის თასის მოგება შეძლო. მეტიც — რომელსამე ნაკვალიფიკაციევ მეჩოგნეს წლეულს არც ერთი ტურნირი არ მოუგია. ამგვარი რამ უკანასკნელად შარშან, ჰამბურგულ მასტერსტურნირზე მოხდა, სადაც ესპანელმა ალბერტ პორტასმა ტიტულისთვის ბრძოლა სწორედ საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო.

ფრანგული ჩოგბურთის იმედად ეს ჭაბუკი უკვე დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რომ მან 2000 წელს როლან გაროსის იუნიორთა გათამაშება მოიგო. და მართალია, ამ კვირამდე მხოლოდ ორიოდე სა-ATP-ო მეოთხედფინალში გაეღწია, მაგრამ საქმეში ჩახედულ ხალხს მისი ხალასი ნიჭი შეუმჩნეველი მაინც არ დარჩენია. წლევანდელ როლან გაროსზე მან საყოველთაო ყურადღება მიიპყრო მეოთხე წრემდე ეშხიანი ბურთაობისა და იქ ანდრე აგასისთან გადატანილი ხუთსეტიანი (წარუმატებელი) ომის შედეგად. აგვისტოში კი, ერთი კვირით ადრე აშშ-ის ღია პირველობის დაწყებამდე, მან ლონგაილენდურ მაგარსაფარზე სულაც პიტ სამპრასი დაჩოგნა.

სანამ მარატ საფინს გაამეგებდა, მათიომ მოსკოვში ირჟი ნოვაკისა და რაინერ შუტლერის მსუყე სკალპებიც მოინაგრა.

მათიო: „ჩემთვის ახლა ძალზე ძნელია იმის გაცნობიერება, რომ პირველი ტიტული მოვიპოვე. ასეთი რამ ხშირად არ ხდება, ნაკვალიფიკაციევი ტურნირის მოგებას რომ ახერხებდეს... პირველ სეტში გამიჭირდა, რადგან ძალიან ვნერვიულობდი. მაგრამ მეორესა და მესამეში ჩემი საუკეთესო საამკვირაო ჩოგბურთი ვაჩვენე, იმაზე უკეთესიც კი, რაც საფინთან თამაშის დროს იყო. მჯერა, რომ თამაშის გაუმჯობესება კიდევ შემიძლია. მსურს, მომდევნო ტურნირებში შეძლებისდაგვარად ბევრი მატჩი მოვიგო. ამ ღამეს კი ქეიფი და რამე არ გამომივა — ორშაბათიდან ხომ ლიონის ტურნირი იწყება!".

არადა, ღამის მოსკოვში საქეიფოდა და საბუღრაოდ სკითებმა მათიოს გვარიანი თანხა — 133 ათასი დოლარი უფეშქაშეს.

**ქალები**

**ნახევარფინალი**

**ლინდსი დევენპორტი** (3, აშშ) — **ამანდა კუტცერი** (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:4; **მაგდალენა მალეევა** (ბულგარეთი) — **ამელი მორესმო** (5, საფრანგეთი) 7:5, 6:4

**ფინალი**

**მალეევა** — დევენპორტი 5:7, 6:3, 7:6 (7:4)

ლინდსი დევენპორტს ბედი არა ჰქონია — იანვარში მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ სამი თვის წინ მობრუნებულმა 6 ტურნირზე ითამაშა, აგერ უკვე მესამე ფინალს უწია და წამლად ერთიც ვერ მოიგო. ამ სამგზის მესლემტიტულეს კარგა ბარაქიანად შემხვდარ და — შედეგად — უჩვეულოდ გასხარტებულ ამერიკულ სათნოებას ამჯერად შეუპოვარი ბულგარელი, მსოფლიოს 23-ე ჩოგანი და კრემლის თასის აქამდე ორგზის (1994-95) მფლობელი, მაგდალენა მალეევა მოერია.

არადა, მასზეც ჰალალიც იყო — ვინაიდან ფინალამდე ორ ლინდსისდარ გოლიათს, ვინუს უილიამსსა (2) და ამელი მორესმოს (5) გამკლავებოდა და ჩოგანი არც ფინალში წაგებული პირველი სეტის შემდეგ დაავდო.

ერთ ტურნირზე ზეათეულის ერთბაშად სამი წარმომადგენელი აქამდე არასოდეს დამიჩოგნიაო, იძახდა მერე გამარჯვებულისთვის კუთვნილი 182 ათასდოლარიანი ჩეკის ჩაკუჭვისას. ბედნიერი ვარ და ეს კვირა ჩემი კარიერის საუკეთესო კვირააო, დასძინდა. „ლინდსის საუკეთესო მოთამაშედ მივიჩნევ და მისი ფინალში ძლევა დაუჯერებელი ამბავია. თამაშის მსვლელობისას რამდენიმე საოცარი ბურთი ჩამიგდო, მაგრამ გადამწყვეტ გათამაშებებში მეც რიგიანად გავისარჯე და ვფიქრობ, მოგება დაუმსახურებლად არ მრგებია".

ჰო, მართლა — ეს მაგის მე-9 საკარიერო ტიტული გახლდათ, ის 27 წლისაა და ლინდსი-ვინუს-ამელის მსგავს ოტროველა გოგოებთან მისი გამარჯვება უფრო მეტად კიდევ იმიტომაც ფასობს, რომ წონით 57 კილო მიწიდან მხოლოდ მეტრსა და 68 სანტიმეტრს აითვლის. ესე იგი — თუ გული გულობს, ბობოლები ცალი ხელითაც იჩოგნებიან!

**იაპონიის ღია პირველობა**
ტოკიო. ჰარდი
საპრიზო 970 ათასი $

**ვაჟები**

**ნახევარფინალი**

**კენეტ კარლსენი** (დანია) — **პარადორნ შრიჩაფანი** (8, ტაილანდი) 7:6 (7:4), 7:6 (7:5); **მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — **ვინს სპადია** (აშშ) 6:4, 7:6 (7:4)

**ფინალი**

**კარლსენი** — ნორმანი 7:6 (8:6), 6:3

**ქალები**

**ფინალი**

**ჯილ კრეიბასი** (აშშ) — **სილვია ტალაია** (ხორვატია) 2:6, 6:4, 6:4

29 წლის კენეტ კარლსენს რაგინდარა ტიტული ადრე მხოლოდ ოთხი წლის წინ, ჰონკონგის ტურნირზე მოეგო. ეს ტურნირი — მოგეხსენებათ — ტოკიოურზე ერთი კვირით ადრე იმართება და მასზე ნაპაექრალი მობურთალები მერე ბითუმად ტოკიოში გადაადგილდებიან ხოლმე.

ამგამინდელი ტოკიური ტურნირი ძალზედ საინტერესოდ წარიმართა. მარტო ის რად ღირს, რომ ესპანური სუპერსამეულიდან, რომელშიც ჰონკონგში გამარჯვებული ხუან კარლოს ფერეროს (2) გარდა კარლოს მოია (3) და ალექს კორეხაც (4) შედიოდნენ, მეოთხედფინალამდე ერთმაც ვერ მიაღწია, ხოლო შარშანდელი ჩემპიონი ლეიტონ ჰიუიტი (1) ზედ ნახევარფინალის მიჯნასთან პარადორნ შრიჩაფანმა (8) შეაჩერა.

სხვათა შორის, პარადორნის მიერ ჰიუიტის გაბუნძურების მერე ყველამ ის იფიქრა, რომ აზიურ ტიტულს სწორედ ეს ხახვუშტა ტაილანდელი დაეუფლებოდა, რადგანაც ის აზიის უპირველესი მეჩოგნეა და საკუთარი სიჩაუქის გარდა ქომაგთა უშურველი მხარდაჭერის იმედიც უნდა ჰქონოდა.

საფინისა და კაფელნიკოვისა არ იყოს, ვერც პარადორნმა მიერთვა. ის დანიელმა კარლსენმა დაჩაგრა და, რამდენადაც მეორე ნახევარფინალში (ხუან კარლოს ფერეროს მძლეველმა) მაგნუს ნორმანმა ვინს სპადია დაითხოვა, მაყურებელს ერთობ საინტერესო ფინალის ცქერა დაებედა.

რატომ საინტერესოსი? იმიტომ, რომ ორივე მეჩოგნეს უმძიმესი ტრავმები გადაუტანია და თავიანთი ოდინდელი საზეო ფორმის დაბრუნებას მხოლოდ ახლაღა ცდილობენ. კარლსენი მისთვის წარმატებული სეზონების შემდეგ 2000-01 წლებში 19 თვე საშინლად ნაღმობ მხარს იმუშმებდა, ხოლო მსოფლიოს ოდინდელმა მეორმეჩოგნემ და 2000 წლის როლან გაროსის ფინალისტმა ნორმანმა შარშან აგვისტოში ბარძაყი დასტაქარს გააკვეთინა და ძველებურ სიკისკასეს მხოლოდ აქა-იქ თუ გამოაბჟუტებს ხოლმე.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, დანიელმა შვედის უმძლავრეს მოწოდებას გაუძლო, მისი უამრავი უნებლიე მიქარვა შეიფერა და პირველი გათამაშებიდან საათისა და 46 წუთის თავზე სატიტულო თარეში მოამთავრა კიდეც.

კარლსენი: „მართალია, ფორმა ოდნავ დავიბრუნე, მაგრამ ამას მაინც არ მოველოდი. ეს ჩემთვის ისეთივე სიურპრიზი გახლავთ, როგორც დანარჩენი მილეთისთვის. კვირა კი ძალზედ მძიმე გამოდგა — წვიმიანი და რამე და ძალიან მიხარია, რომ სხეულმა არ დამღალატა და ბოლომდე გამატანინა. აქ ასეთ დიდ ტურნირზე მოგება გადასარევი და დაუჯერებელი რამეა. სხვა რაღა გითხრათ".

ნორმანი კი გამოუყენებელ შესაძლებლობებს მისტიროდა, მეტოქეს აქებადიდებდა და ამბობდა, მის მაგივრად ბედნიერი ვარ, რაკილა თავადვე ვიცი, რას ნიშნავს ტრავმისგან მოკეთებაო. თუმცა იქვე დასძინდა, რომ ვერ იტანს დამარცხებას და იმედი აქვს, რომ ეს ტურნირი მისი მეორე კარიერის დასაბამი გახდება.

**ლევან ძილაურაძე**



**მსოფლიოს ჩემპიონატი**
**ვაჟები. არგენტინა**

# რუსებმა კუტუზოვის გეგმა აამოქმედეს

არგენტინაში, ვაჟ ფრენბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ჯგუფური ეტაპი დასრულდა. გაირკვა ის 8 ნაკრები, რომლებიც მეოთხედფინალში გააგრძელებენ ბრძოლას. საპლეიოფო რვეულში ის გუნდები მოხვდნენ, ვისი შემდეგ ეტაპზე გასვლა ეჭვს არ იწვევდა. ერთი გამონაკლისის გარდა. გუნდი-სენსაცია — ასე მონათლეს საბერძნეთის ნაკრები, რომელიც ჯერ კიდევ პირველი ეტაპის დაწყებამდე მიიჩნეოდა უშანსოდ, მაგრამ ბერძნებმა პროგნოზისტებს დავთრები აურიეს და ორი რთული ჯგუფიდან მეოთხედფინალში ამოყვეს თავი.

კვირას ელადელებმა ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, აშშ შეიწირეს და ჯგუფში ჩატოვეს. ამათ მატჩში ირკვეოდა K ჯგუფის მეორეადგილოსანი მძაფრი შეხლა ორ საათს გაგრძელდა და მოულოდნელად 3:2 დასრულდა ბერძნების სასარგებლოდ. მეოთხედფინალში ბერძნებს რუსები ელიან, რომლებმაც მეორე ჯგუფურ ეტაპზე ყველა მატჩი მოიგეს.

ახლახან იყო, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა რომ გვიამბო, ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ბოსს, მექსიკელ რუბენ აკოსტას რუსეთი გულზე არ ეხატება და ათასნაირ ხრიკებს უწყობს, წარმატებას რომ ვერ მიაღწიონო. ცხადია, ეს რუსებმაც იციან და... სპეციალისტთა ვარაუდით, პირველ ჯგუფურ ეტაპზე სლავთა წაფორხილება კარგად გათვლილი მანევრი იყო. კერძოდ, რუსებმა შეგნებულად წააგეს ორი მატჩი, რათა შემდეგ ეტაპზე გამსვლელი უკეთესი მესამე ადგილი დაეჭირათ და ამით იოლ ჯგუფში მოხვედრილიყვნენ. ისე აგიხდათ ყველაფერი, როგორც ეს ნავარაუდევი ახლა. მეოთხედფინალში გასვლამდე კი რუსთა ნაკრები სასწაულებრივ გადაურჩა ავიაკატასტროფას.

ბუენოს აირესიდან კორდობაში გადაფრენისას „ბოინგ 727", რომელშიც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ისხდნენ, ქარმა გვარიანად აჯანჯღარა. თვითმფრინავი დალუპვას პილოტთა პროფესიონალიზმმა გადაარჩინა.

ტურნირის უპირველეს ფავორიტად კი ისევ მასპინძელი არგენტინა რჩება. საყვირმომარჯვებული და ათასნაირი დასარტყმელ-დასაკრავი ინსტრუმენტიანი 5 ათასი ქომაგის შეგულიანებული გაუჩოები მეტოქეს მეტოქეზე აცამტვერებენ და აგერ, ექვსი მატჩია, წაუგებლები არიან, ისევე როგორც იუგოსლაველები.

**ბაჩო სვანიძე**

**მეორე ჯგუფური ეტაპი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **G ჯგუფი** | | | | |
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | 6 |
| იტალია | 3 | 2 | 1 | 5 |
| იაპონია | 3 | 1 | 2 | 4 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 3 | 3 |
| **H ჯგუფი** | | | | |
| რუსეთი | 3 | 3 | 0 | 6 |
| პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 5 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 2 | 4 |
| ესპანეთი | 3 | 0 | 3 | 3 |
| **J ჯგუფი** | | | | |
| ბრაზილია | 3 | 3 | 0 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 5 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 2 | 4 |
| ჩეხეთი | 3 | 0 | 3 | 3 |
| **K ჯგუფი** | | | | |
| იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 6 |
| საბერძნეთი | 3 | 2 | 1 | 5 |
| აშშ | 3 | 1 | 2 | 4 |
| ჩინეთი | 3 | 0 | 3 | 3 |

**მეოთხედფინალი**

**იუგოსლავია — პორტუგალია**
**არგენტინა — საფრანგეთი**
**ბრაზილია — იტალია**
**რუსეთი — საბერძნეთი**

# ბასკო სახელს იმთელებს

## სტუდენტებმა სამიანები ორიანზე ისროლეს



თსუ — ბასკო. ბათუმელი ლაშა კეშელავა სტუდენტთა ფარის ხშირი სტუმარი იყო

**ირაკლი პირტახია**

**შაბათს** ჩემპიონატი „დინამომ" და „აკადემიამ" გახსნეს. თუ ვიცე-ჩემპიონთათვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, აკადემიელებისთვის ამ მატჩს ორმაგი დატვირთვა ჰქონდა: პირველი უმაღლესლიგური მატჩი და დავით უსტიაშვილის სამწვრთნელო დებიუტი უმაღლეს ლიგაში.

საბოლოო შედეგი წინასწარვე ყველამ კარგად უწყოდა, დებიუტანტები აბა, რა წინააღმდეგობას გაუწევდნენ ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატს. შედეგიც ლოგიკურია, თუმცა აკადემიელებმა დინამოელები თავიდან ცოტათი ანერვიულეს. პირველი მეოთხედის მერე „დინამოს" უპირატესობა ოდენ ქულა იყო — 18:17. ეს იყო და ეს, მალე „დინამომ" ყველაფერი დაალაგა და 40-ქულიანი სხვაობით იმარჯვა.

შაბათის ცენტრალურ მატჩში ბათუმელები თავიდანვე მოეძალნენ თსუ-ს ფარს. ზვიად ბაბიაშვილმა მეტოქის ზონაში გაიდგა ფეხი, ლაშა კეშელავა კი გარღვევებით იხვეჭდა ქულებს. ამათი წყალობით ჩემპიონები 12:4 დაწინაურდნენ. ამ დროს მოედანზე ლევან ქარაბაკი გამოჩნდა, რომელსაც შარშანდელი ჩემპიონატის მეორე წრიდან მოყოლებული ტრავმის გამო არ ეთამაშა. გელა წულაძემ მასთან ერთად გოდერძი კორძაძეც შეუშვა მოედანზე და ცხადი გახდა, თსუ-მ ფარზე გაბატონება განიზრახა. სტუდენტთა ამ სურვილს კახა შენგელიამ და ზვიად ბაბიაშვილმა გადაასხეს ცივი წყალი. თამაში ბათუმელთა მცირე უპირატესობით გაგრძელდა, თუმცა თსუ-მ ძალები მოიკრიბა და ტურაშვილის სამქულიანმა მესამე ათწუთეულის შუაწელში სტუდენტები დააწინაურა — 58:57. ბათუმელებს გეზის გამოცვლა ესაჭიროებოდათ. მათ სწრაფ კონტრშეტევებს ყველი გაუვიდა, ვერც ფარქვეშ იკიდებდნენ ფეხს სტუმრები. ტურაშვილისას კეშელავამ სამქულიანითვე უპასუხა და ამჯერად „ბასკო" საბოლოოდ დააწინაურა. ნუგზარ კანდელაკის გუნდმა სამქულიანების სეტყვა დაატეხა სტუდენტთა კალათს — მეოთხედის უკანასკნელი წუთნახევარი 10:0 მოიგო და ბოლო შესვენებაზე არხეინად გავიდა — 73:62.

„ბასკომ" არც ბოლო ათწუთეულში დაივიწყა სამიანები. თამაშის იმტით მოედანსდაბრუნებულ ქარაბაკს კი დააგვიანდა — ბათუმელები გვარიანად დაწინაურებულიყვნენ და რევანშის წყურვილიც საბოლოოდ 23-ქულიანი გამარჯვებით მოიკლეს.

„მაკაბი" — „აზოტის" დაპირისპირება ორმა კალათბურთელმა გადაწყვიტა. თუ რამაზ გოგობერიშვილი და მიხეილ ბერუაშვილი მოედანზე იყვნენ, რუსთაველები ბდღვირს აცლიდნენ მაკაბელებს, თუ არადა პირიქით ხდებოდა. გოგობერიძე-ბერუაშვილს სათადარიგოობა ორჯერ გაუგრძელდათ და მაკაბელებიც ორჯერვე დაწინაურდნენ, თუმცა ბოლოს ერთხელაც გავიდნენ მოედანზე და მეტოქეს ხელები ააწევინეს.

**კვირას** დიდი ინტერესით ელოდნენ დღის ბოლო მატჩს, რომელშიც „ბასკო" „სტუ-ჯეოსელს" ხვდებოდა, თუმცა არც აუტსაიდერთა მანამდელი პაექრობა გამოდგა ისეთი, კაცს რომ ჩაეთვლიმა.

პირველად წინა ჩემპიონატის ორმა უარესმა გუნდმა ითამაშა. სსუ სადებიუტო მატჩშივე გადაეყარა საქბილოს: სოხუმელებს მე-11 ჩემპიონატში ხომ მხოლოდ ქუთაისელები დაემარცხებინათ. თუმცა ქუთათურები მას შემდეგ საკმაოდ გაძლიერდნენ, რასაც ბათუმელებს უნდა უმადლოდნენ. იმერელთა ბირთვს ბასკოელები შეადგენენ — ჩემპიონთა კუთვნილი კალათბურთელები (იმნაძე, ბოლქვაძე, მაისურაძე) ამ სეზონში „ქუთაისს" დაეხმარებიან.

სწორედ ბათუმელთა წყალობით იმძლავრეს ქუთაისელებმა. მათ მეორე მეოთხედში 10-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს და ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნეს.

„აკადემიას" კი კარგი შანსი ჰქონდა, პირველი უმაღლესლიგური გამარჯვება ეზეიმა. სრულიად ახალგაზრდა კალათბურთელებით დაკომპლექტებულმა დავით უსტიაშვილის გუნდმა ტოლი არაფერში დაუდო გამოცდილი მოთამაშეებით სავსე „მაკაბის". მთელი შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში გაილია. წინ ხან ერთი გუნდი იყო, ხან — მეორე.

აკადემიელებს „მაკაბის" დასამარცხებლად არაფერი აკლდათ, გარდა გამოცდილებისა. ყმაწვილთა გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე ლამის მარტო ეთამაშებოდა მეტოქეებს — თვითონაც აგდებდა და პასსაც არავის აძლევდა. მაკაბელთა გამარჯვების მიზეზი კი დავით აკოლაშვილია. იგი მთელი თამაში სათადარიგო იყო და ბოლო ათწუთეულის შუა წელში შევიდა მოედანზე. მისმა 12 ქულამ „აკადემია" წელში გატეხა.

„სტუ-ჯეოსელი" — „ბასკო" მეტად უცნაურად წარიმართა. გუნდებმა უამრავი შეცდომა დაუშვეს, განსაკუთრებით სტუდენტებმა. სტუ მოიხელთებდა თუ არა ბურთს, გამალებით უტევდა, თუმცა რად გინდა — გარბენი, უზუსტო პასი, შეტევაში ჯარიმა და ახლა „ბასკოს" ჯერი დგებოდა. მატჩის მეოთხე წუთზე ანგარიში 4:4 რომ გახდა, შემდეგ ოთხი წუთი აღარ შეცვლილა. მეოთხედის დასრულებას წუთზე ოდნავ მეტი აკლდა და 6:6 იყო.

სტუ-ს შეცდომებს გარკვეულწილად ბათუმელთა კარგი დაცვა განაპირობებდა. მართალია, არც ზღვისპირელები ამბობდნენ კონტრშეტევებზე უარს, მაგრამ უკან ჩამოსვლას და ერთმანეთის დაზღვევას სტუდენტებზე უკეთ ახერხებდნენ. თუმცა ამ ფაქტორმა არ იკმარა წინ გასაჭრელად და ჩემპიონებიც მცირედით ლიდერობდნენ.

სამი მეოთხედი ბათუმელებმა 48:43 მოიგეს და ნათელი გახდა, რომ მატჩის ბედი ბოლოსთვის გაირკვეოდა.

სტუ-ს გამთამაშებლად ვერც მარხვაშვილმა ივარგა და ვერც ტულუშმა. ნუგზარ ჭეიშვილმა შეტევათა წარმმართველის ფუნქციები ყოფილ ბასკოელს, ვოლივერ ტუჯანის ჩააბარა. კამერუნელის გარჯამ ერთ ეპიზოდში ნაყოფი გამოიღო და საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე ანგარიში გათანაბრდა — 55:55. თუმცა დარჩენილი დრო სტუდენტებს ჯოჯოხეთად გადაექცათ. ტუჯანის ყველა ჩანაფიქრში ხელი მოეცარა, „ბასკო" კი შეცდომებს აღარ პატიობდა. წოწელიას ზუსტი შორი სროლების წყალობით ბათუმელებმა ბოლო სამწუთეული 16:1 მოიგეს და მასთან ერთად, ცხადია, მატჩიც.

**აკადემია 60:100 დინამო**

17:18, 14:26, 13:26, 16:30

**აკადემია:** ბექაური (6), ცინცაძე (24), ლეჟავა (8), გვიმრაძე (10), ათანელაშვილი (2); გიორგობიანი (4), გურასპაული (2), დეროუგინი, ჯანეზაშვილი (2), ზამბახიძე (2)

**დინამო:** თორთლაძე (9), ჩხეიძე (11), ბეჟანიშვილი (20), მუპე (4), ჯაფარიძე (19); აბრამიძე (8), ნინიაშვილი (8), ნაცვლიშვილი (3), ფლენტი (9), მარკოიშვილი (2), ჩუბინიძე (7)

**მსაჯები:** ლაშა თოიძე, დავით ანდრიაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**მაკაბი 85:97 აზოტი**

16:23, 22:14, 19:33, 28:30

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (36), ნოზაძე (7), კონჯარია (16), ტატუნაშვილი (4), ფოცხელაური (7); ნინოშვილი (7), ვაშაკიძე (8), ანდღულაძე

**აზოტი:** გაბისონია (6), არწივიძე (6), გოგობერიშვილი (29), ბერუაშვილი (28), მაჭარაძე (11); გოგსაძე (2), ლიპარტელიანი (6), ტყეშელაშვილი (2), კილაძე (6), ჯიმშელეიშვილი (3)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

**სტუ 116:71 ქუთაისი**

20:19, 35:16, 33:14, 28:22

**სტუ:** ხეცურიანი (10), გაგნიძე (11), ლაფანაშვილი (4), მახვაშვილი (8), ტულუში (11), ოთიურიძე (25), ლოსაბერიძე (16), ტუჯანი (9), დავითულიანი (7) ახალკაცი (15)

**ქუთაისი:** კვიმსაძე (11), მაისურაძე (4), ა. ბოლქვაძე (19), შავლაყაძე (6), იმნაძე (8), შანიძე (7), ნინუა (4), დოლიძე (7), დარახველიძე (2), პირტახია (4)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**თსუ 84:107 ბასკო**

19:23, 24:20, 19:28, 22:34

**თსუ:** ტურაშვილი (16), ორმოცაძე (13), არსიაშვილი, კილაძე (28), სანიკიძე, ზანგურაშვილი (1), ა. ბერიშვილი (12), ვეფხვაძე (1), მიქაძე, ქარაბაკი (9), კორძაძე (4)

**ბასკო:** იამჩუ (9), კეშელავა (19), წოწელია (15), ბაბიაშვილი (16), შენგელია (6), დ. ბერიშვილი (7), ნიკოლაძე (13), სუხიშვილი (6), მინაშვილი, კუიდია (16), როდუმეტა, შანიძე

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**სტუ 56:71 ბასკო**

8:14, 17:16, 18:18, 13:23

**სტუ:** ტულუში (8), მახვაშვილი, ტუჯანი (19), ლოსაბერიძე (2), ოთიურიძე (11); ხეცურიანი (3), გაგნიძე (2), დავითულიანი (8), ახალკაცი, მუშკუდიანი (3)

**ბასკო:** იამჩუ (2), წოწელია (11), შანიძე, ბაბიაშვილი (7), როდუნტა (4); დ. ბერიშვილი (6), ნიკოლაძე (8), კეშელავა (18), მინაშვილი, კუიდია (7), შენგელია (9)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**სსუ 59:73 ქუთაისი**

15:17, 12:19, 18:20, 14:17

**სსუ:** ჩიტაშვილი (12), სორდია (7), კვაჭაძე (4), აბულაძე (27), ბ. ქვილითაია (4); ტაბატაძე (1), ლუკავა (2), კანეია, ბარბაქაძე (2)

**ქუთაისი:** კვიმსაძე (10), მაისურაძე (12), შავლაყაძე (2), 8. ბოლქვაძე (8), იმნაძე (28); შანიძე (2), დოლიძე (2), პირტახია (9)

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ზურაბ ანდრიაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**აკადემია 79:93 მაკაბი**

16:19, 22:18, 20:21, 35:21

**აკადემია:** ბექაური (8), ცინცაძე (26), ლეჟავა (27), გვიმრაძე (13), ათანელაშვილი; ჯანეზაშვილი (2), ზამბახიძე (3)

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (43), ნოზაძე (2), კონჯარია (12), ტატუნაშვილი (15), ფორცხელაური (9); ნინოშვილი, აკოლაშვილი (12) აბულაშვილი

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, ხათუნა გაბედავა

**კომისარი:** მურმან ქურიძე

# რა უნდა დინამოს?

## იუგოსლაველმა მწვრთნელმა ვერაფერი გაიგეს

**შაბათს,** „აკადემია" — „დინამოს" მატჩისას, დინამოელთა ერთ-ერთ გაცუდებულ სროლას წინა რიგიდან უცხო ენაზე რეპლიკა მოჰყვა. ჩემს წინ მჯდომმა სამოციოდე წლის კაცმა შედარებით ახალგაზრდას ჩემთვის გაუგებარ ენაზე გადაულაპარაკა. დავინტერესდი და ყური მივუგდე, თუმც რა ენაზე საუბრობდნენ, ვერა და ვერ გავარკვიე. ბოლოს ყველასათვის „მშობლიური" ინგლისური მოვიშველიე და... ვოისლავ ვეზოვიჩი და ბოგოლუბ ჯურიჩი სერბი მწვრთნელები და ამასთან სასიამოვნო მოსაუბრენიც აღმოჩნდნენ. უცხოელები თურმე „დინამოს" მოწვევით ჩამოსულან და, მათი თქმით, ჩაიბარებდნენ თუ არა თბილისურ გუნდს, დღე-დღეზე გაირკვეოდა.

ვუთხარი, ჟურნალისტი ვარ და ორიოდ კითხვაზე თუ მიპასუხებთმეთქი. ჯერ არაფერია გადაწყვეტილი, ორ დღეში ვისაუბროთო, თუმც თავიანთი ბიოგრაფია არ დამამალეს.

60 წლის ვოისლავ ვეზოვიჩს 30-წლიანი სამწვრთნელო კარიერის მანძილზე უამრავ კლუბში უმუშავია. მეტ-ნაკლებად ცნობილთაგან მან ბერძნული „მარუსი", „ირაკლიონი", „აპოლონი" და კვიპროსული „ენათი" დაასახელა. 1981-82 წლებში „ცრვენა ზვეზდას" ახალგაზრდული გუნდი ებარა. ვეზოვიჩმა სიამაყით აღნიშნა, დრაჟენ პეტროვიჩის ერთ-ერთი პირველი მწვრთნელი ვარო. 1979-81 წლებში პეტროვიჩი „შიბენიკში" თამაშობდა, სწორედ იმხანად თავკაცობდა ამ გუნდს ვეზოვიჩიც. იგი ყოფილა ნიგერიისა და ყატარის ნაკრებების მთავარი მწვრთნელი, ბოლოს კი პოლონეთში მუშაობდა.

ბოგოლუბ ჯურიჩი ვეზოვიჩის აღზრდილი გამოდგა. მას იუგოსლავიის ნაკრებში 16 მატჩი უთამაშია. ჯურიჩი ბოსნიურ „ბოსნას" შემადგენლობაში აწ დაშლილი იუგოსლავიის ჩემპიონი და თასის მფლობელი ყოფილა. 1990 წელს კარიერა დაუსრულებია და მას მერე იუგოსლავიის პირველი ლიგის კლუბ „კრაგოევაცში" მუშაობს.

„დინამოს" ხელმძღვანელები პირობებს, სავარაუდოდ, ხვალ შემოგვთავაზებენ და ზეგისთვის ალბათ ყველაფერი გადაწყდებაო. სერბ სტუმრებს ორშაბათამდე გამოვემშვიდობე და დაპირებისამებრ გუშინ სასტუმრო „პრიმავერაში" ვესტუმრე.

**— ბატონო ვოისლავ, რა გადაწყდა, იბარებთ „დინამოს"?**

— როგორც გუნდის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, სამშობლოში ვბრუნდები, პასუხს კი ათ დღეში შემატყობინებენ.

**— რატომ ახლავე არ გადაწყდა თქვენი დანიშვნა-არდანიშვნის საკითხი? შაბათს თქვით, რომ „დინამო" პირობებს შემომთავაზებს და ყველაფერი გაირკვევაო...**

— შემომთავაზეს კიდეც, კვირას თითქმის ყველა ნიუანსი დავაზუსტეთ. ხელფასის, საცხოვრებელი ადგილის, სამგზავრო და მობილურ ტელეფონზე სასაუბრო თანხის და კიდევ უამრავი საკითხი შევათანხმეთ. საბოლოო პასუხი დღეს უნდა მიმეცა... „დინამოს" პირობებზე მე თანახმა ვიყავი და უკვე ოჯახის ჩამოყვანაზეც ვფიქრობდი, მაგრამ დღეს ყველაფერი თავდაყირა დადგა.

**— რა მიზეზით?**

— როგორც ვთქვი, პასუხი დღეს უნდა მეთქვა „დინამოს" ერთ-ერთ ხელმძღვანელ ნიკა კობალავასთვის. ჩვენს საუბარს ერთი ახალგაზრდა კაციც ესწრებოდა, ნიკამ მითხრა, ეს „დინამოს" პრეზიდენტი და ყოფილი მოთამაშეაო. მათ გადარეკ-გადმორეკეს და გაირკვა, რომ „დინამოს" მთავარი მეპატრონე პრაღაში ყოფილა, ცოტა ხანში კი მოსკოვში აღმოჩნდა. მარტო ვერაფერს გადავწყვეტთ, ჩვენი შემოთავაზებული პირობები გუნდის მფლობელს რომ არ მოეწონოს, რა ვქნათო. არადა, წინა დღეს ამბობდნენ, ამ მხრივ პრობლემა არ იქნებაო.

**— იქნებ მართლაც ასეა და ათ დღეში გადაწყვიტონ...**

— უამრავი მიზეზი მაქვს, ვიფიქრო, რომ „დინამოს" არ ვუნდევარ. ჯერ ის რად ღირს, რომ შაბათს თითქოს გუნდის თამაშის სანახავად მიგვყავდით და არ მოგვაკითხეს. ახლაც ერთი საათის წინ უნდა მოსულიყვნენ, ერთად ვივახშმოთო და არ ჩანან. გუნდის წარმომადგენლები სათოფეზე არ გვეკარებიან. აეროპორტში წასაყვანად ხვალ ტაქსი მოგაკითხავთო. ეს ყველაფერი ელემენტარული ეთიკის ამბავია, თუ ამ ნორმებს არ იცავენ, სხვა რა უნდა მოვითხოვო.

**— იქნებ „დინამოს" ხელმძღვანელობა თქვენმა მიღწევებმა არ დააკმაყოფილა?**

— კვირას ყველაფერზე თანახმა იყვნენ, ჩემი პასუხიღა აკლდა კონტრაქტის გაფორმებას, დღეს კი...

**— თქვენი აზრით, რისი ბრალია ეს ყველაფერი?**

— არ ვიცი, ალბათ არაპროფესიონალიზმის. მე რომ ახლა ჰოსპიტალი ჩამაბარონ, ცხადია, ორ თვეში მას არც ერთი პაციენტი აღარ მიაკითხავს. მათ „დინამოსგან" 3-4 წელიწადში გრანდის შექმნა სურთ, თუმც ასეთი მუშაობით, ჩემი აზრით, ვერაფერს მიაღწევენ.

**— გეტყობათ, გულნატკენი ხართ?**

— გულნატკენიც ვარ და უფრო მეტად გაოცებული. სერიოზული გუნდი მთავარი მწვრთნელობის კანდიდატს ასე არ მოექცეოდა.

**— ათ დღეში რომ შეგეხმიანონ და პოსტი შემოგთავაზონ, რას იზამთ?**

— მე მაგის არ მჯერა.

**ირაკლი პირტახია**

2003 წლის მსოფლიოს თასი. შესარჩევი ტურნირი

13 ოქტომბერი. თბილისი. «ეროვნული». 15 საათი

საქართველო – რუსეთი

# მთავარი მატჩი

## ბორჯღალოსანო, ემცხეთე რუსებს!

დღეიდან საქართველოს მორაგბეთა ნაკრები მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის მთავარი, საქართველო — რუსეთის მატჩისთვის მზადების ბოლო ეტაპს იწყებს. გუშინ ბორჯღალოსნები საფრანგეთიდან თბილისში ჩამოვიდნენ, დღეს კი მცხეთაში შეიკრიბებიან და ვარჯიშს დაიწყებენ. 5-დღიან შეკრებაზე ნაკრების მწვრთნელმა კლოდ სორელმა 31 მორაგბე გამოიძახა.

თქმა არ უნდა, ბორჯღალოსანთა 13-წლიან მატიანეში ეს მატჩი უმთავრესია — მოიგებენ, ახდება ოცნება და ბორჯღალოსნები მსოფლიოს თასზე ითამაშებენ. სხვა შემთხვევაში „რეპეშაჟის" (სანუგეშო ტურნირი) გაუკვალავ გზას დაადგებიან, სადაც ხიფათისგან არავინაა დაზღვეული.

ეს კარგად ესმით მწვრთნელ-მორაგბეებს და ამიტომაც კლოდ სორელმა სადღეისოდ ყველა მწყობრში მყოფს უხმო. შეიძლება ითქვას, ბორჯღალოსანთა ბანაკში საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა. ნაკრები საგანგებო რეჟიმზე გადავა და მყუდრო გარემოში ივარჯიშებს. ბიჭებს ყურადღება რომ არ გაეფანტოთ და უცხო თვალს მოეფარონ, საქართველოს რაგბის კავშირმა ბანაკი მცხეთაში დასცა.

ნაკრებს დაუბრუნდა მორკინალი გრეგუარ იაშვილი, რომელიც ნაოპერაციევ მხარს ერთი წელი იშუშებდა. იაშვილმა საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო სამ ტურში ითამაშა და სანაკრებოდ მზად არის. გუნდშია ირლანდიასთან მატჩში დაშავებული დავით ბოლღაშვილი, რომელსაც ბიცეფსის კუნთის გაწყვეტა არ დაუდგინდა, მაგრამ მხარს ისევ იტკიებს. ყვრიმალის ძვალი გაიმთელა შერკინების ერთ-ერთმა ლიდერმა გია ლაბაძემ და სარუსეთოდ ისიც მოემზადება.

შეკრებაზე მყოფი საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

*მევლუდ მთიულიშვილი („ბეზიე"), ლევან ცაბაძე („მონფერანი"), ტარიელ რატიანიძე („ბეზიე"), გოდერძი შველიძე („ბეზიე"), აქვსენტი გიორგაძე („როვიგო"), დავით აშვეთია („მონფერანი"), ვანო ნადირაძე („ბეზიე"), ვიქტორ დიდებულიძე („ფიზეკი"), ზურაბ მჭედლიშვილი („ალბი"), გრეგუარ იაშვილი („მეტრო-რასინგი"), გიორგი ჩხაიძე („ლა როშელი"), ილია ზედგინიძე („როვიგო"), გია ლაბაძე („ტულონი"), მამუკა გორგოძე („ორბელი-ლელო"), ირაკლი გუნდიშვილი („უნივერსიტეტი"), დავით ბოლღაშვილი (უგუნდო), ზვიად მათიაშვილი („კანი"), ირაკლი აბუსერიძე („ორიიაკი"), მერაბ კვირიკაშვილი („ორბელი-ლელო"), პალიკო ჯიმშელაძე („ორიიაკი"), ოთარ ბარკალაია („ორბელი-ლელო"), თედო ზიბზიბაძე („ტური"), ვასილ კაცაძე („გრენობლი"), კახა ალანია („ლოკომოტივი"), გიორგი ელიზბარაშვილი („აკადემია"), მალხაზ ურჯუკაშვილი („ტური"), ბესიკ ხამაშურიძე („ოში"), გუჯა იოვაძე („აგდი"), ბადრი ხეხელაშვილი („ანგულემი"), ვასილ აბაშიძე („ლოკომოტივი"), ლაშა ფირფილაშვილი („ორბელი-ლელო").*

საქართველო — რუსეთის მატჩი 13 ოქტომბერს დღის 3 საათზე დაიწყება. წინადღის საფეხბურთო მატჩისგან განსხვავებით, სარაგბო ჯახის ცოცხლად ხილვა ქომაგს გაცილებით იაფად შეეძლება. „ეროვნულზე" შესვლა 3 და 5 ლარი ეღირება.

**ბაჩო სვანიძე**



*საქართველოს ნაკრების მორკინალი გია ლაბაძე თანაგუნდელებზე ადრე ჩამოვიდა თბილისში. საამისო მიზეზიც ჰქონდა: მისი კლუბი „ტულონი" საფრანგეთის ჩემპიონატიდან ამ უქმეებზე თავისუფალი იყო და გიამაც არ დაახანა. არადა, მოსალოდნელი იყო, ბორჯღალოსანთა ერთ-ერთ ლიდერს რუსებთან ვერ ეთამაშა. მას „ტულონში" თამაშისას ყვრიმალის ძვალი გაუტყდა. ამის გამო ლაბაძემ ირლანდიასთან მატჩი გამოტოვა*

# მოტივაცია: რუსეთი!

## თამაში იქნება უკანა ხაზის და უკან არდახევის

— ახლა კარგად ვარ, ტრავმა მოვირჩინე და სარუსეთოდ სრული დატვირთვით მოვემზადები. ბოლომდე რომც ვერ მომერჩინა, რუსებთან თამაშის სურვილი იმდენად დიდია, რომ მაინც ვითამაშებდი — გვითხრა თბილისში ჩამოსულმა გია ლაბაძემ.

**— იმედიანად ხარ?**

— აბა, უიმედოდ რატომ ვიქნები. სხვა თუ არაფერი, რუსეთს ვეთამაშებით და მეტი მოტივაცია რაღა გინდა? რაც ვიცით, ამ მატჩში უნდა ჩავდოთ. თავი უნდა შევაკლათ. აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

**— რისი წყალობით, რით ვჯობივართ დღეს რუსეთს?**

— რგოლებად რომ დავყოთ, ვერ ვიტყვი, რომელიმეში შესამჩნევად ვჯობდეთ რუსეთს. რუსეთ — ირლანდიის მატჩის ვიდეოფირი რამდენჯერმე ვნახეთ. რუსებმა ძალიან კარგად ითამაშეს, განსაკუთრებით უკანა ხაზმა. ძალიან სწრაფი ბიჭები ჰყავთ, რომლებიც მწყობრად მოძრაობენ და თითქმის უშეცდომოდ თამაშობენ. მოგება თუ გვინდა, იმათ უკანა ხაზს უნდა ვაჯობოთ. რაც მთავარია, თავი უნდა დავდოთ, ჯიგრით უნდა ვეთამაშოთ. გასაქანი არ უნდა მივცეთ.

**— უკანა ხაზის მწვრთნელი პატრიკ ფორიც ნახავდა რუსების თამაშს. რაიმე ხარვეზი თუ შეამჩნია?**

— მნიშვნელოვანი ვერაფერი. საერთოდ, ფორიმ მაგრამდ იმუშავა. შეკრებებზე ბევრი ახალი გვასწავლა. რამდენიმე კომბინაცია დავამუშავეთ, მაგრამ მთავარია, ამის გაკეთება მატჩისას შევძლოთ. ირლანდიასთან ეს გამოგვივიდა. სწორედ უკანახაზელებმა გაიტანეს ორი ლელო. იმედია, რუსებთანაც იგივეს გავაკეთებთ.

**— გაზაფხულზე რუსებთან ფრედ, 12:12 დასრულებულ მატჩში საკმაოდ ბევრი ჯარიმა არ დაარტყით და ბურთის ხელით გათამაშება არჩიეთ...**

— ახლა ასე არ იქნება. დასარტყმელს დავარტყამთ და ქულებს ქარს აღარ გავატანთ. იმედია, ყველაფერი ჩვენთვის კარგად დასრულდება.

**— აგვისტოდან მოყოლებული რამდენიმე შეკრება მოაწყვეთ. ცალკე საკონტროლო და საკლუბო მატჩები ითამაშეთ. ხომ არ გადაიღალეთ?**

— თავიდან მართლაც გაგვიჭირდა, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ამ კონკრეტული მატჩისთვის გაკეთდა. ჩვენც უნდა მოგვეთმინა და დაღლილობას მოვერეოდით. ბოლოსკენ უკვე შევეჩვიეთ დატვირთვებს და, შეიძლება ითქვას, მეორე სუნთქვა გაგვეხსნა. ფორმაში რომ ვართ, ეს ირლანდიასთან მატჩშიც გამოჩნდა. ახლა მცხეთაში მოვემზადებით და რუსებთან ფორმის პიკში ვიქნებით.

**ბაჩო სვანიძე**

# ფული იქნებაო. ვნახოთ

როგორც იქნა, მთავრობამ მორაგბეებისთვისაც მოიცალა და მათ კუთვნილი 64 ათასი დოლარის მიცემას დაჰპირდა. ეს ფული ნაკრების მომზადებასა და მგზავრობის ხარჯებს უნდა მოხმარებოდა, მაგრამ რაკი რაგბის კავშირმა დროულად ვერ მიიღო, ბორჯღალოსანთა სარუსეთოდ მომზადება და ირლანდიაში გამგზავრება ვალებით მოახერხა. ამ ფულით სწორედ ეს ვალები დაიფარება.

მორაგბეებისთვის თანხის გაცემას საქართველოს პრეზიდენტმა რეზოლუცია კი დაადო, მაგრამ მთავარი ხომ სიტყვას მოყოლებული საქმეა. რაგბის კავშირს კუთვნილი ჯერ არ მიუღია. კარგი იქნება, თუ მთავრობა ფულს დროულად გასცემს და რუსეთთან მატჩის წინ ბორჯღალოსნებს ფინანსურ პრობლემას მაინც მოუხსნის.



მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

# საჭე ფინელებს, ფინელები პეჟოს



REUTERS

მარკუს გრონჰოლმი ორგზის ჩემპიონია

**34 წლის** პილოტმა მარკუს გრონჰოლმმა და შტურმანმა ტიმო რაუტიაინენმა რალისტთა 24-ე ჩემპიონატის გასრულებამდე ორი ეტაპით ადრე გაინაღდეს პირველობა — ფრანგული „პეჟოს" ფინური ტანდემი მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა ახალი ზელანდიის გზებზე ტრიუმფის შემდეგ. თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ ვადამდე გაჩემპიონებაში დიდი წვლილი შეიტანეს კონკურენტმა თანაგუნდელებმა რიჩარდ ბარნსმა და რობერტ რიდმა, რომლებიც ოკლენდის მიდამოებში წარმატების შემთხვევაში თავად ინარჩუნებდნენ პირველობის შანსს.

შარშანდელმა ტრიუმფატორმა ბარნსმა თავიდანვე ისე აგრესიულად შეუტია სეზონის ლიდერს, რომ უკვე პირველი დღის შემდეგ 38 წამით ჩამოიტოვა, მეორე დღეს კი უფრო გაზარდა უპირატესობა და მიწიანღორღიანი გზის ორი მესამედის გავლის მერე სხვაობამ 45 წამს მიაღწია. ასე რომ, ინგლისელის გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა, მაგრამ სიჩქარეს აყოლილმა „მეფე რიჩარდმა" ერთ-ერთ უწყინარ მოსახვევში მიუტევებელი შეცდომა დაუშვა — ბექობზე შემხტარი „პეჟო" ერთი ექვსჯერ მაინც ამობრუნდა და ჯართად ქცეული გზისპირზე გადავარდა. უკიპაჟი უვნებლად გადარჩა, თუმც ბარნსმა თავში ერთი-ორი ისეთი წაიშინა, ჩაფხუტი რომ არა, საკუთარი ხელით ნოკდაუნი გამოწერილი ჰქონდა. არცაა გასაკვირი, ამ ავარიით მან ხომ ტიტულის შენარჩუნების უკანასკნელი შანსი დაკარგა.

ამრიგად, მარკუს გრონჰოლმი, 2000 წლის ტრიუმფატორი მერალეთა შორის მეოთხე ორგზის ჩემპიონი შეიქნა. მასზე მაღლა კი მხოლოდ ოთხგზის ტიტულიანი მისივე თანამემამულეები — იუჰა კანკუნენი და ტომი მაკინენი არიან.

„პეჟომ" გუნდურ ჩათვლაში, ანუ კონსტრუქტორთა თასზეც გაინაღდა უძლიერესის ტიტული. ფრანგულ კონცერნს 147 ქულა დაუგროვდა. შემდეგ მოდიან „ფორდი" (89) და „სუბარუ" (50).

**გია ახალაძე**

| მეთორმეტე ეტაპი. ახალი ზელანდია (4-6 ოქტომბერი) | |
|---|---|
| 1. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 3 სთ; 58.45,4 |
| 2. ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) | ჩამორჩა 3.47,6 |
| 3. ტომი მაკინენი (ფინეთი, სუბარუ) | 4.26,3 |
| 4. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) | 5.48,9 |
| 5. იუჰა კანკუნენი (ფინეთი, ჰიუნდაი) | 7.10,2 |
| 6. ფრედი ლოაქსი (ბელგია, ჰიუნდაი) | 7.52,5 |

**საერთო ჩათვლა**

1. მარკუს გრონჰოლმი 67 ქულა; 2. რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, პეჟო) 34; 3. კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) 33; 4. ჟილ პანიზი (საფრანგეთი, პეჟო) 31; 5. კარლოს საინსი 29; 6. ჰარი როვანპერა 24; 7. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) 23; 8. ტომი მაკინენი 19; 9. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) 18; 10. მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) 12



# ერთი დაგვრჩა იმედი: გლდანი

**მოსალოდნელი** სამარცხვინო სხვაობით დამარცხდნენ ქართველი ხელბურთელები ევროთასების მატჩებში. რას იზამ, 20-30 ბურთიანი წაგება გასაკვირი აღარ არის. რაკი მეტოქე გუნდებისა და მსაჯების სამასპინძლო თანხა ვერ გამონახეს, სამივე ჩვენმა კლუბმა საშინაო მატჩებიც სტუმრად გამართა და შედეგიც წინასწარვე განისაზღვრა.

საქართველოს უცვლელი ჩემპიონი „სტუ-შევარდენი" უნგრეთის ვიცეჩემპიონ „დუნაფერს" რომ ვერაფერს დააკლებდა, მშვენივრად ვიცოდით, მაგრამ მაინც თითო ტაიმში ანუ ნახევარი საათის განმავლობაში მხოლოდ ხუთი-ექვსი ბურთის შეგდება ტექნიკოსებისთვის კატასტროფული უშედეგობაა. ქართველთაგან ორ მატჩში ყველაზე მეტი გოლი, ბუნებრივია, მთავარ ბომბარდირ ალეკო ბოყოჩაძეს გაუტანია (შესაბამისად 5 და 11), რაც მისიანების „ნამოღვაწარის" ზუსტად ნახევარია, თამაშები კი 34:11 და 33:22 დასრულდა დუნაფერელთა სასარგებლოდ.

„ჩელენჯ კაპზე" საასპარეზოდ შვეიცარიაში თბილისიდან ავტობუსით ჩასული „ცერო-ბათუმი" იქაურ „სურ-ჰანდბალთან" კიდევ უფრო უარესი სხვაობით დამარცხდა — 14:39 და 10:41. ოდნავ უკეთ გაისარჯა „საუმამული", რომელმაც ლუქსემბურგის „ჰანდბალ-დიკირჩს" პირველი ტაიმი მოუგო კიდეც — 13:12, საბოლოოდ კი შეხვედრა საპატიო, ოთხბურთიანი დეფიციტით დათმო — 24:28. სამწუხაროდ, თბილისელები მეტოქეს მეორე დღეს ვეღარ გაუძლიანდნენ — 21:35.

ახლა ბოლო იმედი წლევანდელი ჩვენი ჩემპიონატის ბრინჯაოსმედალოსან „გლდანზეა", რომელიც ევროპის თასების მფლობელთა თასის საწყის ეტაპზე ლუქსემბურგის „ბაშარაჟს" ორჯერვე თავის მოედანზე, კერძოდ, თელავში დაუხვდება 12 და 13 ოქტომბერს. ამდენად, ვფიქრობთ, წარმატების შანსიც საკმაოდ მაღალია.

**გია ახალაძე**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო აბულეღიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge